წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—46.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

სამშაბათი, 25 მაისი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 116 (1571)

დღიური

- — საპარლამენტო არჩევნების დროს ეგვიპტეში ზაგლულ-ფაშას მოძრაობამ გაიმარჯვა.
- — ჩან-ძო-ლინი სახალხო არმიის წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადება.
- — ამხ. ტომსკი მოსკოვში დაბრუნდა.
- — საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.
- — ფრანგები ახალ ექსპედიციას გზავნიან ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.
- — პარიზიდან მიღებული ცნობებით აბდ-ელ-ქერიმი ტყვეთ წაიყვანეს.

ცეკას პლენუმი

30 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს შენობაში გაიხსნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მორიგი პლენუმი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

დღეს, 25 მაისს საღამოს 6 საათზე,

შესდგება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ცაკის მდივანი ს. თოდრია

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა

საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრების ტერმომეტრი, ციურიხის ბირჟა, კვლავ ციებ-ცხელებას გვიჩვენებს. ამ ცოტა ხნის წინად გირვანქა სტერლინგი ციურიხში ას ფრანგულ ფრანკათ ღირდა, ახლა 176 ფრანკათ ღირს და, როგორც სჩანს, ფრანკის კურსის დაცემა შეუჩერებლივ წინ წავა.

ფრანკის ასეთი კატასტროფა, პირველი შეხედვით, გაუგებარია, მიტომ რომ წარსულ თვეში ხანგრძლივი და რთული საპარლამენტო ბრძოლის შემდეგ მიღებულ იქნა ფინანსიური კანონპროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავი წყაროები 1926 წლისთვის. ახლანდელმა ფინანსთა მინისტრმა მიაღწია იმას, რაც წლევა ვერ შესძლო ოთხმა მისმა წინამორბედმა: [illegible] კაიომ, პენლევემ, ლუშერმა და დუმერმა.

როცა რაულ პერემ საფრანგეთის ფინანსთა უწყების მეთაურობა იკისრა, მისი პირველი საზრუნავი იყო ბიუჯეტის წონასწორობა დაემყარებია 1926 წლისთვის. მან განზე გადასდო თავისი წინამოადგილეების გეგმები ვალების გასტუმრების შესახებ. პარლამენტმა უკვე პერეს მთავრობაში შესვლამდე დაამტკიცა ან, ყოველ შემთხვევაში, პრინციპიულად მიიღო ზოგიერთი გადასახადის გადიდება. პერეს განზრახული ჰქონდა დეფიციტის ნაშთი [illegible] და განსაკუთრებული სულობრივი გადასახადის შემოღებით დაეფარა. ეს მან მოახერხა კიდეც, თუმცა წინათ პარლამენტმა არა ერთხელ უარჰყო ამგვარი ფინანსიური პროექტები. ეს იმით აიხსნება, რომ ბრიანმა, რომელიც ქვეყანას თითქოს მემარცხენე უმრავლესობის შემწეობით მართავს, ეს მემარცხენეები, ე. ი. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლობა, ისე დაჰქანცა დაუსრულებელი მუქარით, მინისტრების გამოცვლით, სენატის შემწეობით, რომ ბოლოს ეს ხალხი იძულებული გახდა მსხვილი ბურჟუაზიის ყველა მოთხოვნილებანი მიეღო.

როცა ახალი კანონპროექტები მიღებული იქნა, მსხვილი ბურჟუაზიის ორგანო, გაზეთი „ტანი“, შემდეგსა სწერდა: „ახალი ფინანსიური კანონების შეცდომებმა და ნაკლმა არ უნდა დაგვიჩრდილოს მათი ძირითადი ხასიათი; ახალი შემოსავლის წყაროების სამ მეოთხედს არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ... რაულ პერემ გამარჯვება მიანიჭა საღ ადამიანურ გონებას“.

ეს შესხმა პერემ იმით დაიმსახურა, რომ მან იმ გადასახადების ტვირთი, რომელიც ბიუჯეტის წონასწორობის დასამყარებლად იყო საჭირო, მუშათა კლასსა და წვრილ ბურჟუაზიას დააკისრა, ხოლო შემოსავლის დიბეგვრა და არსებული პირდაპირი გადასახადების გადიდება თავის ფინანსიურ პროგრამაში არ შეიტანა.

მაგრამ, თუმცა პერემ ქაღალდზე ბიუჯეტში წონასწორობა დაამყარა, თუმცა მისი ანგარიშით შემოსავალი 37 მილიარდ 550 მილიონს ფრანკს უდრის, ხოლო გასავალი 37 მილიარდსა და 300 მილიონს, საფრანგეთს სინამდვილეში მაინც წინანდებურად ფინანსიური გაკოტრება ელის. ახალი ფინანსიური კანონპროექტის მიღებისთანავე ნათელი გახდა, რომ მათ არა აქვთ რეალური საფუძველი. გასავლის ნაწილში ნაგულისხმევი არ არის ფრანკის დაცემა: იქ საფუძვლად მიღებულია გირვანქა სტერლინგი, [illegible] მაშინ კურსით ას ფრანკს უდრიდა. მას შემდეგ გირვანქა სტერლინგის კურსმა [illegible] ფრანკს გადააცილა: ამრიგათ, შეიქმნა ათი მილიარდის დეფიციტი.

ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება ნამდვილად არ შეიძლება იმ მიზეზის გამო, რომ ჯანსაღი ბიუჯეტის წინასწარი პირობის მიღწევა, ვალიუტის სტაბილიზაცია მხოლოდ უცხოეთის კრედიტებითაა შესაძლებელი. ამ სესხის მიღება კი საფრანგეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია, თუ თავისი ვალების კონსოლიდაცია არ მოახდინა. ხოლო თუ საფრანგეთის ვალების საქმე ისე მოწესრიგდა, როგორც ამას ამერიკელები ითხოვენ, მისთვის საჭირო გახდება ორი მილიარდის წლიური კრედიტი, რომლის გადახდა თითქმის მთელს საუკუნეს გასტანს.

ყოველივე ეს მეტად მერყევ და გამოურკვეველ მდგომარეობას ჰქმნის საფრანგეთის გაბატონებული კლასებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ბურჟუაზიამ ზოგიერთი ფინანსიური დაბრკოლების გადალახვა შესძლო, ახლანდელ ვალუტის კრიზისს მძიმე ინდუსტრიული კრიზისი მოჰყვება. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, საფრანგეთის ბურჟუაზია იძულებული გახდება შეტევა დაიწყოს მუშათა კლასის წინააღმდეგ, ხოლო ბრიანის მთავრობას დემოკრატიის ნიღაბის ჩამოხსნა მოუხდება, როგორც ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას მოუხდა. საფრანგეთში, ამ ევროპიული დემოკრატიის უკანასკნელ კუნძულზე, ჩქარა ერთი-მეორეს მტრულად განწყობილი კლასები დაუპირისპირდებიან, ფინანსიური კრიზისი აქაც აუცილებლად ღრმა რევოლიუციურ კრიზისს გამოიწვევს.

◆

გლეხკომების რეორგანიზაცია*)

ჩემ წინა წერილში (იხ. „კომუნისტი“ № 115 (1.570) მე ვწერდი იმაზე, თუ რა წესით და როგორ უნდა მოვახდინოთ გლეხკომების გადარჩევა, ეხლა შევეხები გლეხკომების რეორგანიზაციას. სამი წელიწადია რაც ჩვენში გლეხკომები არსებობენ. ამ სამი წლის განმავლობაში სოციალ. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, რამდენათაც მას შეეძლო და რამდენადაც მას ამისათვის პირობები ხელს უწყობდენ, აკვირდებოდა და მეთვალყურეობდა გლეხკომების მუშაობას. რა დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ ამ დაკვირვებამ? იმ დასკვნამდე, რომ გლეხკომები საქართველოში ერთობ გამრავლდა და მათი მოვლა-პატრონობა საძნელო გახდა. ჩვენში ამჟამად მოწყობილია დაახლოებით 1.900 გლეხკომი. სათქმელად ადვილია 1.900 გლეხკომი, მაგრამ ამდენი გლეხკომების მოვლა და პატრონობა ძალზე ძნელი საქმეა. საზოგადოთ ორგანიზაციების მოწყობა ისე საძნელო არ არის, როგორც მათი ხელმძღვანელობა.

ახლა ძალიან მწვავეთ სდგას საკითხი მომჭირნეობის, ეკონომიის, ყაირათიანობის და გეგმაშეწონილ მუშაობის შესახებ. ხელმძღვანელ ორგანოებში, როდესაც გადაწყვეტილებას ღებულობდენ შემჭიდროებიათ, შეერთებიათ და გამსხვილებინათ გლეხკომები, უმთავრესად ყაირათიანობის და მომჭირნეობის მოსაზრებას ეყრდნობოდენ, კარგია განა რომ გლეხკომები რიცხვით მრავალი იყვენ და ღირსებით არ ვარგოდენ? ნუ დავივიწყებთ ამხ. **ლენინის ნათქვამს: „სჯობს მცირე, მაგრამ უკეთესი“.** ეს რჩევა უნდა წინამძღვაროთ ყოველთვის წინ ჩვენს მუშაობაში.

საჭიროა წვრილ-წვრილი სასოფლო გლეხკომები, რომლებიც ახლო არიან ერთმანეთთან, გავაუქმოთ და ამის მაგიერ მოვაწყოთ სამი-ოთხი-ხუთი წვრილი სოფლების გლეხკომიდან ერთი გლეხკომი, ე. ი. უნდა მოვახდინოთ წვრილი, დაქუცმაცებული გლეხკომების შეერთება, **გამსხვილება.** ეს ისეთ თემებს შეეხება, რომლებიც შესდგებიან ათი-თუთხმეტი-ოცი პატარ-პატარა სოფლებიდან. მაგალითად, ასეთი თემებია; დუშეთის, თბილისის, გორის, ახალქალაქის და ზოგიერთ სხვა მაზრებში. ასეთ თემებში საჭიროა ერთ გლეხკომში გაერთიანდეს 3-4-5 სოფელი. რაც შეეხება ისეთ თემებს, რომლებშიც მარტო 4-5-7 სოფელია,—მაგალითად: ქუთაისის, ოზურგეთის, სიღნაღის, სენაკის, რაჭის, ლეჩხუმის და სხვა ასეთ მაზრებში, უნდა იქნეს მოწყობილი მარტო ერთი გლეხკომი თემის ფაგალში. ამნაირათ მოწყობილი ძირითადი გლეხკომი უშუალოთ, პირდაპირ იქნება დაკავშირებული მაზრის გლეხკომთან; მაზრის გლეხკომი უშუალო ხელმძღვანელი იქნება ძირითადი გლეხკომების. ამგვარი რეორგანიზაციის ძირითად გლეხკომის და მაზრის გლეხკომის შუა მდგომი გლეხკომები, როგორიც დღემდე იყვენ თემის გლეხკომები, რომლებიც უშუალოთ ხელმძღვანელობდენ სოფლის გლეხკომებს, გაუქმებული იქნებიან.

ზოგიერთებმა შეიძლება იკითხონ— რა სარგებლობის მოტანა შეუძლია გლეხკომების ასეთ შემჭიდროებას, გამსხვილებას? ჩვენი პასუხი ასეთ კითხვაზე შემდეგი იქნება: 1) ის, რომ მოხდება დაქუცმაცებული ფონდების გაერთიანება, ესე იგი, რამოდენიმე სოფლის გაერთიანებული გლეხკომის ხელში დაგროვდება მძლავრი ფონდი, რომელიც მისცემს გლეხკომს საშუალებას თავის მუშაობა უფრო გააძლიეროს და გაშალოს; 2) გლეხკომების ასეთი შემჭიდროება საშუალებას მოგვცემს ადვილად გამოვნახოთ გლეხკომებში სამუშაოთ ღირსეული, მცოდნე და პატიოსანი მუშაკი; 3. გლეხკომების ხელმძღვანელ დაწესებულებებს გლეხკომების შემჭიდროებით ძალზე გაუადვილდებათ და შეუმსუბუქდებათ მათი ხელმძღვანელობა და მათზე მეთვალყურეობის გაწევა; 4) გლეხკომების შემჭიდროების შემდეგ მათი აპარატის შენახვა ეხლანდელზე გაცილებით უფრო იაფი დაუჯდება გლეხკაცობას.

აი, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია წვრილი გლეხკომების გაუქმებას და მსხვილ ერთეულებში მათ შემჭიდროებას. ასეთ გლეხკომებს უფრო მეტი უნარის, სიცოცხლის და საქმიანობის გამოჩენა შეუძლიათ, ვინემ პატარ-პატარა და დაქუცმაცებულ გლეხკომებს.

ტეხნიკურათ, თუ როგორ იქნება მოსახერხებელი პატარ-პატარა გლეხკომების გამსხვილება, მათი ფონდების ამა თუ იმ სოფელზე მიმაგრება, ამაზე ჩვენ ცალკე ინსტრუქციებს გამოვიმუშავებთ და ახლო მომავალში დაუგზავნით მაზრებს სახელმძღვანელოდ.

ვიმეორებთ: რადგანაც გლეხკომები ჩვენში ძალზე ბევრი იყო, ამიტომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა, რომელიც მათ მუშაობას პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევს, და მისმა ხელქვეითმა დაწესებულებებმა ვერ მოახერხეს, ასეთ მრავალრიცხოვან გლეხკომებისათვის შესაფერი ხელმძღვანელობა და პატრონობა გაეწიათ. ამიერიდან საჭიროა 1.900 გლეხკომი დავიყვანოთ 500-დე, შეიძლება კიდევ ნაკლებ რიცხვამდე. ასეთი გამსხვილებით გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებები (გლეხკომები) არაფერს წააგებენ, მოგებით კი ბევრს მოიგებენ.

კ. ხომერიკი.

---

*) კამათის წესით.

რედ.

ინგლის-ამერიკის ფინანსიური დიქტატურა

ამერიკისა და ინგლისის ბანკების წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირი

საფრანგეთის ფინანსების „გაჯანსაღების“ გეგმა

ინგლის-ამერიკელი ბანკირები ევროპის ბანკებზე კანტროლის დაწესებას აპირებენ

ულტიმატუმი საფრანგეთს

ნიუ-იორკი, 21 მაისი. ნიუ-იორკის ფინანსიურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ საიდუმლო თათბირს, **რომელიც ამ ჟამად სწარმოებს ლონდონში შეერთებული შტატების ფედერალურ სარეზერვო ბანკის დირექტორსა, ინგლისის ბანკის დირექტორ ნორმანსა და საფრანგეთის საფინანსო წრეების წარმომადგენელ პარმანტიეს შორის.**

იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატების და ინგლისის საფინანსო წრეები დაჟინებით მოითხოვენ საფრანგეთის დეფლიაციის და ფრანკის სტაბილიზაციის განხორციელებას, რადგან ამას წინასწარ ნაბიჯად სთვლიან შეერთებული შტატების და ინგლისის მსოფლიო ფინანსიური ჰეგემონიის განსამტკიცებლად.

„ჩიკაგო ტრიბიუნ“ იტყობინება, რომ პარმანტიე ამერიკისაგან მოითხოვდა საფრანგეთისათვის 300 მილიონი დოლარის სესხს. კორესპონდენტის სიტყვით, სტრონგმა და ნორმანმა პასუხი გასცეს ულტიმატუმით და განაცხადეს, რომ **საფრანგეთს ფინანსიურ დახმარებას არ აღმოუჩენენ, სანამ ეს უკანასკნელი ძირიან-ფესვიანად არ გადასინჯავს თავის საფინანსო პოლიტიკას შემდეგ საფუძვლებზე: ფინანსების განთავისუფლება პარლამენტის კონტროლისაგან და ისეთ სრულუფლებიან საფინანსო კომიტეტის დაარსება, რომელიც თავისუფალი იქნება პოლიტიკურ პარტიების ზეგავლენისაგან; საფრანგეთის ბანკის [illegible] გამოყოფა ისე, [illegible] ბანკს შეეძლოს იმ [illegible] სარგებლობა, რომელიც დღემდე [illegible] იყო; გადაყენებულ უნდა იქნეს საფრანგეთის ბანკის დირექტორი რომინო; ბანკმა ხელი უნდა აიღოს უცხოეთის კრედიტების გამოყენებაზე ბიუჯეტის ან მთავრობის ხარჯების წონასწორობაში მოსაყვანად. კრედიტები მხოლოდ საბირჟო ოპერაციებს უნდა მოხმარდეს ფრანკის სტაბილიზაციის მიზნით; მიღებულ უნდა იქნეს სტრონგის და ნორმანის გეგმა, რომლის თანახმად გაერთიანებული კონტროლი უნდა დაწესდეს ევროპის სახელმწიფო ბანკებზე.**

„ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის ცნობით, ინგლისის და ამერიკის ფინანსისტები საფრანგეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოუჩენენ ფინანსიურ დახმარებას, თუ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნებიან. გაზეთი ამტკიცებს რომ ეს არის იმ ფართო გეგმის პირველი საფეხური, რომლითაც სურთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფო ბანკის კონსოლიდაცია ინგლისის და შეერთებული შტატების გაერთიანებულ და მუდმივ კონტროლს ქვეშ. გეგმა შემდეგში ითვალისწინებს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ დავალიანების, აგრეთვე ამერიკისადმი არსებულ ვალების კონსოლიდაციას საერთაშორისო საბანკო სინდიკატის კონტროლს ქვეშ, რომელიც იკისრებს ფულადი პრეტენზიების მოწესრიგების საქმეს.

ფიქრობენ, რომ შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრო და ბანკირები დასთანხმდებიან გაუქმებას ვალების ასეთ ნიღაბს ქვეშ, თუ ევროპაში სტაბილიზაცია და დამშვიდება მოხდება ისე, რომ ამერიკას უშიშრად შესძლოს თავისი კაპიტალების დაბანდება.

[illegible]ციალური წყაროები არ ადას[illegible] [illegible]კაგო ტრიბიუნ“-ის ცნო[illegible] [illegible]ბას.

პირიქით, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან ცნობების წინასწარ გამოქვეყნებით და ცდილობენ მათ უარყოფას. მაგრამ არავინ არ უარყოფს, რომ შეერთებული შტატების და ინგლისის წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვენ დეფლიაციის, ფრანკის სტაბილიზაციის გატარებას და ფინანსების განთავისუფლებას. ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ საფრანგეთისათვის ახალი სესხის მიცემაზე უარის თქმას უცქერიან, როგორც საფრანგეთზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას,

ფიქრობენ, რომ სტრონგის ევროპაში გამგზავრება და მის მიერ სახელმწიფო ბანკების დათვალიერება მიზნად ისახავს სტაბილიზაციის საერთო გეგმის გატარებას.

საფრანგეთის შიში

ნიუ-იორკი, 21 მაისი. საფრანგეთის ელჩი შეერთებულ შტატებში— ბერანჟე გამოსთქვამს შიშს ინგლისის პროექტების გამო შეერთებულ შტატებში, კერძოდ დაუესის გეგმის გადასინჯვისა და სარეპარაციო გადასახადთა რაოდენობის შემცირების განზრახვის შესახებ.

ნიუ-იორკის გაზეთებში გამოქვეყნებულ ბერანჟეს სიტყვის ტექსტში შეშფოთება გამოკრთის; ავტორი აღნიშნავს, რომ დაუესის გეგმაზე დაუესის, გილბერტის და იუნგის ხელის მოწერა ხელშეუხებელი უნდა იყოს. არაპირდაპირ იგი გაკვრით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის შეთანხმება შეერთებულ შტატებთან ვალის გადახდის შესახებ იმ პირობაზეა დამყარებული, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუესის გეგმა არ უნდა გადასინჯოს.

ბერანჟეს შეშფოთება და სხვა ნიშნები ადასტურებენ „ჩიკაგო ტრიბუნის“ ვერსიას ლონდონის თათბირების ნამდვილ დანიშნულების შესახებ.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ინგლისის თათბირზე განზრახულია ამერიკელ და ფრანგ ბანკირების კონტროლის დაწესება, საფრანგეთის ფინანსებზე დეფლიაციის გატარება, ოქროს პარიტეტის აღდგენა და საფრანგეთის საშინაო სესხის ლიკვიდაცია, რისთვისაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინის ობლიგაციების შეცვლა ახალი კურსის ბონებით. ეს ღონისძიებანი გააერთიანებდენ საშინაო სესხის ობლიგაციების პატრონებს და გამოიწვევდენ სერიოზულ უმუშევრობას, რაიც დროებით შეასუსტებდა შეერთებულ შტატების ექსპორტს საფრანგეთში. პროექტი, რომელსაც თათბირი იხილავდა, გულისხმობს, რომ დეფლიაციის შემდეგ შეერთებული შტატები საფრანგეთს მსხვილ სესხს მისცემს, ისე რომ ამერიკელი და ინგლისელი ბანკირების ხელმძღვანელობით გავლენა დაცული იქნება.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ კონტროლის დაწესება განზრახულია იმ ქვეყნებშიაც, სადაც დეფლიაცია არაა გატარებული, მაგ. იტალიასა, ბელგიასა, პოლონეთსა, რუმინეთსა, ჩეხოსლოვაკიასა სამხრეთ-სლავიასა და ბალტიის მხარეში.

განზრახულია ისეთი ფინანსიური აპარატის შექმნა, რომელიც შეერთებულ შტატებს საშუალებას მისცემს ჩაერიოს ევროპის საქმეებში ერთა ლიგის დამოუკიდებლად.

ამ გეგმის გატარება შეერთებულ შტატებს და ინგლისს გააბატონებს ევროპის ბირჟაზე.

მდგომარეობა პოლონეთში [illegible] გაურკვეველია

მემარჯვენე წრეები შეიარაღებული ბრძოლისათვის ემზადებიან

პილსუდსკი დასთანხმდა პრეზიდენტათ თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე

პოლონეთის ნაციონალური კრება შეიკრიბება 31 მაისს

პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 23 მაისი. მდგომარეობა პოზნანში ისევ გამოურკვეველია.

პოზნანის გაზეთები პილსუდსკის შესახებ მეტად მძაფრად ლაპარაკობენ.

„კურიერ პოზნანსკი“ სწერს:

„ხალხი არ დაუთმობს მეამბოხეების სისხლიან ძალადობას და გაშლილ ბრძოლაში დაამარცხებს მას და მის ზურგში მდგომ კომუნიზმს“.

კლერიკალური **„ორენდოვნიკ ველიკოპოლსკი“** სწერს:

„მცხოვრებთა ფართო მასები აღშფოთებულნი არიან, რომ მთავრობაში სახელმწიფოს მოღალატეა. ისინი მოუთმენლად ელოდებიან ბრძანების გამოსვლას იმის შესახებ, რომ პოლონეთის სხეულს მოსჭრან დაჩირქებული მუწუკი — ამბოხებისა, შეთქმულობისა და სამოქალაქო ომის ჩანასახი.

პოზნანის სათადარიგო ოფიცერთა კავშირმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ერთად ერთი გზა მხარეში მშვიდობიანობისა და კანონიერების აღსადგენათ ამბოხების ჩაქრობაა. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ პოზნანის ხელმძღვანელმა წრეებმა დანიშნონ შეიარაღებულ ძალების მთავარსარდალი, რომელმაც ამბოხების ჩაქრობას უნდა უხელმძღვანელოს.

მემარჯვენენი თავიანთ თავს არ სთვლიან დამარცხებულად

ვარშავა, 23 მაისი. უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს ერთმა გამოჩენილმა პიასტოველმა განაცხადა:

„მემარჯვენენი თავიანთ თავს არ სთვლიან დამარცხებულად. მდგომარეობა ირკვევა. ამ ჟამად თითქმის ყველა პარტიები მოითხოვენ სეიმის დათხოვნას და კონსტიტუციის შეცვლას. მოლაპარაკება მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის ისევ გრძელდება. პილსუდსკი უნდა წავიდეს დათმობაზე მემარჯვენეთა მიმართ, თუ კი მას მართლა სურს პოლონეთში მშვიდობიანობის დამყარება.

„ღმერთისა და სამშობლოს წინაშე“

ვარშავა, 23 მაისი. პოზნანის გარნიზონის ნაწილებს, რომლებიც ვარშავასთან ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ, და უკან დაბრუნდნენ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს, რომელმაც ფართო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ორატორები აქებდენ ამ ჯარის მამაცობას, რომელმაც „ვარშავასთან ბრძოლაში“ თავისი მოვალეობა შეასრულა „სამშობლოსა და ღვთის წინაშე“.

სტუდენტთა ფაშისტურმა ლეგიონმა პოზნანში დაადგინა—არ დაიშალოს.

პილსუდსკის — პრეზიდენტად ასახელებენ

ვარშავა, 23 მაისი. **სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“ სარწმუნო წყაროდან იტყობინება, რომ პილსუდსკი დასთანხმდა თავის კანდიდატურა წამოაყენოს პრეზიდენტის თანამდებობაზე.**

ამ ცნობამ პოზნანის მემარჯვენეთა წრეებში გაღიზიანება გამოიწვია: მათ განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებიან პილსუდსკის კანდიდატურაზე.

უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს პიასტოველმა დემბსკიმ განაცხადა, რომ სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ საბოლოოდ უარი განაცხადა თავისი კანდიდატურა წამოაყენოს პრეზიდენტის თანამდებობაზე. „ძნელია იმის თქმა, დასძინა დემბოვსკიმ თუ ვინ იქნება არჩეული პრეზიდენტად, მაგრამ პილსუდსკის დიდი შანსები აქვს“.

მემარცხენე პარტიები შეეცადენ ბელორუსების, უკრაინელებისა და ებრაელების მიმხრობას, რომ ეროვნულ ყრილობაზე ხმა მისცენ პილსუდსკის კანდიდატურას.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა უარი სთქვეს ეხლავე პასუხის გაცემაზე და განაცხადეს, რომ ამ საკითხს ისინი ეროვნულ ყრილობის მოწვევის დროს გადასწყვეტენ.

პადერევსკი მემარჯვენეების კანდიდატია

ვარშავა, 23 მაისი. სენატის თავმჯდომარემ ნაციონალ-დემოკრატმა ტრომპჩინსკიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა პრეზიდენტის თანამდებობაზე, მიუხედავათ იმისა, რომ მემარჯვენეები დაჟინებით სთხოვდენ.

მემარჯვენეების კანდიდატად ასახელებენ პადერევსკის, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა პოლონეთში.

ნაციონალური კრება

ვარშავა, 23 მაისი. პოლონეთის სეიმის თავმჯდომარემ და პრეზიდენტის თანამდებობის დროებით აღმასრულებელმა **რატაიმ** პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ნაციონალური **კრება ვარშავაში იქნება მოწვეული 31 მაისს.**

როგორც რატაიმ განაცხადა, მთავრობამ მას გარანტია მისცა, რომ ნაციონალურ კრებას სრული თავისუფლება მიეცემა.

ეროვნული კრების მოწვევის წინ

პარიზი, 24 მაისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით პილსუდსკი თავის კანდიდატურას აყენებს პრეზიდენტის თანამდებობაზე.

ვარშავა, 24 მაისი. რატაიმ განაცხადა, რომ თუ ვინმეს მხრივ ნაციონალური კრების თავისუფლება საფრთხეში იქნა ჩაყენებული, კრების მოწვევის თარიღი შეცვლილ იქნება და არჩეულ იქნება სხვა ადგილი მისი მუშაობისათვის.

საფრთხე არ არის განვლილი

პარიზი, 24 მაისი. ბრაუნსმა ვენაში „ნეიე ფრეიე პრესე“-ს თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ გადატრიალების საფრთხე გერმანიაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განვლილი. უკიდურეს მემარჯვენეების ორგანიზაციები უფრო საშიში არიან, ვინემ კომუნისტები.

საბჭოთა პრესა

მმართველობის აპარატის გაჯანსაღება

მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი დაწესებულებათა რაციონალიზაცია და ბიუროკრატიზმის ნაშთების აღმოფხვრა მათში. დღეს უმთავრესად ხდება შტატების მექანიკური შემცირება, ისიც მხოლოდ სამუშაო აპარატის, ხოლო მმართველი აპარატი მეტწილად ხელუხლებელი რჩება, ნამდვილად კი ეს უკანასკნელიც ბევრ ალაგას მრავალრიცხოვანია და გაბერილი, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი დაწესებულება-ორგანიზაციების მმართველობის სისტემის გამარტივებას. ჩვენი აპარატის ერთ-ერთ მტკივან მხარეს, რომელიც კვებავს ბიუროკრატიზმს, წარმოადგენს რთული, მრავალფეროვანი დაქვემდებარება მის ამა თუ იმ სამუშაო, აღმასრულებელ ელემენტსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის.

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ სწერს ამის გამო:

„რაც მცირე არ უნდა იყოს ესა თუ ის სამეურნეო ერთეული, ჩვეულებრივ ისეთი წესია შემოღებული, როცა ზევიდან გამომავალმა განკარგულებამ უნდა გაიაროს რამოდენიმე საფეხური--განსაზღვრული ნაწილის ან განყოფილების გამგის საშუალებით შესაფერ ქვე/განყოფილებაში. აქედან კი იმ პირის ხელში, რომლის კომპენტენციაში შედის ესა თუ ის საკითხი. უკვე შესრულებული სამუშაო აკეთებს მძიმე გზას იმავე წესით, გაივლის რა იმავე გრძელ ადმინისტრატიულ საფეხურს. თუ წმინდა ოპერატიულ სამეურნეო ორგანიზაციებში საქმის მსვლელობა, რომელიც გადადებას არ ითმენს, კიდევ დააჩქარებს ამ მოძრაობას და საქმის მოგზაურობის სისწრაფეს, ვსთქვათ, დღეებით განსაზღვრავს, სამაგიეროთ ზოგიერთ ორგანოში, სადაც ცხოვრების ზეგავლენას ნაკლებ მძლავრად გრძნობენ, მეტად ცოცხალ და მნიშვნელოვან საქმის მოგზაურობაც კი ხშირად მთელი კვირეების განმავლობაში გრძელდება“.

ჩვენ ვიტყოდით, რომ ხანდახან არამც თუ კვირეების, არამედ მთელი თვეების განმავლობაში უხდება ამა თუ იმ საქმეს მოგზაურობა დაწესებულებების შიგნით, ან ერთიდან მეორე დაწესებულებამდე,თუ უარეს შემთხვევაში მთლად არ დაიკარგა იგი. და ამაში დამნაშავეა არა მარტო ბიუროკრატიზმის სენით შეპყრობილი პირები, რომელნიც ჯერ კიდევ ბლომად ბუდობენ ჩვენს დაწესებულებებში, არამედ თვით სამმართველო სისტემის ნაკლულოვანებანი. ამ მხრივ კერძოდ აღსანიშნავია მმართველობის აპარატის ცალკე ნაწილებში საკითხის შეთანხმების მუდმივი აუცილებლობა.

„ჩვეულებრივ აღმოცენებული განყოფილებათა წყობაში ფუნქციონალურ და ორგანიზაციულ გარკვეულობის უქონლობაზე,—სწერს ხსენებული გაზეთი,—ეს მოვლენა იწვევს კიდევ მეტ დროს დაკარგვას საქმიან საკითხის გადაჭრისას. განყოფილებათა შორის ურთიერთი დამოკიდებულების მოუგვარებლობის დროს, ეს გარემოება ხშირად იწვევს იმას, რომ საქმე, რომელიც არ ითმენს გადადებას, ჩერდება გამგეობაში, მიდის შესათანხმებლად, მას აბრუნებენ უკან ხელმეორედ დასამუშავებლათ და სხ... გარეგნული ფორმა, რომელშიც აშკარავდება მმართვის ეს სნეულება, ჩვეულებრივ გამოიხატება არა მარტო საქმის წარმოების უზომო ზრდაში, არამედ სამმართველოს დერეფნებში— ოპერატიულ მუშაკების მუდმივ, განუწყვეტელ მოძრაობაში—მოხსენებებისათვის, ინსტრუქციებისათვის, შეთანხმებისათვის და სხ.“.

ყველაფერი ეს კლავს ცოცხალ საქმეს. ამასთან უთავბოლოდ იკარგება აუარებელი დრო. სამმართველო აპარატის ამ მტკივან მხარეებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. განყოფილებათა ფუნქციების მკაფიოთ განსაზღვრა, დაწესებულების ყველა ელემენტებს შორის შეთანხმებული მუშაობის დამყარება, ისე რომ განდევნილ იქნას ყოველი ზედმეტი მომენტი, სიმარტივის და სისწრაფის განხორციელება მუშაობაში—აი რაა საჭირო მმართველობის გაჯანსაღებისათვის.

◆

ნაცარტუტიდან აღმდგარი სომხეთი

(საუბარი ამხ. ს. ორჯონიკიძესთან)

ამ დღეებში სომხეთიდან დაბრუნდა ამხ. ს. ორჯონიკიძე, რომელიც მიწვეული იყო სომეხ ამხანაგების მიერ ერევანის ჰიდრო - ელსადგურის საზეიმო გახსნაზე დასასწრებლად. ჩვენ კორესპონდენტთან საუბარში, საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ სომხეთში, მან განაცხადა შემდეგი:

უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში სომხეთს დიდი მიღწევები აქვს.

უკანასკნელად მე ვიყავი სომხეთში 1922 წლის ზაფხულზე. მაშინ მთელი სომხეთი წარმოუდგენელ სიღარიბეში იყო; ყველაფერი დანგრეული და გაპარტახებული—ამას ყოველ ნაბიჯზე დაინახავდით; ერევანი ცარიელი და დაღვრემილი; ლენინაკანი დანგრეული და გაძარცვული; ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე ეყარენ ძონძებში გამოხვეული მათხოვრები. არასოდეს არ დამავიწყდება, 21 წელში, გზაზე ერევნიდან ეჩმიაძინში მე ვნახე მიწაზე დაგდებული, სიმშილისაგან დაღრეჯილი დედაკაცი. მახსოვს, როგორ ცდილობდა ამხ. შაველდიანი (მაშინ აღმასკომის თავმჯდომარე), რომელიც მუშებს ამერიკის დამხმარე კომიტეტის მიერ მიცემულ ბრინჯს ურიგებდა, წესრიგში მოეყვანა ლენინაკანის ერთი ქუჩა მაინც. მახსოვს, როგორი დიდი შრომა გასწია მან, რომ ერთი საავადმყოფი და აბანო შეაკეთებინა.

მაგრამ დღეს სომხეთში სულ სხვა მდგომარეობაა: იქ ყველგან აღმშენებლობითი მუშაობაა გაჩაღებული. ყველა ჩათრეულია ამ მუშაობაში. ყველა ხარობს და ამაყობს მიღწევებით. ველარ იცნობთ ერევანს, ქალაქი ელექტრონითაა გაჩირაღდნებული; ქუჩები მოკირწყლულია და საღამოობით სუფთად ჩაცმული ხალხით არის სავსე. თეატრი ხალხითაა გაჭედილი. შენდება ახლები, სწარმოებს ძველის შეკეთება. თვით ერევნის სადგურთან აშენებულია ახალი ქარხნები: ბამბის საწმენდი, ზეთის სახდელი და საპნის. ზეთის სახდელ ქარხანაში განძრახულია ერთი მილიონი ფ. ბამბის თესლის გადამუშავება. [illegible] ხედავს „[illegible] [illegible] ახალგაზრდა ანარქისტა, ჰქვია დაახალა რომელიღაც დაშნაკს, შემდეგ გაიპარა საზღვარგარეთ და სწავლობდა ქიმიას, რომ ბურჟუები აეფეთქებია. ახლა ის მუშაობს საბჭოთა სომხეთში, სადაც ბურჟუები არ არიან.

იქვე აგებულია ხუთი შესანიშნავი ორ-ორ სართულიანი მუშათა სახლი. ჩვენ ამხანაგებთან ერთად მუშაობაში ჩაბმულია სომხეთის ინტელიგენციაც. ცნობილი არქიტექტორი მოხუცი ტამანიანი, მთელი თავისი არსებით ჩაბმულია სომხეთის აღმშენებლობაში. უნდა გენახათ, როგორ გახარებული იყო მოხუცი ერევნი ჰიდრო - ელექტრო - სადგურის გა სნის დღეს. ამ სადგურის აგება და ყეს 1925 წლის გაზაფხულზე. და კური მთავრობის ყოფ. თავმჯდ მარემ, **ინჟენერმა კაჩაზნუ** დასავლეთ ევროპის მთავრობ დერეფნებში ხეტიალს ამჯობ საბჭოთა სომხეთში დაბრუნება დ მუშათა სახლების აშენება. (ზ და საპნის ქარხნებთან არსებ სახლები ინჟენერ კაჩაზნუნიმ ა ნა).

უდიდესი ირიგაციული სამუ ებიც აგრეთვე სომეხ ინტელ ციის ტეხნიკური ძალების საშუ ბით სწარმოებს.

ლენინაკანი კიდევ უფრო გ სხვაფერებულია: აგებულია საქ ფაბრიკის დიდი შენობა, სადაც მოცი ათასი სახვევი თავსდება. ყოფ. ლუდის სახდელი ქარხანა, მელიც გადაკეთებულია საქ ფაბრიკისთვის საჭირო კვალიფი რი მუშა-ხელის გადასამზადებ აქ სწავლობენ და საწილობრივ დაამთავრეს სწავლა 850 მუშა მუშები ყველა ობლებია, რომლ მშობლები ომის დროსა და და ლების მიერ მოწყობილ სო თათართა ჟლეტაში დაჰკარგეს. მუშიდან 500 კაცი უკვე კომ რის უჯრედში ირიცხება. მათ ფასი 15-დან 80 მანეთამდე თვიურად. ფაბრიკა დამთავრ იქნება უახლოებულეს თვეებში იმუშავებს რამდენიმე ათასი [illegible]

იქვე შენდება ჰიდრო-ელექტ[illegible] გური შირაქის არხზე, რომელ[illegible] შან დავამთავრეთ. ქალაქი [illegible] შია მოყვანილი. აღდგენილი [illegible] ფართოებულია ძველი ბაღ[illegible] ბა ახალი თეატრი და კინო[illegible] ბულია ახალი ბაღი. საე[illegible] აღარ არის ის ლენინაკანი, [illegible] მე ვნახე ოთხი წლის წინა[illegible] არის ის სომხეთი, რომელიც [illegible] 1921—22 წელში. ყველგა[illegible] [illegible] ლების ქვეშ მყოფი პროვინციები. [illegible] ობაა. ჩვენმა ამხანაგებმა დასძლიეს უდიდესი სიძნელენი. პატიოსნად მუშაობს და ემსახურება სომხეთის მშრომელთა ნამდვილ ინტერესებს სომხეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი.

აღსანიშნავ კიდევ ერთ მოვლენას რომელსაც ჯერ მხოლოდ საბჭოთა სომხეთში აქვს ადგილი. ყველა სამუშაოები, რომლებსაც ამხ. სომხები აწარმოებენ და ეხლა ათავებენ, ისინ ათავებენ ათიდან ოცდაათი პროცენტის ეკონომიით წინააღმდეგ დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვისა.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

პარიზი, 23 მაისი. საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის საფინანსო კომისიის სარედაქციო კომიტეტის სხდომას დაესწრენ მეფის ვალების ობლიგაციების პატრონთა წარმომადგენლები, რომელნიც მოწვეული იყვნენ საფრანგეთის დელეგაციის მიერ.

ამ სხდომის შესახებ ზოგიერთი ფრანგული გაზეთი ირწმუნება, რომ საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა, წლიური გადასახადი განისაზღვროს 40 მილ. ოქროს ფრანკით. საფრანგეთის დელეგაცია კი მოითხოვს 25 მილ. დოლარს.

ამის გამო საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საბჭოთა დელეგაციის წრეებში განუცხადეს: ფრანგული გაზეთების ცნობა მოლაპარაკების მიმდინარეობისა და წლიური გადასახადის რაოდენობის შესახებ სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს.

ამავე დროს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ მოლაპარაკება ნორმალურად მიმდინარეობს და ერთობ საქმის ხასიათს ატარებს.

◆

მოსულის საკითხი

ლონდონი, 24 მაისი. ჟენევიდან მოსულ ოფიციალურ ცნობების მიხედვით ახლო ხანში იქ მოელიან ხელის მოწერას ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულებაზე. ბრიტანეთის ელჩმა და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მოთხოვეს, რომ მოლაპარაკება საიდუმლოდ იყოს დაცული. როგორც იუწყებიან, შეთანხმება შემდეგში უნდა გამოიხატოს: ოსმალეთი უზრუნველჰყოფს საზღვრების შესწორებას, რომელიც თუმცა არ უბრუნებს მას მოსულს, მაგრამ აძლევს მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობებს; დიდი ბრიტანეთი, ოსმალეთი და ირაქი ხელს აწერენ უშიშროების ხელშეკრულებას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სპარსეთიც. დადებული იქნება ეკონომიური კონვენცია, რომელიც საშუალებას მისცემს ოსმალეთს მოსულის ვილაიეთის ბუნებრივი სიმდიდრე მისთვის მისაწვდომი გახდეს. ლოზანის ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთი დაუყოვნებლივ აღძრავს შუამდგომლობას მისი ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

◆

მაროკოში

ასე სწერენ ფრანგები

ბერლინი, 24 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით აბდ-ელ-ქერიმი დაატყვევა საკუთარმა ჯარმა.

ლონდონი, 24 მაისი. ტანჟერიდან მიღებულ ცნობის მიხედვით აბდ-ელ-ქერიმი თავის ოჯახობით ტყვედ იქნა წაყვანილი ტარგუისტში.

◆

ჩინეთში

შეტევა სახალხო არმიის წინააღმდეგ

ხარბინი, 22 მაისი. იაპონიიდან მიღებული ცნობებით, მუკდენში ხეილუნ-ძიანის პროვინციის გუბერნატორ უც-გი-შენის ჩასვლა მოწმობს იმას, რომ მუკდენის სარდლობას გადაწყვეტილი აქვს დაიწყოს შეტევა სახალხო არმიის წინააღმდეგ.

უც-ძი-შენი იქნება იმ ნაწილების წინამძღოლი, რომელნიც შეტევას დაიწყებენ სახალხო არმიის წინააღმდეგ.

◆

ახალი ექსპედიცია ჩრ. პოლიუსისაკენ

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

პარიზი, 24 მაისი. „ეკო დე პარი“ იტყობინება, რომ საფრანგეთის სამეცნიერო ექსპედიცია ლეიტენანტ დაროის მეთაურობით გაემგზავრა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღაროს მუშათა გაფიცვა ინგლისში გრძელდება

მუშები კატეგორიულად უარყოფენ მაღაროს მეპატრონეთა წინადადებებს

„მუშები ამჯობინებენ სიმშილით სიკვდილს წმინდა ჰაერზე, ვიდრე მიწის ქვეშ"

ინგლისმა ბელგიაში და შეერთებულ შტატებში შეიძინა ქვანახშირი

ბალდუინი „სწუხს"

ლონდონი, 23 მაისი. მაღაროს პატრონთა კავშირს **ბალდუინმა** გაუგზავნა წერილი, სადაც მწუხარებას გამოსთქვამს იმ ჯიუტობის გამო, რომელიც მაღაროების პატრონებმა გამოიჩინეს მთავრობის წინადადებაზე, ხელფასის მინიმუმის დანიშვნის შესახებ.

ბალდუინი მიუთითებს, რომ მეპატრონეები ალბათ სათანადოთ ვერ აფასებენ მთავრობის წინადადებას და შექმნილ მდგომარეობას.

ინგლისი საზღვარგარეთ ყიდულობს ქვანახშირს

ლონდონი, 23 მაისი. გამოქვეყნებულია ცნობები უცხოეთიდან ინგლისში ქვანახშირის შემოტანის შესახებ.

შეერთებულ შტატებიდან შემოვა 19.000 ტონა, ბელგიიდან—2.500 ტონა. ამას გარდა უკანვეა შესყიდული ორი ტრანსპორტი, რომელიც საფრანგეთში იგზავნებოდა.

მაკდონალდის განცხადება

პარიზი, 24 მაისი. მაკდონალდმა განაცხადა, რომ მაღაროების მუშებს შეუძლიათ 13 კვირის განმავლობაში განაგრძონ გაფიცვა.

ლონდონიდან მიღებული ცნობით, ინგლისის მთავრობამ ლორდ კანცლერს დაავალა შეისწავლოს არსებული კანონმდებლობანი პროფკავშირების შესახებ. განზრახულია რეფორმის გატარება, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება სავალდებულო ფარული კენჭის ყრა გაფიცვის გამოცხადების წინ და პროფკავშირების პოლიტიკური ძალა-უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა.

ბალდუინის წერილი სამთო-მადნო მუშებისადმი

ლონდონი, 23 მაისი. სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომს **ბალდუინმა** გაუგზავნა წერილი, სადაც ის აცხადებს: სანამ სამთა-მადნო მუშები ანგარიშს არ გაუწევენ ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დროს გადიდების შესაძლებლობას, **მას უნაყოფოდ მიაჩნია თათბირის გაგრძელება.**

ბალდუინი აღნიშნავს, რომ მათ დაუყოვნებლივ მიიწვევს თავისთან, როცა გაიგებს, რომ მუშები მზათ არიან —მიიღონ მთავრობის წინადადება.

-ბოლოს ბალდუინი აცხადებს: ქვანახშირის წარმოებაში მუშაობის შეწყვეტის გამო სახელმწიფო ფინანსებს დიდი ტვირთი აწვება; ამიტომ მთავრობას 31 მაისიდან შეძლება აღარ ექნება—დახმარება აძლიოს ქვანახშირის წარმოებას.

გაზეთების უკმაყოფილება

ბერლინი, 24 მაისი. მაღაროების პატრონთა მიერ ბალდუინის წინადადებაზე უარის თქმამ, ინგლისის გაზეთები მათ წინააღმდეგ ამხედრა.

გაზ. „სტარ" სწერს: „მაღაროს მეპატრონეთ ჰგონიათ, თითქოს ისინი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში სცხოვრობენ".

„მანჩესტერ გარდიენ" ამბობს, რომ მაღაროს მეპატრონენი კმაყოფილნი იქნებიან მხოლოდ იმ პირობებით, რომლებსაც თვითონ ისინი უკარნახებენ.

კუკმა განაცხადა, რომ „გაფიცული მუშები თანხმდებიან, რომ მაღაროები დახუროს სამუდამოდ, ვიდრე მონად გახდომის პირობები მიიღონ".

ამერიკელ მკერავალთა დახმარება

ნიუ-იორკი, 23 მაისი. მონრეალში (კანადაში) შეკრებილმა ამერიკის სამკერვალო წარმოების მუშათა ყრილობამ დაადგინა, **ინგლისის პროფკავშირთა გენერ. საბჭოს გადასცეს 25.000 დოლარი; მაგრამ ფული არ გადაიგზავნა საერთო გაფიცვის შეწყვეტის გამო.**

ეხლა დადგენილია, ეს თანხა გადაეცეს სამთა-მადნო მუშათა ფედერაციას.

უარის თქმა დახმარებაზე

ლონდონი, 23 მაისი. მონმუშირის რამოდენიმე ათასი სამთომადნო მუშა გამოცხადდა ღარიბთა სამზრუნველოში დახმარების სათხოვნელად. სამთომადნო მუშები პოლიციელებმა გარეკეს, სამზრუნველომ კი განაცხადა, მას არ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს უცოლო სამთომადნო მუშებს, თუ ისინი სულ ლატაკები არ არიან, მით უფრო, რომ მან უარი უთხრა დახმარებაზე სამთომადნო მუშების ცოლებს და შვილებს.

სამთომადნო მუშების სიმტკიცე

ლონდონი, 22 მაისი. „ტაიმს"-ის კორესპონდენტის ცნობით, მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სამთამადნო მუშების სიმტკიცემ. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ თუ სამთამადნო მუშებს შორის კენჭის ყრა მოხდა, 5-ში 4 ხმას მისცემს იმ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც შეძლავს დათმობას მაღაროების პატრონების მიმართ. ერთ-ერთმა მუშამ განაცხადა: „ჩვენ გვირჩევნია შიმშილით მოვკვდეთ სუფთა ჰაერზე; მიწის ქვეშაც, ხომ სიმშილით სიკვდილი გველის".

ღამის ცნობები

ამხ. ტომსკის დაბრუნება

მოსკოვი, 22 მაისი. პარიზიდან დაბრუნდა საკავშირო პროფკავშირების ცენტ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტომსკი.

ინგლისის პრესა გადატრიალების შესახებ

ლონდონი, 23 მაისი. ინგლისის გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პოლონეთის ამბებს. „ეკონომისტი", ფინანსიური წრეების ორგანო, ფიქრობს, რომ პილსუდსკის მიერ მოხდენილი გადატრიალება შეასუსტებს საფრანგეთ-პოლონეთის კავშირს და შეარყევს აღმოსავლეთ ევროპის სიმტკიცეს. „პილსუდსკიმო, ამბობს ნაალი, მიუტევებელი და საშიში საქმე ჩაიდინაო".

ლონდონი, 23 მაისი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი, გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი ფიქრობს, რომ პილსუდსკის მომხრე მოსახლეობის სხვადასხვა ქონების პრეტენზიების დაკმაყოფილება აუარება თანხას მოითხოვს. პილსუდსკისადმი მტრულად განწყობილი წრეების ყოფა-ქცევა მოწმობს, რომ პოლონეთში ჯერ კიდევ მერყევი პოლიტიკური მდგომარეობაა„

რეპრესიები პრესის წინააღმდეგ

ვარშავა, 23 მაისი. ვარშავის მემარჯვენე გაზეთებს ყოველ დღე კონფისკაციას უშვრებიან. დღეს კონფისკაცია უყვეს ქრისტიანულ-ნაციონალურ პარტიის ორგანოებს „ვარშავიანკას" და „რეჩ პოსპელიტას".

ვერსალის ხელშეკრულების გაკოტრება

ვაშინგტონი, 23 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სენატორ ბორამ განაცხადა, რომ პილსუდსკის გამოსვლა მოწმობს ვერსალის ხელშეკრულების გაკოტრებას, და რომ ევროპაში მშვიდობიანობა შეუძლებელია, სანამ გადასინჯული არ იქნება ვერსალის მიერ შემუშავებული საზღვრები.

არ აქვთ განზრახვა

ვაშინგტონი, 23 მაისი. შეერთებული შტატების მთავრობამ არ მოიწონა იაპონიის წინადადება საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის მიზნით დაუყოვნებლივ კონფერენციის მოწვევა შეერთებული შტატების, ინგლისის და იაპონიის მონაწილეობით. ოფიციალურად იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატებს განზრახვაც არ აქვთ განიხილონ საკითხი ასეთი კონფერენციის მოწვევის შესახებ, სანამ თავის მუშაობას არ დაამთავრებს ხალხთა ლიგის მიერ მოწვეული განიარაღების კონფერენცია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დროს მომჭირნეობა

მომჭირნეობის გასატარებლად მთელი რიგი კომისიები შეუდგენ მუშაობას. პრესა დიდ ადგილს უთმობს ამ საკითხს. ადგილებზე კეთდება მოხსენებები და სხვა. ერთი სიტყვით ამუშავებულია საზოგადოებრივი აზრი და სასურველ შედეგებსაც უნდა მივაღწიოთ. მე მინდა ამ წერილით მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგს: ამჟამად შექმნილი კომისიები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ წმინდა ეკონომიურ - ფინანსიურ კითხვების მოგვარებას, როგორც მაგალითად: აპარატების მინიმუმამდე დაყვანა, ზედმეტი მივლინებების მოსპობა და სხვა. მაგრამ მომჭირნეობის ერთ დიდს კითხვას შეადგენს დროს გამოყენება. ყველამ იცის, რომ არც ერთი კრება დანიშნულ დროზე არ იხსნება. კრების მონაწილემ უსათუოდ ერთი საათით უნდა დაიგვიანოს იმ დროს, როდესაც კრების ნაწილი უკვე მოსულია და ძალაუნებურათ უხდება უბრალოთ დროის დაკარგვა. ამ მოვლენას საზოგადოთ ავადმყოფური ხასიათი აქვს და მას ბოლო უნდა მოეღოს. აბა წარმოიდგინოს კაცმა, რამდენი კრებები და თათბირები ეწყობა მთელ კავშირში და რამდენი საათები იკარგება კრებების დაგვიანებით გახსნით. ჩვენ მიზნათ გვაქვს ცხოვრების „ამერიკანიზაცია", ამავე დროს ასი ათასობით საათები გვეკარგება. ამ კითხვას არსებული კომისიები ვერ მოაგვარებენ. ამ შემთხვევაში საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშაონ სათანადო ღონისძიებანი, რომელიც მთელი სიმკაცრით უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

ხ. ლ.

მივლინებები უნდა შევამციროთ

წარმოება-დაწესებულებების ზედმეტ ხარჯების შემცირების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მივლინების საკითხს. ზოგიერთ შემთხვევაში ერთგვარ შემოსავლის წყაროთ იყო გადაქცეული. არა-ერთი ისეთი მაგალითებიც გამოარკვია უკანასკნელმა მასიურმა შემოწმებებმა, რომლებიც ტარდება ეკონომიის რეჟიმთან დაკავშირებით, როცა ესა თუ ის პასუხისმგებელი პირი უფრო მეტ დროს მივლინებებში იმყოფება, ვიდრე თავის მუდმივ სამუშაოზე.

ხშირად ასეთი მდგომარეობა აუცილებლობითაა გამოწვეული. ხანგრძლივი მივლინება მართლაც საჭიროა. მაგრამ ამ შემთხვევაში ნუ თუ არ სჯობია, რომ დაწესებულებამ თუ წარმოებამ იყოლიოს მუდმივი რწმუნებული მივლინებაში მყოფის ნაცვლად. ეს გაცილებით იაფი დაჯდება და საქმესაც უფრო მოუხდება.

მაგრამ მივლინებათა ბოროტათ გამოყენება მარტო ამით არ განისაზღვრება. ზოგჯერ მივლინებაში მყოფს უწერავენ დღიურების სახით გაცილებით მეტს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სათანადო დებულებებით. და, რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, მივლინებებით სარგებლობენ უმთავრესად ერთი და იგივე პირები, ყველა პასუხისმგებელი ან დიდი ჯამაგირის მქონე მუშაკები.

ეს მაშინ, როცა ზოგჯერ არის შესაძლებლობა (და ამ საქმისათვისაც ეს უფრო სასარგებლოა) მივლინებაში გაიგზავნოს დაბალი ტექნიკური მომუშავე, რომელიც ისეთივე წარმატებით შეასრულებს დავალებას, როგორც პასუხისმგებელი მუშაკი ან დიდი ჯამაგირის მქონე მოსამსახურე. მაგრამ ამას ნაკლებათ ექცევა ყურადღება. ჩვეულებათ გადაიქცა პასუხისმგებელ პირების და სპეცების მივლინებაში მოგზაურობა და ეს ჩვეულება მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში მაშინაც კი, როცა ეს არავითარ საჭიროებით არაა გამოწვეული.

გარდა ამისა, ანგარიშში მისაღებია კიდევ ერთი გარემოება. შვებულება უმეტეს შემთხვევაში ფაქტიურათ იმავე დასვენებას უდრის. მოგზაურობა, გაძლიერებული კვება (რადგან დღიურები იწერება) და ერთი ან რამდენიმე საკითხების მოგვარება, რომელიც დიდ შრომასა და დროს არ ითხოვს. ნუ თუ ეს დასვენება არაა? ასე რომ, ვიმეორებთ, ხშირად მივლინება იგივე შვებულებაა. მიუხედავათ ამისა, სინამდვილეში ყველაზე მეტად ის სარგებლობს შვებულებით, ვინც მივლინებებში იმყოფება.

ამიტომ, რომ მივლინებათა სენი რამდენადმე მაინც შევამციროთ, საჭიროა სათანადო ორგანოებმა შვებულებათა განაწილების დროს იხელმძღვანელონ ამ მოსაზრებით და უკანასკნელ რიგში მისცენ შვებულება მათ, ვინც ყველაზე მეტად სარგებლობს მივლინებებით.

ფლანელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

ერთი მავნე გადახრა

ზოგიერთ შემთხვევაში მომჭირნეობის რეჟიმი სამეურნეო-ადმინისტრატიულ დაწესებულებათა მიერ თავისებურათ იქნა გაგებული. ამას შედეგათ მოჰყვა შრომის კანონმდებლობის შელახვა და დაწესებულება-წარმოების მუშაკთა ისეთ კატეგორიების შემცირება, რომელნიც მეტ ხარჯებს ითხოვენ დამქირავებლისაგან, მაგრამ რომელთაც შრომის კანონთა კოდექსის ძალით სრული უფლება აქვთ ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათებით.

საკითხი ეხება ერთი მხრივ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებს და მეორე მხრივ ქალებს. ავადმყოფთა შორის ზოგჯერ ხსნიან სამუშაოდან ისეთებს, რომელთაც წლობით უმუშავნიათ წარმოებაში თუ დაწესებულებაში და ამ მუშაობაში დაუკარგავთ თავიანთი ძალ-ღონე. ამასთან-ერთად არის მიდრეკილება მუშა-მოსამსახურე ქალების შემცირებისაკენ, რადგან დაქირავებული ქალი წარმოება-დაწესებულებას უფრო ძვირათ უზის, ვიდრე მამაკაცი.

ეს კიდევ დასშვებია, თუ ერთ ოჯახიდან, რომელსაც საერთო ბიუჯეტი აქვს, მსახურობს რამდენიმე პირი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მუშა-მოსამსახურე ქალების და წარმოება-დაწესებულებებში დაავადებულ მამაკაცების შემცირება ხდება ყოველივე მოსაზრების გარეშე, გარდა ერთისა, შემოკლებულ იქნას ის ზედმეტი ხარჯები, რომელსაც იწვევს ასეთ მუშაკთა შენახვა.

მუშა-ქალების ასე ხელაღებით შემცირებას ერთ-ერთ წარმოებაზე ეხება „რაბოჩაია გაზეტას" (№109) კორესპონდენტი ქ. რიბინსკიდან:

„წუმწუმის ქარხანა „მაიაკში", სწერს კორესპონდენტი, საკოლოფე განყოფილებაში მუშაობს 16 ქალი. სამეურნეო მუშაკებმა მომჭირნეობის რეჟიმის მოსაზრებით გადასწყვიტეს ქალების მამაკაცებით შეცვლა. საბაბათ იხმარეს: მშობიარობა, ბავშთა კვება და სხვა.

ფაბრიკის გამგეობამ უკვე მოასწრო შვიდი კვალიფიციურ მუშა-ქალების მამაკაცებით შეცვლა. სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭომ მოიწონა ასეთი ნაბიჯი და მიმართა თხოვნით პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს არ გაეწია წინააღმდეგობა ასეთ ღონისძიებათა ჩატარების დროს. სახალხო მეურნეობის საგუბერნიო საბჭოც თავის თხოვნას „მომჭირნეობის რეჟიმით" ასაბუთებდა.

იაროსლავის საგუბერნიო პროფსაბჭომ გადასწყვიტა აუკრძალოს სამეურნეო მუშაკებს ქალთა ასეთი შემცირების ცდების ჩატარება".

მომჭირნეობის რეჟიმის ასე გაგებას ყველა შეგნებული საბჭოთა მუშაკი გაუწევს წინააღმდეგობას. თუ სადმე იყო ამგვარი მავნე გადახრა დაშვებული, პროფკავშირთა მოვალეობას შეადგენს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად.

ქრონიკა

თათბირი ტყავეულობის ტრესტში

შაბათს, 22 მაისს, ს. მ. უ. ს. ტყავეულობის ტრესტში შესდგა მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ ცენტრალური კომისიის მორიგი სხდომა. პირველად ეკონომიის რეჟიმის მნიშვნელობის და მოწვეულ თათბირის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ჯანაშიამ.** შემდეგ მოსმენილ იქნა ტრესტის ადმინისტრაციის მოხსენება დანართი ხარჯების შესამცირებლად წარმოებულ მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი:

ტყავეულობის პირველ ქარხანაში დანართი ხარჯების შესამცირებლად წარმოებულ მუშაობის მეტრე ხაზით მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოუღია, ქარხანაში ადმინისტრაციის გაუუქმებია ზედმეტი სამუშაოების წარმოება,მოუსპია მეორე რიგის მუშაობა, რასაც შედეგათ მოჰყოლია 700 მანეთის დაზოგვა თვეში სათბობი მასალის და ხელის ხარჯის შემცირების გამო. ახალი შინაგანი განწესრიგების შემოღების გამო, ერთი საამქროდან მეორე საამქროში ტყავეულობის გადასატანი ხარჯები შემცირებულა 150 მანეთით თვეში. ზედმეტი სამუშაოების გაუქმება კი იძლევა თვიურად 200 მანეთის დაზოგვას. გარდა ამისა გატარებულია 8 საათის სამუშაო დღის ერთეული დატვირთვა, რაც საგრძნობლად ზრდის ნაყოფიერებას.

ტყავეულების პირველ ქარხანაში ზედნართი ხარჯების შესამცირებლად წარმოებულ მუშაობას შეუძლია მისცეს ქარხანას საოპერაციო წლის დამთავრებამდე 4000 მანეთის დაზოგვა.

ამხანაგების მიერ თათბირზე მოხსენებულ ცნობიდან გამოირკვა, რომ ტრანსპორტზე ტრესტი ეწევა მთელ რიგ არაწარმოებითი ხარჯებს. ტრესტს ჰქონია ორი საბარგე ავტომობილი, ორი მსუბუქი მანქანა და ცხენებიანი ტრანსპორტი. ამხანაგობის უმრავლესობა საჭიროდ სცნობდა ცხენებიანი ტრანსპორტის გაუქმებას და საქონლის გადასაზიდ ავტომობილების ორამდე შემცირებას.

თათბირმა დაავალა ტრესტს მოაწყოს ტრესტთან და საამქროებთან სპეციალური კომისიები და 3 დღის განმავლობაში გამოიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებანი დანართი ხარჯების შესამცირებლად.

არჩევნები ეგვიპტეში

ზაგლულ-ფაშას მომხრეების გამარჯვება

ლონდონი, 24 მაისი. ქაირიდან ებული ცნობით ეგვიპტეში მომარ პირველ არჩევნებში, რომელიც ოველთაო კენჭის ყრის ახალი სისის მიხედვით ტარდება, **გაიმარეს ზაგლულ-ფაშას მომხრეებმა.** ობინებიან, რომ ზაგლულ-ფაშას დათ არ სურს ხელისუფლების ვეში ჩადგომა და ამჯობინებს გაიდგეს ხელისუფლებისაგან. ყოშემთხვევაში, ადლი-ფაშა შეს კოალიციონურ კაბინეტს ზალის მომხრეებისა და ლიბერასაგან. არჩევნები მშვიდობიაჩატარდა ყველგან, გარდა აბასა (ზემო ეგვიპტე) და სამანგიემო ეგვიპტე). პირველში ადგი- დროს მოკლულ იქნა ერთი კაცი, მეორეში 44 კაცი დასჭრეს.



ზაგლულ-ფაშა

ფინ-გიშის კონცერნი

ლონდონი, 24 მაისი. „ასოშიეტედ პრესს"-ის ბრესლაველი კორესპონდენტის ცნობით, სპილენძის მრეწველობის ფირმა „ანაკონდა" და ბანკირთა კონცერნი „ჰარიმანი და კომპანია" მიცემულია პასუხისგებაში ფონ-გიშის მემკვიდრეობისაგან მათი წარმოების შეძენისათვის. პოლონეთის კაბინეტმა დაადასტურა ეს გარიგება. ფონ-გიშის კონცერნს თავის ხელში აქვს ცინკის მთელი მსოფლიო პროდუქციის ათი პროცენტი. გარდა ამისა, ნახშირის მდიდარი მაღაროები გერმანიაში, ტყვიისა და ვერცხლის მადნები, აგურის ქარხნები, ფაიფურის ფაბრიკები, ხელოვნური აბრეშუმის ფაბრიკები და ქიმიური ქარხნები. კონცერნს აქვს აგრეთვე 10.000 აკრი სამუშაო მიწა და 7.000 აკრი ტყე.

პრუსიის მთავრობის მოთხოვნით, „ჰარიმანის" და „ანაკონდის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კონცერნის პოლონეთის ნაწილის შეძენა არ ნიშნავს გერმანიაში არსებულ ფონ-გიშის წარმოებების ექსპლოატაციაში ჩარევას.

პალესტინის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 23 მაისი. პალესტინის კომპარტიამ მოწოდება გამოუშვა, რომ სირიის მუშათა მოძრაობის შვიდ საუკეთესო რევოლიუციონერს, რომელნიც დაპატიმრებული არიან, სიკვდილით დასჯას უპირებენ.

„საბრალმდებლო ოქმი—ნათქვამია მოწოდებაში—აგებულია მხოლოდ პოლიციის აგენტის ჩვენებაზე და იმ დოკუმენტებზე, რომელიც შეთხზეს ბრალდებულთა დაპატიმრების შემდეგ.

ჩვენ ენერგიული პროტესტით უნდა გადავარჩინოთ იმპერიალიზმის უდანაშაულო მსხვერპლთა [illegible] ხლე, და [illegible] დაგვიჯდეს, საფრანგეთის გენერლებს ხელიდან უნდა გამოვსტაცოთ შვიდი საუკეთესო რევოლიუციონერი".

◆

ვოლგის ადიდება

ყაზანი, 23 მაისი. ადიდებული წყალი ძალიან ნელა კლებულობს. გაზაფხულის ნათესი კიდევ დიდხანს წყალს ქვეშ იქნება. გლეხობას საადრეო ხორბლეულის დათესვის საშუალება არა აქვს.

თათართა რესპუბლიკის მთავრობა ცენტრის წინაშე შუამდგომლობს, რომ მის განკარგულებაში გადაცემული იქნეს 170,000 ფუთი სათესლე ხორბალი წალეკილ ადგილების ხელახლა დასათესად. 9 სახელმწიფო წარმოება დაახლოვებით 800,000 მანეთით დაზარალდა.

ა.-კ. ფედერაცია

აზერბეიჯანი

მომჭირნეობის რეჟიმი

ბაქო, 24 მაისი. მომჭირნეობის რეჟიმის ორი თვის კამპანიამ უმაღ. სამ. საბჭოს მექანიკურ ქარხნებში მოგვცა 5.000 მანეთის ეკონომია. მომჭირნეობა ჯერ მხოლოდ თეჯის ცეხებს შეეხო.

განზრახულია ღონისძიებათა მიღება აზერბეიჯანის ზომაწონის პალატაში მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად.

არაყის და სპირტის ფასების დაკლება

ბაქო, 24 მაისი. ადგილობრივ მოღვაწეობის ორგანიზაციებმა (აზღვინნო, კონკორდია, სამხვაჭრობა) შეამცირეს არაყისა და სპირტის ფასები.

ბამბის დამზადება სპარსეთში

ბაქო, 22 მაისი. 1925/26 წელს სპარსეთის ტერიტორიაზე დამზადებულია [illegible] ფუთი ბამბა. განზრახულია [illegible] ათასი ფუთი დამზადება. [illegible] დამზადდა 508.580 ფუთი ბამბა. დამზადების შემცირება ამ წლის ცუდი მოსავლით და საირიგაციო სისტემის უვარგისობით და კალიის შემოსევით აიხსნება.

ბაზრობა გაგრძელდება 1 ივნისამდე

ბაქო, 22 მაისი. რადგან სპარსელმა ვაჭრებმა ბაქოს ბაზრისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს, ბაზრობა გაგრძელდება 1 ივნისამდე.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის

ბაქო, 22 მაისი. კამპანია მომჭირნეობის რეჟიმისათვის გაფართოებას იწყებს. პირველ ღონისძიებათა წყალობით, ეკონომიამ აზერბეიჯანის სატყეო ტრესტის სახერხი ქარხანაში მიაღწია 2.000 მანეთს. უკვე შეუდგენ ტყის საწყობისაკენ ტრამვაის ხაზის გაყვანას, რაიც ყოველწლიურად 100.000 მანეთის ეკონომიას გამოიწვევს. აზერბეიჯანის სატყეო ტრესტმა დაარღვია ხელშეკრულება საბჭოთა სავაჭრო ფლოტთან, რაიც ორჯელ ამცირებს ტყის გადატანის ფასს.

სას.-სამ. გადასახადის აკრეფის ორკვირეული

ალდაში, 24 მაისი. 20 მაისიდან გამოცხადებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ორკვირეული. აუკრეფავია 13.813 მანეთი. გარდა ამისა, წარსული წლების ნაშთი 40.000 მანეთამდე აღწევს. მოხდა მომუშავეთა მობილიზაცია, რომლებიც სოფლებში გაიგზავნენ აკრეფის კამ-

კოოპერაცია

საქართველოს კოოპერატიული საბჭო

ერთ თვეზე მეტია, რაც მ[illegible] საქართველოს კოოპერატიულმა საბჭომ, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო როლი უნდა შეასრულოს [illegible] კოოპერაციის ცხოვრებაში.

დღემდე მთელი კოოპერატიული მუშაობის გამაერთიანებელი ორგანო საქართველოში არ არსებობდა,თვითეული სახის კოოპერაცია თავის კავშირების ხელმძღვანელობით სრულებით დამოუკიდებლად და ერთმანეთთან შეუთანხმებლათ აწარმოებდა მუშაობას.

ხშირი იყო ურთიერთ ბრძოლის შემთხვევებიც, როდესაც საჭირო ხდებოდა მიუდგომელი და სათანადო ავტორიტეტით აღჭურვილი ორგანოს საქმეში ჩარევა. თუმცა საბჭოთა კოოპერაციის მიზანი საერთოა და ის უნდა გამოდიოდეს სხვადასხვა საკითხებში მთლიანი ფრონტით, მაგრამ დღემდე შეთანხმებული და გეგმიანი მუშაობის წარმოება შეფერხებული იყო.

კოოპერატიულმა საბჭომ, რომელიც წარმომადგენლობითი საფუძვლებზეა აგებული, უნდა შექმნას და განამტკიცოს მთელი კოოპერაციის შეთანხმებული და გეგმიანი მუშაობა, ხელი შეუწყოს კოოპერაციის სამეურნეო ფინანსიური ხასიათის საკითხების მოწესრიგებას, უხელმძღვანელოს კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობას და ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის. იგივე უნდა შეეცადოს კოოპერაციის და სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების დამოკიდებულების მოწესრიგებას და დაიცვას საერთოდ კოოპერაციის ინტერესები.

საქართველოს კოოპერატიულ საბჭომ უკვე განიხილა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც, მაგალითად, სასოფლო - სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანება, კოოპერაციის მშენებლობა სამხრეთ ოსეთში, აჭარისტანში, სპეციალური სასოფლო - სამეურნეო კავშირების მუშაობა და სხვა.

საბჭოს განზრახული აქვს გამოსცეს პერიოდული ჟურნალი, რომელიც იქნება მთელი საქართველოს კოოპერაციის ორგანო; მის იდეიურ ხელმძღვანელობაში და გავრცელებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლებმა.

თუმცა დღემდეც არსებობდა კოოპერატიული „კავშირი", მაგრამ ის მხოლოდ ცეკავშირის ორგანოს წარმოადგენდა, შინაარსითაც სუსტი იყო. კოოპერატიულმა საბჭომ კი გაცილებით უკეთ უნდა დააყენოს ჟურნალის გამოცემის საქმე, მიუჩინოს მას სათანადო ძალები და ჟურნალის საშუალებით მტკიცე კავშირი გააბას კოოპერაციაში დარაზმულ მასებთან.

საერთოდ ჩვენმა კოოპერატიულმა საბჭომ უნდა ისარგებლოს რუსეთის გამოცდილებით, სადაც უფრო ადრე დაიწყო მუშაობა ცენტრალურმა კოოპერატიულმა საბჭომ. საქართველოს კოოპერაცია დღეს კრიზისს განიცდის, მის წინაშე მრავალი საჭირბოროტო საკითხი სდგას,მისი ყოველდღიური საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის ჩამდგარი ნორმალურ კალაპოტში. კოოპერატიული საბჭო უნდა შეეცადოს საქართველოს კოოპერაციის სხეულის მთლიანად გამოჯანსაღებას, მის საქმიანობაში გეგმიანობის დაცვას და მოსახლეობის კოოპერატიული შეგნების გაზრდას.

ი. ბუაჩიძე.

ექიმთა მეხუთე კონგრესი

კვების საკითხი

კონგრესის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა მთელი რიგი მოხსენებათა ქართველი ხალხის კვების საკითხზე.

პირველად მოხსენებით გამოდის პროფ. **ალადაშვილი,** რომელიც აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნორმ. კვებას ხალხის ცხოვრებაში. მომხსენებელი მეცნიერულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ არასაკმარისი კვება ასუსტებს ხალხს ფიზიკურად და გონებრივად, ადუნებს მის ენერგიას და შრომის უნარს.

ყოველგვარი მუშაობის დროს ადამიანი ხარჯავს ენერგიას, რომელიც მან უნდა აანაზღაუროს საჭმელის სახით. საჭმელის რაოდენობა განისაზღვრება იმ სითბოს გამოყოფით, რომელსაც ესა თუ ის საკვები მასალა იძლევა მისი ქიმიურად შეცვლის, დაწვის დროს. ამისდამიხედვით მისაღებ საჭმელის რაოდენობა დამოკიდებულია მუშაობაზე, რომელსაც ადამიანი ეწევა.

მეცნიერების მიერ გამონაგარიშებულია, თუ რამდენი სითბოს მომცემი საკვები მასალა უნდა მიიღოს ადამიანმა სხვადასხვა მუშაობის დროს.

ამხრივ არჩევენ ძალიან მძიმე მუშაობას, მძიმე მუშაობას და მსუბუქ მუშაობას. ყველაზე მეტი სითბოს მომცემი მასალა ესაჭიროება ადამიანს ძალიან მძიმე მუშაობის დროს, უფრო ნაკლები—მძიმე მუშაობის დროს და კიდევ უფრო ნაკლები—მსუბუქ მუშაობის დროს.

ქართველი ხალხის კვების საკითხის გამოსარკვევად პროვინციაში მომუშავე ექიმებს და საექიმო დაწესებულებებს დაეგზავნათ ანკეტები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ნუსხა ცალ-ცალკე მაზრებისათვის. ირკვევა, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში შეძლებული და საშუალო შეძლების გლეხობა ღებულობს იმდენ საკვებ მასალას, რამდენიც აკმაყოფილებს მხოლოდ მსუბუქ სამუშაოზე მყოფ ადამიანის მოთხოვნილებას; ხოლო ღარიბი გლეხობა—კიდევ უფრო ნაკლებს. საერთოდ კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კვება გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ყველაზე ნაკლებად იკვებება დასავლეთ საქართველოში სენაკის და ზუგდიდის მაზრა. აღმოსავლეთ საქართველოში თელავის მაზრა. ყველაზე უკეთესად ოსეთი, დანარჩენ მაზრებს უკავიათ საშუალო ადგილი. დასავლეთ საქართველოში ყველაზე უკეთესად იკვებება რაჭალეჩხუმი—საშუალო ადგილი უჭირავს გურიას.

შემდეგ მომხსენებელი იხილავს საჭმლის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე: ცილას, ცხიმს და ნახშირწყლებს. ირკვევა, რომ საქართველოს მშრომელი მოსახლეობა ცილას და ცხიმს იღებს იმდენს, რამდენიც საჭიროა მსუბუქ მუშაობის დროს, ხოლო ეს ნივთიერებანი საკმარისი არ არის მძიმე მუშაობის დროს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება,—საქართველოს მოსახლეობა თურმე ძალიან [illegible] იღებს ცხოველთა ცილას (ხორცის სახით), რაც აგრეთვე უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, სამაგიეროთ ცილის დანაკლისს ქართველი მოსახლეობა ანაზღაურებს მცენარეულობით (ლობიოს სახით). მაგრამ ასეთი კვების ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ცილის საკმაო რაოდენობის მისაღებათ საჭიროა დიდი მოცულობის მცენარეული საჭმლის ხმარება, რაც ძალიან ძნელი მოსანელებელია.

ამგვარად მომხსენებელს გამოჰყავს დასკვნა, რომ საქართველოს მშრომელი მოსახლეობის კვება, როგორც თვისების, ისე რაოდენობის მხრივ სასურველ ნორმებში არ არის ჩაყენებული.

ექ. ნათაძე აკეთებს მოხსენებას საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა, უმთავრესად, მუშების კვების შესახებ. მომხსენებელი ადარებს ჩვენი მუშების კვებას უცხოეთის (დასავლეთ ევროპის) მუშების კვებასთან და გამოჰყავს დასკვნა, რომ ჩვენი მუშების კვება არ ანორმალურ მდგომარეობაში იმყოფება.

ექ. ახვლედიანი აცნობს კონგრესს სვანეთის ხალხის კვების საკითხს.

აღსანიშნავია აგრეთვე **ექ. პარგას** მოხსენება უმთავრეს სანოვაგეების ფაბრიკაციის შესახებ.

ყველა მომხსენებლების აზრით, საქართველოს მოსახლეობის კვების საკითხი ჯერ კიდევ სავსებით შესწავლილი არ არის. ამიტომ ამიერიდან ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და მის გადაჭრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის ინტელიგენციამ და ფართო მასებმა.

ალკოჰოლიზმი

კონგრესმა მეხუთე სხდომა მოანდომა ალკოჰოლიზმის საკითხის განხილვას.

ვრცელ მოხსენებას ალკოჰოლიზმის შესახებ აკეთებს პროფ. **ამირეჯიბი.** მომხსენებელი აღნიშნავს ალკოჰოლიზმის გავრცელების მიზეზებს საქართველოში და უმთავრეს ყურადღებას აქცევს ხალხის ზნე-ჩვეულებებს და სოციალურ პირობებს, რაც უმთავრეს როლს თამაშობს ალკოჰოლიზმის განვითარებაში.

ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათ მომხსენებელი ასახელებს ფართო პროპაგანდის წარმოებას ხალხში და ხალხის განვითარების მაქსიმალურ დონეზე აყვანას.

პროფ. **ახათიანი** თავის მოხსენებაში ეხება ალკოჰოლიზმის სახეებს საქართველოში. ის არჩევს ალკოჰოლიზმის ორნაირ ფორმას—შემთხვევითს და ქრონიკულს (როდესაც ადამიანს ლოთობა აუცილებელ მოთხოვნილებად გადაექცევა). მომხსენებელი აღწერს ლოთობის ნიადაგზე წარმოშობილ სხვადასხვა სულით ავადმყოფობას. (როგორც მაგ. თეთრი ცხელება, ალკოჰოლური ბნედა და სხვ.).

თავის მეორე მოხსენებაში პროფ. ახათიანი ეხება ალკოჰოლიზმის საკითხს სვანეთში. სვანეთში გაგზავნილმა სპეციალურმა ექსპედიციამ, სხვათაშორის ეს საკითხი შეისწავლა და მივიდა იმ დასკვნამდე რომ სვანეთში ქრონიკულ ალკოჰოლიზმს და ამ ნიადაგზე წარმოშობილ ფსიქოზებს ადგილი არ აქვს, რადგან სვანი მაგარ სასმელებს ყოველდღე არა სვამს დასათრობად. ლოთობას იქ მხოლოდ სმა-ჭამის ადათის ხასიათი აქვს.

მომხსენებელი საჭიროთ სთვლის ბრძოლის წარმოებას ამ ადათების წინააღმდეგ ლოთობის [illegible] და ხალხის გასაჯანსაღებლად.

დასასრულ ფრიად საინტერესო მოხსენებები გააკეთეს ექ. **ვეშაპიძემ** და ექ. **გ. შენგელაიამ.** პირველმა თეთრი ცხელების შესახებ და მეორემ სხვადასხვა ფსიქოპატიებზე რომელიც ხელს უწყობს ალკოჰოლიზმის განვითარებას.

ექ. **მჭედლიძე** თავის მოხსენებაში ეხება ალკოჰოლიზმის მავნე მოქმედებას კუჭზე.

მომჭირნეობა და ყოფა-ცხოვრების საკითხები

ამჟამად მთელი ჩვენი პარტია და ხელისუფლება აწარმოებენ მეტად დიდ და მეტად სერიოზულ კამპანიას მომჭირნეობისათვის. **საერთო გენერალური გადამოწმება და შემოწმება** ყოველივე სამუშაოს, ყოველივე დაწესებულებების საქმიანობის, მათი პირადი შემადგენლობისა (შტატების) და, საერთოდ, ყოველივე ხარჯებისა. ყოველივე ამის შესახებ ხდება მსჯელობა ჯერ კრებებზე და შემდეგ პრესაში. ამით მჟღავნდება ბევრი არასასურველი და უარყოფითი მხარეები თითქმის ყველა ჩვენი დაწესებულებისა: **უყურადღებობა, დაუდევრობა, ფლანგვა, ბოროტმოქმედება** და სხვ. და სხვა. ყველა თანახმაა იმის, რომ ამ კამპანიას მიეცეს ხანგრძლივი ხასიათი, რათა მომჭირნეობის თუ ეკონომიის თადარიგის საკითხი ამოიწუროს სავსებით.

დღევანდელი კამპანიას მომჭირნეობისათვის ორი მხარე აქვს: ერთი მხრით ბრძოლა შემთხვევით, დროებითი მოვლენებთან, როგორიც არის სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედება სახელმწიფო და კოოპერატიულ-საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვისა და მითვისების ნიადაგზე; მეორე მხრით კი ბრძოლა ყოველგვარ უთავბოლო, მოუწესრიგებელ და ყოველივე გონიერი და წინდაწინ შედგენილი გეგმის გარეშე დაწყებულ და წარმოებულ მუშაობასთან. როცა ჩვენ დღეს ვაწარმოებთ ასეთ დიდ კამპანიას მომჭირნეობისათვის, აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ დავივიწყოთ კამპანიის ეს ორი მხარე: როგორც ერთს, ისე მეორეს დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მაგრამ თუ უფრო ღრმად მიუდგებით საკითხს, ადვილად შევამჩნევთ, რომ გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს კამპანიის მეორე მხარეს, ე. ი. ბრძოლას უთავბოლოდ, ანუ უგეგმოთ საქმის დაწყებასთან. ეს ნიშნავს იმავე დროს ბრძოლას უკულტურობასთან და გაუნათლებლობასთან.

მაგრამ ამით კიდევ არ ამოიწურება ის დიდი საკითხი, რომლის გადაჭრა ჩვენ წინ გვიდგს, ვინაიდან მომჭირნეობის საკითხი როდი განისაზღვრება ამა თუ იმ დაწესებულებების შტატების შემცირებით ან კიდევ ზედმეტი და უთავბოლო ხარჯების შემოკლებით. სრულებითაც არა. მომჭირნეობის საკითხი გაცილებით უფრო ღრმა და რთულია. როცა ჩვენ ვიბრძვით მომჭირნეობისათვის, ჩვენი მიზანია **სოციალისტური წარმოების ზრდა** და მასთან **შრომის ნაყოფიერების ზრდაც.** ვერც შტატების შემცირება და ვერც, თუ გნებავთ, ზედმეტი ხარჯების შემოკლებაც აქ საქმეს ვერ უშველის. სოციალისტური წარმოების ზრდა და სოციალიზმის დამყარება გულისხმობენ ტეხნიკის და კულტურის უმაღლეს საფეხურს. გზა, რომელსაც მივყავართ ამისაკენ, არის ერთი მხრით შრომის ნაყოფიერების ზრდა-მატება და მეორე მხრით **მშრომელთა მასების** ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება,—მე ვიტყოდი ამ ყოფა-ცხოვრების **შეცვლა, გარდაქმნა.** მაგრამ ამაზე ახლა მე არ ვლაპარაკობ.

მე მინდა აქ დავაკავშირო ყოფა-ცხოვრების საკითხები მომჭირნეობის, ეკონომიის რეჟიმის საკითხთან. პირადათ ჩემთვის აშკარაა ის, რომ მომჭირნეობა და მისი გატარება ცხოვრებაში მჭიდროდ დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრებასთან. ვიტყვი პირდაპირ: თუ რამე უშლის ხელს ეკონომიის დაცვას, ანუ მომჭირნეობას, ესაა ყველაზე უწინ ჩვენი ყოფა-ცხოვრების ზოგიერთი მავნე ჩვეულებები, როგორიც არის **ლოთობა** ერთი მხრით და **თუთუნის წევა** მეორე მხრით. მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიცაა იმის თქმა, თუ სახელდობრ რა ვნება და რა ნივთიერი ზარალი მოაქვს სახალხო სიმდიდრისთვის ლოთობას და თუთუნის წევას. ამის ანგარიში, თუნდაც დაახლოვებით, ჩვენ არა გვაქვს. რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანს სჯერა, რომ ამ ორი ჩვეულებიდან გამომდინარე ზარალი და სხვადასხვა უბედურება დიდი და საგრძნობელია. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის ჩვენ უძლური ვართ იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

უბედურება მარტო იმაში როდი მდგომარეობს, რომ ლოთობის და თუთუნის წევის მეოხებით იფლანგება და ნიავდება აუარება სახალხო და კერძო სიმდიდრე, არამედ, უმთავრესად იმაში, რომ ამის გამო დაბლა იწევს **შრომის ნაყოფიერება.** ლოთობის მავნე გავლენა შრომის ნაყოფიერებაზე უფრო ადვილი დასანახი და შესამჩნევია, ვინემ თამბაქოს წევის. ეს ორივე სენი საერთოდ თანდათან სწამლავს ადამიანის სხეულს, ორგანიზმს. საჭიროა, რომ ამის წინააღმდეგ მიღებულ იქნას შესაფერი ზომები. ჩვენ ვიცით კარგად, რომ ბრძოლა როგორც ლოთობის, ისე თუთუნის წევის წინააღმდეგ მეტად და მეტად საძნელოა. მაგრამ ეს ბრძოლა მაინც დაწყებულ და წარმოებულ უნდა იქნას. თუ ერთბაშად ჩვენ ვერ მოვსპობთ ამ მავნე ჩვეულებებს, იმათ თანდათან შესუსტებას ჩვენ მაინც შევძლებთ.

სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ აქამდის ლოთობის და თუთუნის წევის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ მეტად ნაკლებ ან სრულებით არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით. მხოლოდ ამ უკანასკნელ კამპანიასთან დაკავშირებით იწყეს ამაზე ყურადღების მიქცევა. ასე, მაგ. ამხ. **სემაშკო** ამას წინად აი რას სწერდა: „უმთავრესი და ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზი **დღეების გაცდენისა** (სამუშაოზე არ გამოცხადებისა—прогулы) არის **ლოთობა.** სამწუხაროდ, აქამდის ჩვენ არ გვაქვს სწორი ცნობები ლოთობის როლის შესახებ ამ გაცდენებში („პრავდა", 28/IV, № 97). შემდეგ ამხ. სემაშკოს მოყავს მაინც რამოდენიმე ფაქტი იმ განაცდენების შესახებ, რაც ლოთობის მიზეზით აიხსნება, და უმატებს აი რას: „ლოთობა ძირს უთხრის მომჭირნეობას, მეორე მხრივ ის ადიდებს განაცდენების რიცხვს უბედურ შემთხვევათა მეოხებით"... გარდა ამისა, მისი სიტყვით, „ლოთობა ძირს უთხრის მომჭირნეობას კიდევ მით, რომ ნაწარმოების ღირსება კლებულობს"ო. სემაშკოს წერილის შემდეგ, რუსულ გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდებოდა ლოთობის და სიმთვრალის შესახებ, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ დროს ფაბრიკა-ქარხნებში. ამ ერთი კვირის წინედ, მაღაროების მუშების საკავშირო ყრილობაზე ამხ. **რიკოვმა** მიუთითა, სხვათა შორის, იმაზე, რომ უკანასკნელ დროს განაცდენების რიცხვის ზრდა აიხსნება ლოთობის და სიმთვრალის მატებით და საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება ამ ბოროტების წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, ჩვენ სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგევართ, თუ რომ მართლა სერიოზული ზომები არ იქნა მიღებული ლოთობის წინააღმდეგ.

შეიძლება ზოგიერთებს ეგონოთ, რომ ამ ბოროტებას მარტო რუსეთში აქვს ადგილი. ეს შეცდომაა, აი, სწორედ ამ დღეებში ერთ-ერთ ჩვენ გაზეთში („მუშა"-ში) ეწერა შემდეგი: **„ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეს ძალზე აბრკოლებს ლოთობა.** რკინისგზაზე ბლომათ მოიპოვებიან ისეთი თანამშრომლები, რომელნიც ნიადაგ ილეშებიან არამც თუ სამსახურის გარეშე, არამედ სამსახურის ასრულების დროსაც. ლოთობის ნიადაგზე ხშირია ჩხუბი, აყალ-მაყალი, წესრიგის დარღვევა და მარცხი. ამით კი რკინისგზას დიდი ზარალი ეძლევა. ლოთობის წინააღმდეგ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია შესაფერი ზომები"-ო... გაზეთის იმავე ნომერში მოყვანილია რკინისგზელთა ლოთობის რამოდენიმე მაგალითი. მაგრამ განა ეს სენი მარტო რკინისგზელების თვისებაა! სრულებითაც არა: მას ადგილი აქვს სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებშიაც. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა,—ეს ის, რომ სიმთვრალეს და ლოთობას ფართოდ გაუდგამს ფესვები ჩვენს ნორჩ ახალგაზრდობაში, და ასე წარმოიდგინეთ **კომკავშირელებშიაც კი. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი",** რომელიც, ჩემი შეხედულებით, საკმარისი ენერგიით ებრძვის ამ სენს, თითქმის ყოველდღე აქვეყნებს ფაქტებს კომკავშირელების ლოთობის შესახებ. ეს არაფრად არ ვარგა. რანაირ მომჭირნეობაზე უნდა ელაპარაკოთ თქვენ ამგვარ ხალხს, რომელიც ლოთობაში ატარებს დროს!

როგორც ხედავთ, ლოთობა ჩვენშიაც საკმარისად დიდ ბოროტებას წარმოადგენს და, აშკარაა, რომ მის წინააღმდეგ საჭიროა შესაფერი ზომების მიღება. დიე, ნურავინ იფიქრებს, რომ მე აქ მხოლოდ ადმინისტრატიული ზომები მქონდეს მხედველობაში. არა, ადმინისტრატიული ზომები, რა თქმა უნდა, აქ არ კმარა; აქ საჭიროა კულტურულ-განმანათლებელი ზომები, საჭიროა პროფესიონალური კავშირების ზეგავლენა, საჭიროა შეგნება, თვითდისციპლინა და სხვა.

ახლა ორიოდე სიტყვა **თუთუნის წევის შესახებ.** ის მავნებლობა, რაც მოაქვს თუთუნის წევას, განუზომელია, თუმცა გარეგნობით ამას ხშირად ვერ ამჩნევენ. თუთუნის წევამ არ იცის, არც დრო და არც ადგილი. სწევენ ყოველგან და ყოველ დროს. ხალხი იმ ზომამდე დაჩვეულია თუთუნის წევას, რომ არავითარი აკრძალვა არ მოქმედობს. განცხადებები თუთუნის წევის შესახებ, არც წერილობითი და არც სიტყვიერი არ მოქმედობს. სწევენ ანგარიშის მიუცემლად, თავდაუწყებით, და როცა მოაგონებთ, რომ ამა და ამ ადგილას თამბაქოს წევა არ შეიძლება, გაოცებას გამოსთქვამენ რისთვის უკრძალავენ მათ წევას?. განა ამით ისინი ვისმეს უსიამოვნებას აყენებენ?—რომ ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ, რომ თუთუნში საშინელი საწამლავი—ნიკოტინი, რომ თუთუნის წევა მათ სწყენთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა თუთუნს მაინც ვერ შორდებიან. ბევრს ვერც კი წარმოუდგენია, რათაა ცუდი თუთუნის წევა. დიე, აბოლონ! განა ვისმეს ამით რაიმე ევნება? საქმეც ის არის, რომ ეს ჩვეულება იმდენათ გავრცელებულია და იმავე დროს იმდენად შესისხლხორცებული, რომ მსჯელობაც დაჩლუნგებულია. საკვირველია, რომ ზოგჯერ ადამიანს სულ უბრალო ჭეშმარიტების გაგებაც კი არ ეხერხება. ესაა სწორედ თუთუნისწევის შესახებ.

საქმე ის კი არაა, რომ ერთი ადამიანი სადმე თავისთვის ერთ ოთახში წევდეს პაპიროსს, სიგარას, ჩიბუხს: თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე კაცი ერთ დახუთულ ოთახში, მთელი კრება, სადაც 90% თუ მეტი არა, მაინც ეწევა თამბაქოს, და ეს კრება გრძელდება რამდენსამე საათს. თუთუნის-წევას ხომ არაფერი უშლის ხელს. ხშირად განუწყვეტლივ ეწევიან. რას წარმოადგენს ამ დროს ოთახი ანუ დარბაზი, სადაც ასეთი კრებაა! იგი თამბაქოს ბოლით და პაპიროსის ნამწვავებითაა გავსებული. აქ ჰაერი ძალზე მოწამლულია. ადამიანთა ამონასუნთქს ემატება თამბაქოს შხამი ბოლის და პაპიროსის ნამწვავების სახით. ყველაფერი ეს მოქმედობს ტვინზე, ფილტვებზე, სასუნთქავ ორგანოებზე. უფრო იტანჯებიან აქ ისინი, ვინც თამბაქოს არ ეწევა. მაგრამ ამათ ჯანი ' გავარდეს. ვინც ეწევა თამბაქოს, განა იმათ კი არგებს ასეთი ჰაერი? გავანებოთ თავი ამასაც.

უბედურება ისაა, რომ თამბაქოს წევა, რაც მექანიკურად ხდება, ძლიერ ხშირად მიზეზი ხდება **ცეცხლის გაჩენის** ანუ **ხანძრის.** ხშირია შემთხვევები, როცა პაპიროსის გაუქრობელ ნამწვავებს აგდებენ იატაკზე, ან ისვრიან ისეთ ადგილას, სადაც ცეცხლი ადვილად ჩნდება, ან სადაც ასაფეთქებელი ნივთიერებაა. ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება ხდება პაპიროსის გამო. რამდენი ქონება და სიმდიდრე ინთქმება ცეცხლის ალში. ერთი სიტყვით, თამბაქოს წევა უჩენს ადამიანს მრავალ ავადმყოფობას და იმავე დროს ის არის მიზეზი მრავალ უბედურ შემთხვევების, როგორც, მაგ., ხანძრების.

აქედან აშკარა, რომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მომჭირნეობაზე, ჩვენ არ შეგვიძლია თამბაქოს წევასაც ყურადღება არ მივაქციოთ, და თუმცა მისი აკრძალვა სრულებით, ჯერჯერობით შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში საჭიროა ისეთი ზომების მიღება, რომლებიც მის მავნებლობას რამდენიმეთ მაინც შეამცირებენ. ამგვარათ, მომჭირნეობის ფართო კამპანიას მე ვუკავშირებ ყოფა-ცხოვრების საკითხებს. ამ საკითხებში კი პირველ რიგში მე ვაყენებ **ლოთობის და თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლას.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მხრით ჩვენ **მოზარდ თაობას, ე. ი. კომკავშირელებს** და **პიონერებს.: არც ერთი ლოთი** და არც ერთი თუთუნის მწეველი! ასეთი ლოზუნგი იმათ აქვთ გადასროლილი მასებში. საჭიროა ამ ლოზუნგის სასტიკად დაცვა და ცხოვრებაში გატარება.

რაც შეეხება დანარჩენ ასაკებს, აქ ლოთობის და თამბაქოს წევის წინააღმდეგ საჭიროა სხვაგვარი ზომები.

ფ. მახარაძე.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, 24 მაისს საღამოს, წითელ თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება; 2) მოხსენება თბილისის აღმასკომის 1925—26 წლის ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებების შესახებ; 3) მიმდინარე საკითხები.

სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. კ. ქაცარავა).

მომხსენებელი შეეხო რა სკოლების რაოდენობას თბილისსა და მის მაზრაში, მოწაფეთა ეროვნულ და სოციალურ შემადგენლობას, ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა განყოფილების მუშაობას, რომელიც მიმართული იყო ტბილისის და მისი მაზრის სხვადასხვა საფეხურის სკოლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. მიმდინარე სამოსწავლო წელს პირველად შემოღებულ იქნა 7-წლედებში სწავლის ფული, რომელიც ხმარდება სკოლების სამეურნეო ხარჯების დაფარვას. დიდი ყურადღება ექცევა სკოლების გადახალისებას და მათ შეგუებას ჩვენი მეურნეობის პირობებისათვის. ამ მიზნით სკოლებს მიეცათ სხვადასხვა ხასიათის სპეციალური გადახრა: მოწყობილ იქნა სკოლები პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, ინდუსტრიალური, კოოპერატიული, ელექტროტეხნიკური განხრით და სხვა. მასწავლებლებს შორის მეთოდიური მუშაობის გასაძლიერებლად მოწყობილ იქნა სპეციალური მეთოდიური ბიურო და გაძლიერებულ იქნა ინსტრუქტაჟი.

მცირე კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

თბილისის საბჭოს პლენუმი იწონებს განათლების განყოფილების წარსულ მუშაობას. ამასთან ერთად პლენუმი საჭიროდ სცნობს, განათლების განყოფილებამ თავისი მომავალი მუშაობის დროს იხელმძღვანელოს შემდეგით:

1) გაძლიერებულ იქნას მუშაობა სკოლების დასაკავშირებლად რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებასთან.

სამეურნეო განათლებასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში პროპორციულად იზრდება მოთხოვნილება სამეურნეო, საბჭოთა და კოოპერატიულ მშენებლობის დარგებისათვის საჭირო კვალიფიციურ მომუშავეებზე. ამ მიზნით განათლების განყოფილებამ უნდა აიღოს ხაზი პროფტეხნიკური სკოლების გასამრავლებლად და სკოლებში სპეციალური განხრების გასაღრმავებლად; 2) გაძლიერებულ იქნეს მუშაობა იმ მხრივ, რომ მთელი მშრომელი მოსახლეობა,—განსაკუთრებით სოფლად,—სრულიად დაკმაყოფილებულ იქნეს ოთხწლედებით; 3) გაძლიერებულ იქნეს მუშაობა მუშათა და გლეხთა ფართე მასების მოსაზიდავათ ახალი სკოლების მშენებლობაში; 4) გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა ძირითად პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებებზე; უმთავრესი ყურადღება მიექცეს პოლიტგანის დაწესებულებათა პირად მომუშავეებს და აგრეთვე თვით მუშაობის თვისების გაუმჯობესებას; 5) გატარებულ იქნეს სათანადო მუშაობა სკოლებისა და პოლიტგანის მუშაკთა გადასამზადებლად.

მთავარი კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, 34;
— პეტლიურას მკვლელი შეიპყრეს.
— გაიხსნა ფრანგის მასწავლებელთა კონგრესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

რძის არტელი

ახალქალაქი, 24 მაისი. სოფ. ხავრში მოეწყო რძის არტელი, რომელიც 13 მეურნეობას აერთიანებს. არტელმა შეიძინა სეპარატორი. არტელი ჩაეწერა რძის არტელთა კავშირის წევრად.

ეკონომიის რეჟიმისათვის

ლიუქსემბურგი, 24 მაისი. ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოება კოოპერატიულ თათბირის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგება იმ დადგენილებათა განხორციელებას, რომელნიც კოოპერაციის ხარჯების შემცირებისაკენაა მიმართული. პირველ რიგში გამგეობის წევრებმა თავიანთი სურვილით დაიკლეს ჯამაგირი. დაიხურა დეფიციტიანი განყოფილება, რომელსაც 3 თვის განმავლობაში 40 მან. ბრუნვა ჰქონდა.

სასადილო და ფურნე იჯარით გაიცა.

საზოგადოების ცენტრალურ მაღაზიაში შტატები შემცირდა, დათხოვნილია 8 თანამშრომელი—მაღაზიაში და ერთი კანტორაში.

საერთოდ მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებაში დათხოვნილია ხუთი თანამშრომელი. შტატის შემცირებამ თვეში 500 მან. მომჭირნეობა გამოიწვია.

ტელეფონების გაყვანა

ცხინვალი, 24 მაისი. შეუდგენ სამხრეთ-ოსეთში ტელეფონის ქსელის გაყვანას. გორიდან მოტანილია ტეხნიკურ მასალის პირველი პარტია.

მკითხავებმა თავი აიშვეს.

(წერილი გორის მაზრიდან).

ბნელეთის მოციქულებმა თავიც აიშვეს. რელიგიურ თავისუფლებას ბოროტებს სამღრად იყენებენ. მარტო საეკლესიო ცრუმორწმუნეობის შესრულებას არ ჯერდებიან და უფრო ფართოდ შლიან ფრთებს: მათ ამუშავეს ხალხის სიბნელის და ფეიქობის „გასამაგრებელი" ძველი აპარატი: მკითხაობა, ქადაგათ დაცემა, ღმერთის მუქრობა და ექიმბაშობა.

როგორც ცნობილია, მათ დღის სინათლე ეჯავრებათ და ისეთ ადგილებს ეტანებიან, სადაც მიყრუებული და კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეა.

სოფ. საცხუბში (გორის მაზრა, ავლევის თემი) ახლათ გამოთხოვილი „პატარძალი ვარიკო" დაეცა „ქადაგათ" და მთელი ერთი თვე ბოდავდა: „ილოცეთ ღმერთი, ფონრემ გამწყრალია და ქვეყანას მოსპობს"-ო. მან ამით არ მოისვენა.

ერთ ღატაკ გლეხს, პეტრე ცაბაძეს, რომელსაც პერანგი არ აცვია და საჭმელი მშიდი არა აქვს,—დაანგრევინა ტანჯვით აშენებული ქვის სახლი იმ სისულელით, თითქოს ამ სახლში „ჭაბუკი ბუდობდა" და იქ ცხოვრება არ შეიძლებოდა. ეხლა ეს უბედური გლეხი გადაიხიზნა ცოლშვილით და ცხოველებით ერთ დანგრეულ საბძელში.

ამავე სოფელში მეორე ღატაკ გლეხს, მიხა ცაბაძეს, მოუვლელობით დაუბრმავდა აკვნის ბავშვი. „ქადაგმა" ამ გლეხს უბრძანა „ღვთის დავალებით" შეეწირა „წმინდა გიორგისათვის" ხარი ან ცხვარი, ორი ფუთი ხორბალი და მის ცოლს ჩაეცვა თეთრი კაბა, რის შემდეგ ბავშვი „განიკურნებოდა"... „წმინდა ვარიკოს" ბრძანება შესრულებული იქნა დიდი ვალით და უბედურობით.

ამავე თემში, სოფ. [illegible]ბში, გამოჩნდა ახალი მკითხავი—თიბილაშვილი, რომელნაც ხმა გაითქვა თავის გაიძვერაობით, ბოდავს, რაც მოესურვება და ატყავებს ხალხს.

სოფ. ფცაში არის ასეთივე გაიძვერა-მკითხავი (ის უფრო ძველია) „ქიქილა" კოკუაშვილი, რომელიც უხვათ ავრცელებს „ღვთის სიტყვებს" და ჯიბესაც არ ღალატობს. აქვე არის ცნობილი ექიმბაში ბაზიერაშვილი, რომელიც ამზადებს „ხელნაკრავის" წამალს და ატყუებს ხალხს. უკანასკნელად არალეგალურად დაიწყო „ექიმობა", და წამლის წამლებს აფრთხილებს: „არსადა სთქვა, თორემ... ავადმყოფისათვისაც ცუდი იქნება"-ო...

ამ ბნელი ძალების გამრავლება უმთავრესად იმის ბრალია, რომ ბევრი სოფელი უპატრონოდ არის მიტოვებული. ამას თვითონ გლეხებიც ლაპარაკობენ. რომ ამ თემში ერთი შეგნებული და გულშემატკივარი ხელმძღვანელი იყოს, ასეთი გაიძვერები ვერ იპარპაშებდნენ.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ეს თემი ყველაზე ძლიერი ბუდე იყო თავად-აზნაურებისა და მათი „ცივილიზაციის" მემკვიდრეობა ასე მალე არ აღმოიფხვრება.

ნადალა.

გლეხკორის ხმამ გასჭრა

თქვენი გაზეთის ა.-წ. 25 მარტს მე-66 ნომერში სათაურით: „თეატრი გვაქვს, ლაფი ცვახრჩობს" მოთავსებულ წერილის შესახებ საგარეჯოს თემაღმასკომმა გვაცნობა, რომ თეატრის გზა ფუნდამენტალურად შეკეთდა, ხოლოდ ალაგ-ალაგ დარჩა შესაკეთებელი, რომელზედაც მიღებულია ზომები და ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

საინფორმაციო ნაწილის გამგე ბუხნიკაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— [illegible]ეჩხუმის მაზრაში ამ ჟამად ითვლება [illegible] ორგანიზაცია 21 სავაჭროთი [illegible] 7 წარმოებით.

— **ქიათურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ** შეიძინა ტელეგრაფის ახალი აპარატები.

— **თელავში** სავსებით მოისპო საქონლის ჭირი.

— **ამბროლაურში მდებარე** საფონდო მიწა გადაეცა სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს.

— **სენაკის მაზრაში** კოოპერაციის წევრთა რიცხვი და საპაიო თანხა 1925 წლის ოქტომბერთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით.

— **ზესტაფონის** საკრედიტო ამხანაგობამ შეიძინა 200 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

— **გურჯაანის გლეხკომი** შეუდგა სოფ. ვეჯინში ვენახების კოლექტიურად დამუშავებას.

— **ელსადგური.** ზესტაფონში აშენებენ ელსადგურს, რაც ჯდება 15.200 მანეთი.

— **ახალსენაკის** საკრედიტო ამხანაგობის თათბირმა დაადგინა ჩაატაროს კამპანია საკრ. ამხანაგობებში გლეხების ანაბრების გასადიდებლად.

— **გამოჩინებულის** თემში (ქუთ. მ.) გლეხები აგებენ სახალხო სახლს.

წერილები

გულანიანის უსტარი

(ბარალეთი, ახალქ. მ.)

ახალქალაქის მაზრაში თებერვლის პირველ რიცხვებიდან შემოღებული იქნა ნათესებისა და საქონლის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა. სამისოდ აგენტებიც დაიგზავნა ადგილებზე.

ერთ ასეთ აგენტს უბედურება შეემთხვა და ბარალეთის უბანი ხვდა წილად. [illegible] იფიქრებს, ბარალეთელი ხელისუფალნი [illegible] ინტერესებულნი არიან სოფლის კეთილდღეობით და ამიტომ დაზღვევის საქმეს ალტაცებით შეეგებენო. არაფერი გეტკინათ.

გინდ დამზღვევი აგენტი ჩასულა ბარალეთში და გინდ ნიბლია ჩიტი ჩაფრენილა. ყურს არავი აბარტყუნებს, ამბავსაც არავინ კითხულობს, რისთვის და რათ ჩამოვიდა კაცი მაზრიდან.

მილიციელი დასჭირდა აგენტს სოფლის ჩამოსავლელათ. „მაგ საქმისთვის ჩვენ მილიციელები არა გვყავსო"—უპასუხეს მკვახეთ მაზრელ სტუმარ მილიციაში. თემაღმასკომი უფრო მოკლე და სხარტ პასუხს იძლეოდა: „არა გვცალიან". გინდ ქიჰზე ვასკდი, გინდ მიწა გახეთქე და მთები ააგორავე. კაცი ხმას არ გცემს, დახმარების ნიშანი არსაიდან სჩანს.

რის ვაივაგლახით და წვალებით ჩაატარა აგენტმა უცხო და უცნობ სოფელში საქონლის აღრიცხვა და საქმის დასასრულს ერთხელ კიდევ სცადა ბედი, ვინძლო კაცობა ვინმემ გამოიჩინოს და დამეხმაროს კამპანიის საბოლოოთ ჩატარებაშიო.

ამ იმედით ის მიდის მილიციის უფროს გულანიანთან და სთხოვს მიწეროს სოფლის რწმუნებულს, რათა მან აგენტს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს.

გულანიანმა პატიოსანი კაცის სახე მიიღო. მოიწყინა და ლამის სიბრალულისაგან ცრემლები გადმოჰყარა. „მეშველა. მოლბა ბარალეთელი მურვან-ყრუ", გაიფიქრა აგენტმა და თან ხინდისმა შეაწუხა, რომ ამ უცხო კაცს ასეთი ტკივილები მიაყენა.

ცოტა ხანს კიდევ გასტანა ასეთმა სცენამ და მილიციის უფროსი ელვის სისწრაფით მიტრიალდა იქვე მაგიდას მიუჯდა, მელანში კალამი ამოუწო და საჩქაროთ გაუმზადა ბარათი აგენტს სოფლის რწმუნებულთან. ასეთი არაჩვეულებრივი ყურადღებით მოპყრობამ ისე აუყუჩა გული მრავალტანჯულ აგენტს, რომ მან მადლობის გადახდაც ვერ მოახერხა. თავჩაქინდრული გამობრუნდა მილიციის უფროსისაგან და შურდულივით გაექანა სანეტარო ბარათით სოფლის რწმუნებულთან.

მაგრამ, ოი საკვირველებავ! რწმუნებული ქაღალდის წაკითხვისას გადაბრუნდა და სიცილით გული კინაღამ წაუვიდა. გაოცებულმა აგენტმა დახედა ბარათს და თვალებში დაუბნელდა. „ძაღლო, მამაძაღლო, ვისი რა გდიხარ, რომ ჩვენს საქმეში ეჩრები, შენისთანებისათვის არაერთისთვის მომიტეხია კისერი და შენც შავ დღეს დაგაყენებ თუ აქედან არ გაგეცალე". კიდევ სხვა მრავალი მარგალიტები დაინახა აგენტის თვალმა ბარათში. მაგრამ რაღა ეთქმოდა. ადგა და გულდაწყვეტილი გამოქუსლა მაზრისაკენ. საქონლის დაზღვევას ვინღა სჩივოდა, როცა საბრალო აგენტს თავის თავის დაზღვევაზე უნდა ეზრუნა, რომ სული არ დაეტოვებია ბარალეთის ხეობებში.

ამის შემდეგ ბუნებრივათ ისმება კითხვა, რა სასჯელის ღირსია ასეთი, უკაცრავად თქმაა, მილიციის უფროსი? აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი ალბათ მოუნახავს ადგილს სოფლის მუშაკთა ამ მახინჯ შვილს.

ადონი.

ხელს გვიშლის წერა-კითხვის უცოდინარობა

(ცაგერის თემკომი)

თემკომის დაარსებამ დაუახლოვა პარტიული ორგანო წევრებს და ხელი შეუწყო მუშაობის გაცხოველებას. გაიზარდა წევრთა რიცხვიც. სულ მოკლე ხნის განმავლობაში პარტიის წევრ ქალთა რიცხვმაც იმატა. თემკომის დაარსების შემდეგ მიღებულია 7 ქალი.

მუშაობას ხელს უშლის წევრთა წერა-კითხვის უცოდინარობა. თემკომი შეეცადა გაეგზავნა ასეთები წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, მაგრამ გლეხებმა მეურნეობის პირობების გამო ვერ მოახერხეს სკოლაში სიარული.

ლ—მ.

[illegible] ამით აიხსნება, რომ ქვეყნის სახელმწიფო აპარატი, ზოგიერთი მისი ზედაფენების გამოკლებით, ხელ-უხლებელი დასტოვა. სისტემა რჩება ძველებური, გამოიცვალენ მხოლოდ ზოგიერთი პირები, რომელნიც თავის წინამოადგილეებისაგან ბევრით არაფრით განირჩევიან.

პილსუდსკის „რევოლიუციაში" მასას აქტიური მონაწილეობა არ [illegible]

[illegible]სუდსკი ამრხანა

ამასთან

ლი პოლონეთის გამოწერილია: დინამო მან[illegible]ობა. ამ ქვეყ[illegible]ხის საწმენდი). ცარგის სასის შენელებ[illegible] ახალი ჰიდ.-ელ.-სადგ.

ბა საბჭოთა [illegible] წარმოება გაფართო[illegible] ურთიერთობების შტატი გადიდდება 15. სკი საბჭოთა [illegible] და შრომის ნაყოფიერებაც [illegible] ლი მტერია. [illegible] გაიზრდება, ქარხანას დიდი

ნა ღებულობს თურჩუს მთიდან (გორდის თემი).

[illegible] საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოსაგან.

კ. ნ.

ტანჯვის წყარო

(ქვემო-მაჩხაანი, ქიზიყი)

მოგეხსენებათ ქიზიყში სასმელი წყლის დიდი ნაკლებობაა. ქიზიყელნი პატარ-პატარა წყაროებით სულდგმულობენ. კარგია, თუ ეს პატარა წყაროები წესიერად იძლევიან წყალს და არ არიან გაფუჭებულნი, წანამულნი, როგორც სოფელ ქვემო-მაჩხაანის წყარო „ბალაბინა".

ეს ერთი წელიწადია შეუდგენ ქვემო-მაჩხაანელნი ამ წყაროს შეკეთებას, მაგრამ დღევანდლამდე არა ეშველა რა. რომ იცოდეთ რა ტანჯვა-ვაებაში არიან ამ წყაროს შეუკეთებლობის გამო ქვემო-მაჩხაანელნი? შუაღამიდან მოკიდებული დგანან ჯერში ქალები და ბავშვები და სამი-ოთხი საათობით უხდებათ ლოდინი ერთი კოკა წყლის ასავსებად. ამის გარდა პირუტყვიც დიდ გაჭირვებას განიცდის.

დროა ქვემო მაჩხაანელებმა გამოიბერტყონ ყურები და ახლა მაინც შეაკეთონ წყარო.

ისევი.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ზაფხულის თვეებში

შემჩნეულია, რომ თითქმის ყოველ წლიურად ზაფხულის განმავლობაში სუსტდება უჯრედის მუშაობა. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ზაფხულში უმეტეს შემთხვევაში არ სწარმოებს მუშაობა გეგმის მიხედვით. კრებები არ ხდება რეგულიარულად, დღის წესრიგში ამის გამო ბევრი საკითხები იყრის თავს. მომხსენებლები არ ემზადებიან, ან ცუდად ემზადებიან მოხსენებებისათვის და სხვა. ამის გამო ინტერესი კრებებისადმი სუსტდება, ამხანაგები აღარ ესწრებიან მათ, ხოლო ბრიც ისეთი შემთხვევაა, როცა მოსულთა რიცხვის სიმცირის გამო კრების გახსნა შესაძლებელი არ არის. აქ მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ უჯრედის აქტივი ხშირად ყოველგვარ რიგისა და შეცვლის გარეშე მიდის შვებულებაში. ცხადია, ამ გარემოებას ზაფხულის სიცხეც ემატება. ეს გარემოება კი ცუდ გავლენას ახდენს ორგანიზაციაზე; სხვას, რომ თავი დავანებოთ სუსტდება პარტიული დისციპლინა და პარტიის წევრები წყდებიან ორგანიზაციას.

საჭიროა ზომების მიღება, იმისათვის, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც იქნეს აცილებული თავიდან ეს გარემოება.

რა არის ამისათვის საჭირო? პირველ ყოვლისა უჯრედში უნდა შეიმუშავონ მუშაობის წინასწარი გეგმა ზაფხულის თვეების განმავლობაში. რასაკვირველია, ეს გეგმა დეტალურად უნდა იქნეს დამუშავებული. უნდა ვერიდოთ მის გაფართოებას ზომაზე მეტად. გეგმაში უნდა იქნეს შეტანილი ყველაზე მეტი საყურადღებო საკითხები, იმ ანგარიშით, რომ მათი ცხოვრებაში გატარება უჯრედის შემცირებული ძალებით შესაძლებელი გახდეს. გარდა ამისა, საჭიროა ერთგვარი მორიგეობის შემოღება შვებულებაში მიმავალ აქტივის წევრთა შორის.

დაუშვებელია ისეთი მოვლენა, როდესაც უჯრედის ბიუროს წევრთა საგრძნობი ნაწილი ერთსა და იმავე დროს სარგებლობს შვებულებით. უჯრედის გაშიშვლება და ხელმძღვანელობის გარეშე დატოვება არ უნდა იქნეს დაშვებული. შვებულებაში მიმავალმა უჯრედის ბიუროს წევრმა ან პარტმუშაობის რომელიმე დარგის ხელმძღვანელმა თავის მაგიერ უნდა დასტოვოს ისეთი ამხანაგი, რომელიც შესძლებს მუშაობის გაძღოლას და შვებულებაში წასულ ამხანაგის მოვალეობის ასრულებას. საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს პარტკრებების მოწვევასაც. ამ მხრივ სავსებით უნდა იქნეს დაცული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივა.

უჯრედების კრებები უნდა ხდებოდეს რეგულიარულად ორ კვირაში ერთხელ. თბილისის ორგანიზაციაში ეს წესი ხშირად ირღვევა. კრებების წარა-მარა მოწვევას შედეგად ის მოსდევს, რომ პარტიის წევრებს ეკარგებათ კრებაზე გამოცხადების სურვილი და დამსწრეთა რიცხვი კლებულობს.

ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მიმდინარე ზაფხულში პარტმუშაობის შესუსტების წინააღმდეგ ზომების გატარების დროს.

ბანი.

სამხედრო უჯრედების კრება.

(გორი).

20 მაისს ქალაქ გორში შესდგა გორის გარნიზონის ქართულ ნაწილების პარტორგანიზაციების გაერთიანებული კრება. დაესწრო 300 მეტი პარტიის წევრი და კანდიდატი. მოხსენება საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას აპრილის პლენუმის და ამიერ-კავკასიის პარტიულ თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა დივიზიის სამხედრო კომისარმა ამხ. ა. კვირიკაძემ.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„გორის ქართულ ნაწილების პარტორგანიზაციების გაერთიანებული კრება, მოისმინა რა ამხ. კვირიკაძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას აპრილის პლენუმისა და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციათა გაფართოებული თათბირის მუშაობის შესახებ, სავსებით უერთდება მათ დადგენილებებს.

კრებას საჭიროდ მიაჩნია:

1. ნაწილების კომუჯრედებში ჩატარდეს კამპანია საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის თათბირის დადგენილებების შესასწავლად.
2. ნაწილებში მოწვეულ იქნეს უპოლიტშემადგენლობის კრებები პლენუმის და თათბირის დადგენილებების გაშუქების და პოპულარიზაციის მიზნით.
3. ჩატარდეს ნაწილებში კამპანია მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ.
4. დაევალოს პარტორგანიზაციებს, რათა მისცენ სათანადო დირექტივები სამხედროთა ორგანიზაციებს მომჭირნეობის კამპანიის შესახებ. გაშუქებულ იქნეს ეს საკითხი როგორც ნაწილის კედლის გაზეთებში, ისე პრესაში.
5. ეთხოვოს გაზეთ „წითელი არმიელი"-ს რედაქციას, რათა გაზეთის ფურცლებზე დაიწყოს კამპანია მომჭირნეობისათვის.
6. გამოეცხადოს ნაწილებში სასტიკი ბრძოლა გაფლანგვა-ქურდობას".

ი. რუდიევსკი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ახ. ლ. კომკავშირის მუშაობა რაჭის მაზრაში

ახ. ლ. კომკავშირის რაჭის სამაზრო ორგანიზაცია აერთიანებს 985 წევრს და 15 კანდიდატს, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში [illegible] 115 წევრი. სულ კომკავშირის წევრების საერთო რიცხვი [illegible] ორგანიზაციაში უდრის 1.115. აქედან 296 ახალგაზ. ქალია.

ორგანიზაცია თანდათან იკრებს თავის გარშემო მშრომელ ახალგაზრდობას.

კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოების, კოოპერატივების, გლეხკომების და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. კომკავშირი პარტიასთან ერთად აწარმოებდა საბჭოთა არჩევნების წინასწარ მუშაობას. ასე რომ, საბჭოთა არჩევნებში კომკავშირელები ღებულობდენ ცხოველ მონაწილეობას. კომკავშირელების საგრძნობი რიცხვი იქნა არჩეული საბჭოებში.

ფიზკულტურის წრე არსებობს თვით ქ. ონში, მაგრამ მისი ხელმძღვანელი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ამის გამო მუშაობა არ სდგას თავის სიმაღლეზე.

კომკავშირის წევრები ჩაბმული არიან სტაციონალურ, მოძრავ პოლიტცოდნის სკოლებში, ისინი კულტურულ მუშაობას აწარმოებენ აგრეთვე ქოხ-სამკითხველოებში.

პიონერთა მოძრაობა მიმდინარეობს შესაფერად, მაგრამ ხელმძღვანელები ვერ არიან მომზადებული სათანადოთ და ეს საგრძნობლად აფერხებს მუშაობას. ბოლო ხანებში დიდია ბავშვების ლტოლვა პიონერთა ორგანიზაციებისადმი, მაგრამ ყველა მსურველის მიღება შეუძლებელია, [illegible] მაზრაში მუშაობს მხოლოდ ერთი ინსტრუქტორი; გარდა ამისა უკანასკნელი ვერ ღებულობს თავის დროზე საორგანიზაციო თანხას, რაც დიდათ უშლის ხელს მის მუშაობას.

ამჟამად მაზრაში არსებობს 12 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებენ 890 ბავშვს, ორგანიზაციის გაფართოება შესაძლებელია კიდევ მეტად, მაგრამ ამის ნივთიერი საშუალება არ მოიპოვება. საანგარიშო თვეების განმავლობაში ჩატარდა ნორჩ პიონერთა ხელმძღვანელების მოსამზადებელი კურსები, რომლებმაც სასურველი შედეგები მოიტანა.

კოლექტივები არსებობენ უმთავრესად სასწავლებლებთან და მათ ხელმძღვანელებათ არიან ახ. ლ. კომკავშირის წევრები.

რაჭველი.

ახ. ლ. კომკავშირის მუშაობა სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის სამაზრო ახ. ლ. კომკავშირის ორგანიზაციაში 1926 წლის 1-ლ მარტისათვის ითვლებოდა 2574 წევრი და 30 კანდიდატი. ამათში მამაკაცები 2.233 და ქალები—341.

მაზრის ორგანიზაცია აერთიანებს 22 სათემო კომიტეტს 108 უჯრედით. ეროვნების მიხედვით ქართული უჯრედებია 77, სომხური—3, ოსური—19 და რუსული—9.

კომკავშირის კულტურული მუშაობა გამოიხატება შემდეგში: სოფლად დაარსებულია პოლიტწრეები და პოლიტკითხვის ჯგუფები. პოლიტწრე 14, პოლიტკითხვის—107 და აგროწრეები—8. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს დასახელებული წრეები ძალიან სუსტად მუშაობენ. მომზადებულ ხელმძღვანელების სიმცირის გამო და აგრეთვე სრულიად არა აქვთ სახელმძღვანელო ლიტერატურა, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. კომკავშირის სამაზრკომს არა აქვს კავშირი მაზრის პოლიტგანთან და განათლების განყოფილებასთან; კავშირის კულტურულ საქმიანობაში კი ფართოთ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ერთი, ისე მეორე ორგანიზაციის ძალება და საშუალებანი.

ადგილობრივ აგრონომების გამოყენებით შეიძლება აგროწრეების მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება. კომკავშირის ორგანიზაცია სოფლად გლეხურია და წევრები ყველა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგთან. ამისათვის საჭიროა აგროწრეების მუშაობა მიმდინარეობდეს ნორმალურად, სოფლად არის აგრონომები მიწათმოქმედების კომისარიატისა. აგრონომები ჰყავს სახალხო მამულებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და სხვ. ასე რომ თუ ეს ძალები გამოყენებულ იქნება, ცხადია, მუშაობა დადგება სათანადო დონეზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი მეურნეობის კულტურულად დამუშავების საქმეს.

მთავარი საყურადღებო მომენტი კომკავშირის მუშაობაში არის ქალთა შორის მუშაობის გაცხოველება. იყო შემთხვევები, როდესაც ქალები, კომკავშირის წევრები, მასიურად სტოვებდენ კავშირს სხვადასხვა მოსაზრებებით, რასაც დღეს ადგილი არა აქვს, ახალგაზრდა ქალების რიცხვი კომკავშირის ორგანიზაციაში უდრის სულ 13 პროცენტს.

მოიკოჭლებს მუშაობა მოჯამაგირეთა შორის. ოფიციალური ცნობების მიხედვით, სიღნაღის მაზრაში არის საკავშირო ჰასაკის 1000-მდე მოჯამაგირე. ამათში კომკავშირში არის მხოლოდ 152, რაც შეადგენს 15 პროცენტს. კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა უნდა გააცხოველოს მუშაობა ამ მიმართულებით—რაც შეიძლება მეტი მოჯამაგირე უნდა იქნეს ჩაბმული კავშირის წევრებად და აგრეთვე კავშირში უნდა იზარდოს პარტკადრის პროცენტმა, რომელიც ჯერ-ჯერობით მცირეა. მოისუსტებს აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციაზე პარტიის ხელმძღვანელობა. თემკომები არ იცნობენ კომკავშირის მუშაობას. ამისათვის საჭიროა მეტი ყურადღება და მეტი მუშაობა კომკავშირის და პარტიის შორის ნორმალური დამოკიდებულების ჩამოსაგდებად.

მოისუსტებს პარტხელმძღვანელობა პიონერორგანიზაციაზეც. პიონერთა ორგანიზაციას არა აქვს სახელმძღვანელო ლიტერატურა. მუშაობის გასაჯანსაღებლად საჭიროა პიონერწინამძღოლთა და ინსტრუქტორების გადამზადება, მაზრის პიონერთა ორგანიზაციის შესწავლა და სათანადო იდეურ-მატერიალური დახმარების აღმოჩენა ცენტრიდან და პიონერთა ლიტერატურის დროულად გამოგზავნა.

[illegible] მაზრაში ახალგაზრდა პიონერთა 38 კოლექტივი [illegible] 1696 წევრით და 883 ოქტომბრელით, ასე რომ [illegible] პიონერორგანიზაციაში ირიცხება 2.578 ბავშვი. ამათში ვაჟებია 1583 და ქალები—995.

ორგანიზაცია უმთავრესად შესდგება გლეხის შვილებისაგან (2.321 ბავშვი), შემდეგ მიდის მუშის შვილები (113 ბავშვი), მოსამსახურეთა შვილები (92 ბავშვი), მოჯამაგირეთა შვილები (15 ბავშვი) და სხვა დანარჩენთა შვილები.

პიონერთა ორგანიზაცია მაზრაში უშვებს 21 კედლის გაზეთს, რომელსაც ჰყავს 98 პიონერთა კორესპონდენტი.

სიღნაღელი.

[illegible]-სამეურნეო გამოფენის გახსნა 26 მაისიდან გადაიდო 30 მაისისათვის; 30 მაისი დაწესებულია გამოფენის გახსნის უკანასკნელ ვადათ.

გადადება გამოწვეულია ნიაღვარით, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში 22 მაისს; ნიაღვარის გამო გაძნელებულია ექსპონატების მიტანა გამოფენაზე და პავილიონების საბოლოოთ მოწყობა.

ამასთანავე გადადება გამოწვეულია იმით, რომ განზრახულია გამოფენის გახსნა შეფარდებული იქნეს კარგ ამინდთან.

—:—

თბილისში ჩამოვიდა კრუპის ქარხნების ორი ინჟენერი, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ კრუპის ქარხნის პავილიონის მუშაობას ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

[illegible] გამოკვლევის დროს მეჯარჯვენე ხორცით ვაჭრობის [illegible] („მიასოტორგ"-ი) კოოპერატიულ ორგანიზაციებზე ბითუმად ყიდის ხორცს 11 მანეთად 50 კაპ., მაშინ, როდესაც ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიმდინარე წლის 13 მაისის განკარგულებით მას წინადადება ჰქონდა მიცემული კოოპერატიულ ორგანიზაციებზე ხორცი გაეყიდა 11 მანეთად 10 კაპეიკად.

გამოკვლევის მასალები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეცა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

ნათესების მდგომარეობა

15 მაისისათვის

მაისის პირველ ნახევარში ამინდი ერთნაირი არ ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. დასავლეთ საქართველოს უმეტეს მაზრებში, თბილისის მაზრის ნაწილში და კახეთში ამინდი ხელსაყრელი არ ყოფილა სოფლის მეურნეობისათვის.

შორაპნის მაზრაში, სამხრეთ-ოსეთში და დუშეთის, თბილისის, გორის, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში კი, პირიქით, ამინდი მეტად ხელსაყრელი იყო ნათესებისა, ბაღებისა და ვენახებისათვის.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ახალქალაქის, ახალციხის, გორის და თბილისის მაზრებში ადგილი ჰქონდა სეტყვას, რომელსაც საგრძნობი ზარალი არ მიუყენებია ნათესებისათვის.

ნათესების საერთო მდგომარეობა, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ მაისთან შედარებით, რამოდენიმეთ გაუარესდა; ასე, მაგალითად, პირველ მაისს ნათესების მდგომარეობა ასეთი იყო: ზამთრის პურეული—3,6, ზამთრის ქერი—3,0; 15 მაისს: ზამთრის პურეული—3,5, ზამთრის ქერი—3,4.

გასული წლის 15 მაისთან შედარებით მიმდინარე წლის ნათესები უკეთეს მდგომარეობაშია.

ვენახები: საშუალოზე უკეთეს მდგომარეობაშია ვენახები ბორჩალოს, სიღნაღის, თბილისის, ქუთაისის, სენაკის და შორაპნის მაზრებში, საშუალო მდგომარეობაშია დუშეთის, თელავის, ოზურგეთის მაზრებში და აფხაზეთში.

სიმინდის ნათესების მდგომარეობის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება გარკვევით, რადგან სიმინდის თესვა ჯერ არ მოთავებულა.

ბაღები: საშუალოზე უკეთეს მდგომარეობაშია ბაღები ახალციხის, თბილისის, ქუთაისის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში; საშუალო მდგომარეობაშია ახალქალაქის, დუშეთის, სიღნაღის, სენაკის მაზრებში და აფხაზეთში.

საერთოდ ნათესები საქართველოში მიმდინარე წლის 15 მაისისათვის საშუალო მდგომარეობაშია.

ახალი კურორტები

ჩვენი ქვეყანა დაჯილდოვებულია საუკეთესო კურორტებით.

აქამდე ჩვენს კურორტებში საქვეყნოდ ცნობილი მხოლოდ აბასთუმანი და ბორჯომი არის.

ჩვენში კიდევ ბევრია ისეთი სამკურნალო ადგილები, რომელნიც თავიანთი სამკურნალო ღირსებით არ ჩამოუვარდება აბასთუმანს და ბორჯომს.

აქ აღსანიშნავია მუაშის (ქვემო სვანეთშია, ლაშხეთის თემში) სამკურნალო წყარო, ამ წყაროში საგრძნობლად მდიდარი მინერალიზაცია არის. ამათ შორის ვხვდებით ელემენტ ლინჯასაც (კობალტი), რაც ქიმიკოსების აზრით, ერთგვარ კატალიზატორის როლს უნდა ასრულებდეს ორგანიზმზე მოქმედების დროს.

ამავე ლაშხეთის თემში არის მდინარე პიჩქორა, რომლის რადიოაქტივობა 565 მახეს ერთეულს აღწევს.

ასეთი მაღალი რადიოაქტივობის მქონე წყალი პირველია მთელ ამიერ-კავკასიაში.

სამკურნალო ადგილს გარს ახვევია მშვენიერი ნაძვნარი. სვანეთში გზის გაყვანის შემდეგ, ლაშხეთის თემი და, კერძოთ, მუაში საქართველოს კურორტთა შორის თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს. სოფ. ახალ-ჭალას ლეჩხუმის მაზრაში, არის იშვიათი ღირსების რკინოვანი წყარო.

თუ ეს კურორტი იქნა სათანადოთ მოწყობილი, მთელ რიგ ჩვენ სამკურნალო ადგილებს კიდევ ერთი აგარაკი შეემატება.

ექ. გრ. კუნჭულია.

ხანძარი გორში

23 მაისს, ღამის სამ საათზე, ქ. გორში სართულიან სახლში (რუსთაველის ქ., 79) გაჩნდა ხანძარი, რომლის დროს დაი ხსენებული 2 სართულიანი შენობა (8 ო ხით და 5 დარაბით). ზარალი უდრის ლოებით 12.000 მანეთს. ხანძრის გაჩ მიზეზი გამოურკვეველია.

როგორც სახლის პატრონის განცხად დან სჩანს, როდესაც ის ამდგარა ღამ საათზე (ჩვეულებრივად ამ დროს დგ და) შეუნიშნავს, რომ კიბე გახვეულ ცეცხლის ალში. ბინიდან გამოსვლა ძნელებელი იყო, რადგან კარი ჩაკეტი ხვდა ბინიდან. ასტეხა ყვირილი. გამოცხადდა ადგილობრივი ცეცხლი ბელი რაზმი. დილაზე 11 საათისათვ მიეშველა თბილისიდან რკინის გზის ცეცხლთან ხანგრძლივი ბრძოლის ხანძარი ჩაქრობილი იქნა მეორე დღ

ქრონიკა

ამხ. ლაშევიჩის ჩამოსვლა

გუშინ, 24 მაისს, მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის საზღვაო სამხედრო კომისრის მოადგილე ამხ. ლაშევიჩი.

ახალი ქართული შრიფტი

[illegible] განათლების კაბინეტ[illegible] რიატს, რომ მან ხელშეკრულება დასდოს საბჭ. კავშირის სახელმწ. ნიშნების დამამზადებელ სამმართველოსთან ახალი ქართული შრიფტის საჭიროებისათვის „მატრიცების" დამზადების შესახებ.

გზა სვანეთში

სახ. კომ. საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოს გაიღოს 15.000 მანეთი მესანგრე ბატალიონის საჭიროებისათვის, რომელიც სვანეთში გაიგზავნა ჯვარ-მესტიის გზის გასაყვანად.

რატომ გაწყდა საქონელი მცხეთაში

ექსპერტთა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქონლის გაწყვეტის მიზეზების გამოკვლევა მცხეთაში, დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისიის დასკვნა ასეთია: 147 სული საქონელი მოუკლავს ტაბახმელის შრატის და დასნეულებულ ცხოველის სისხლის აცრას და 8 მსხვილფეხა საქონლის ჭირს. ყველა მასალები კომისიის დასკვნასთან ერთად გადაეცა იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომელიც შეუდგა სასამართლო გამოძიებას.

სასწრაფო ფოსტა

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს განკარგულების თანახმად ა.-კ. საფოსტო დაწესებულებები საჩქარო-საფოსტო მასალების გადასაგზავნად მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში დასასვენებელ დღეების გამოუკლებლად. მუშაკებს, რომელნიც უქმე-დღეებში იმუშავებენ, დასასვენებელი დღე მიეცემათ განსაკუთრებით.

ინგლისელ გაფიცულების სასარგებლოდ

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და თანამშრომლებმა თავისი ერთი დღის ნამუშევარი გადასდეს ინგლისელ გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

ტრამვაის ახალი ვაგონები

თბილისის აღმასკომმა მოსკოვის ქარხნებს დაუკვეთა 54 ახალი ვაგონი.

აღმასკომის ცნობით, ახლად დამზადებულ ვაგონებს გაცილებით უფრო მეტი ძალა ექნება, ვიდრე აქვს ამჟამად თბილისში მომუშავე ვაგონებს (თბილისის ვაგონებს აქვს 30—35 ცხენის ძალა, ახლებს ექნება 50 ცხენის ძალა); ამიტომ შესაძლებელი გახდება მისაბმელი ვაგონების გაფართოვება და გადიდება.

სატარიფო თათბირი

მაისის ბოლო რიცხვებისათვის განზრახულია თბილისში მოწვეული იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სატარიფო თათბირი.

თათბირის მიზანია გაარკვიოს დაწესებულებებში და წარმოებებში სატარიფო-ეკონომიური მუშაობის საკითხები.

თათბირი აგრეთვე განიხილავს სოფლების პედაგოგიურ და საექიმო შემადგენლობის სამუშაო ხელფასის საკითხებს.

პურის საცხობი მანქანა

გამომგონებელმა ა. კლდიაშვილმა გამოიგონა თონეში პურის ცხობის ახალი იარაღი, რომლის გამოცდა მოხდება დღეს, 25 მაისს, დილის 11 საათზე, მუშკოოპის გამგეობის შენობაში.

გამოცდაზე მოწვეული არიან სპეციალისტები და პრესის წარმომადგენლები.

სამრეწველო-ეკონომიური განათლება

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსდა სამრეწველო-ეკონომიური (კომერციული) განათლების დამხმარე კომიტეტი, რომლის დებულება უკვე დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას.

კომიტეტის ფონდი შესდგება იმ შემოწირულებისა და ანარიცხებიდან, რომელსაც გადადებენ მის სასარგებლოდ ბირჟები, ბანკები, სახელმწიფო-სავაჭრო ორგანოები და კოოპერატიული ორგანიზაციები.

თბილისის საფონდო-საქონლის ბირჟამ უკვე გადასდო კომიტეტის ფონდში თავისი მოგების ხუთი პროცენტი.

საკომერციო განათლების დამხმარე კომიტეტის მისამართი: ტროცკის ქ., ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველო.

ქუთაის-წყალტუბოს გზა

15 ივნისს დამთავრდება ქ[illegible] წყალტუბოს გზის აშენება. ამ დროსათვის იქ[illegible] იხსნება საკურორტო სეზონი.

საჰაერო კატასტროფის წევრები

თბილისის კავშირის საჰაერო [illegible] რომსა ქებურიამ აცნობა ამ.-კავ[illegible] თანამშრომელს, რომ [illegible] შესახებ, რომ [illegible] „კომეტას" დაღუპვის დროს მძიმედ დაჭრილი „პრავდა"-ს სპეციალური კორესპონდენტი ამხ. როზენბლატი გარდაიცვალა. შესაძლოა ის გადაარჩინენ.

შრომის სახ. კომისარიატში

— **ტეხნიკური ინსპექცია.** შრომის სახ. კომისარიატმა ტეხნიკურ ინსპექციის გამგე გაგზავნა ბათომში და სოხუმში წარმოებათა ტეხნიკურ პირობების გამოსაკვლევად.

— **სახალხო მამულებში** დაბანდებულ მუშების მდგომარეობის გამოსაკვლევ მუშაობას უკვე შეუდგა შრომის კომისარიატი.

— **სანიტარული ინსპექცია** ივნისის პირველ რიცხვებში შეუდგება სასოფლო-სამეურნეო დარგში ჩაბმულ მუშათა სანიტარულ მდგომარეობის შესწავლას.

სხვადასხვა

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება მეცადინეობა ქართული ენის შემსწავლელი წრის პროფ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით.

— **წითელი ჯვარის** სამღლეული, რომელიც უნდა გამართულიყო 4, 5 და 6 ივნისს, გადაიდო სექტემბრისათვის.

— **მილიციის მუშაკთა** მოსამზადებელ კურსებიდან ამ დღეებში გამოშვებულ იქნება ახალი ჯგუფი კურსდამთავრებულების, რომლებიც დაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოდ.

— **მანგლისის საბავშვო** სანატორიუმის სახურავზე თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილება აწყობს მზის ვანებს.

— **ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვა.** თბ. აღმასკომმა განმეორებით აკრძალა ქუჩებში წყალის, ნაყინის და ხილეულობის ვაჭრობა.

— **„ყვავილი".** დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა ალ. წერეთლის საყმაწვილო მოთხრობების კრებული „ყვავილი".

შემთხვევები

— **დახრჩობა.** 23 მაისს სამხედრო სკოლის ზევით, მტკვრის ნაპირას წყლის მიერ გამორიყულ შეშების მოგროვების დროს წყალში დაიხრჩო მარიამ რომანოვა 14 წ.

— **დაჭრა.** 22 მაისს ძმასთან მომხდარ უსიამოვნების ნიადაგზე თავი დაიჭრა დანით რუბენ ბეჟანოვმა.

— **ქურდი მეუღლე.** 22 მაისს ბაგრატ არუთინოვი გაქურდა მისივე მეუღლემ სათენიკამ.

— ამავე დღის მუშინის ქ. № 18 ალავერდ მამედოვის ბინა გაქურდა მისივე ცოლმა ზინა ხანუმმა.

— **თვითმკვლელობის მიზნით** 22 მაისს აბანოს ქ. № 8 მოქ. მაშადი რამაზანოვმა მძიმედ დაიჭრა თავი.

— **მტკვარში გადავარდნა.** 23 მაისს ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და დაიხრჩო კატო ქოროღლიშვილი. მიზეზი—რომანიულია.

— **დაჭრა.** 23 მაისს აეროდრომ. № 2 საგუშაგოზე მდგომი წითელარმიელი დაჭრილი უცნობ ბოროტმოქმედებმა დასჭრეს ტყვიით.

— **სოფ. ლივადის** სამოვარ ადგილზე (ქვემო-წალკის რაიონი) სამაეტ პაკიზალ-ოღლიმ დასჭრა თოფით ქრისტეფორე არაბოვი.

— **ქურდობა.** 22 მაისს ქალაქის მესამე აბანოს კანტორიდან მოიპარეს კედლის საათი.

— ამავე დღეს კახეთის ქ. № 2 ანტონ მაცკუტის მისმა ცოლმა მოპარა 200 მან. ნივთები და მიიმალა.

— 23 მაისს ბაბილურის ქ. № 24 ლუკა ქოიავას ბინიდან მოიპარეს 225 მანეთი.

— 23 მაისს კლასიკური ქ. № 10 გაქურდეს კრიმსკის ბინა.

— **უგზო-უკვლოდ დაკარგული.** 8 მაისს სახლიდან წავიდა გიორგი სევასტისძე სევასტოპულო, ტანით საშუალო, შევრემანი, ოქროს კბილებით წინა მხარეზე, კოსტიუმში, ფეხზე ჩექმები აცვია, ქართულად კარგად ლაპარაკობს. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ—ეთხოვება აცნობონ ქიათურაში ტიმოთე სარ. ვაშაძეს.

ხელოვნება

— **„პაგანინი".** კინო მინიონში დაიწყო ახალ სურათის „პაგანინის" ჩვენება კონრად ვეიდტის მონაწილეობით.

— **მოსკოვის სატირის თეატრის** მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „სიყვარულის შესახებ".

— **„ჯავშნოსანი პატიომკინი"**-ს ჩვენება დაიწყო კინო „არფასტო"-ში.

მუშათა ცხოვრება

ალბად ციხი მოარჯულებს.

(მუშის შენიშვნა).

საღამოს 11 საათია. მუშათა ცენტრალურ კლუბიდან გამოდის ხალხი. ზოგს მძინარე ბავშვი უჭირავს ხელში, ზოგს მტირალა. ყველას რაღაც უკმაყოფილება ეტყობა. მე მიუახლოვდი ერთ მუშას და შევეკითხე:

— რაშია საქმე, ამხანაგო?! რად არის ეს ხალხი ასე უკმაყოფილო?

— წარმოდგენა უნდა ყოფილიყო და გადაიდო.

— რატომ? რა მიზეზით? ხალხი საკმაოდ არის და რაღად გადასდეს?

— იმიტომ, რომ წარმოდგენის ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს ნამდვილი გაძღოლა.

— რატომ ამბობთ ამას?

— იმიტომ, რომ, როცა არ შეუძლიათ საზოგადო საქმის გაძღოლა, არც უნდა ეკისრონ.

— რომ არ შეეძლოთ, ხომ ხელსაც არ მოჰკიდებდენ, ალბათ, სხვა რამ საპატიო მიზეზები ექნებათ.

— „საპატიო მიზეზი"—მათი დაუდევრობა და გულცივობაა ქართული წარმოდგენების მიმართ. მათ ავიწყდებათ, რომ აქ მომსვლელი ხალხი უმეტესად მუშა ხალხია, და ისიც შორიდან მოსულები. 8 საათზე წარმოდგენა უნდა დაეწყოთ და 10 საათზე ტანისამოსისათვის გზავნიან კაცს, მაგრამ გაგზავნილი კაცი უკან ბრუნდება მხოლოდ იმიტომ, რომ თერძთან სია არ გაუგზავნიათ, თერთმეტ საათამდე ხალხი ალოდინეს და გამოაცხადეს, რომ ტანისამოსი „გოსკინპრომში წაღებული"-ო. ასე, მუშა-ხალხს დროს აკარგვინებენ, იცრან კიდეც, რომ მეორე დღეს სამუშაოდ უნდა წავიდნენ და მათ ატყუებენ.

— იქნება ისინი მართლები იყვნენ?

— მართალი აქ ის არის მხოლოდ, რომ ყველას თავის-თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ერთი მეორეს უბრძანებს, რომ რამე გააკეთოს, მეორე—მესამეს და ამგვარად; ყველა დაარხეინებულია, მაგრამ საქმის სისრულეში მომყვანი კი არავინ არის.

— მართლაც, ასეთი მოქმედება ხალხის გამასხარავებაა და, მგონია, ამის შემდეგ მათ უფლება არა აქვთ, რომ ხალხს უსაყვედურონ ქართულ წარმოდგენებზე დაუსწრებლობისათვის.

— ეს, ამხანაგო, სცენის მოყვარეების ძველი სენია და, ვინც ამ სენისაგან ჯერ კიდევ ვერ მორჩენილა, ის რკინის ცოცხით უნდა გამოიგავონ ჩვენი მუშათა კლუბებიდან.

მუშა ამბალი.

მადლობის ღირსია ასეთი მოლარე.

მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების რიცხვი უდრის 2600 კაცს. მათ ემსახურება, როგორც მოლარე, ამხ. კაკო შენგელაია, ის არ ერიდება დროს: დილის 8 საათიდან, თუ საჭირო იქნება, საღამოს 5—6 საათამდე დაუღალავად მუშაობს, რათა კმაყოფილი იქნენ მუშები სალაროთი. ხშირი მაგალითია, რომ ის მთავარ სალაროში ფულის მისაღებად მიდის 1—2 საათზე და ბრუნდება მთავარ სახელოსნოში ფულის დასარიგებლად; ამისათვის ის არ მოითხოვს ზედმეტი შრომის გასამრჯელოს, როგორც სხვებს აქვთ ეს ჩვეულებად გადაქცეული.

კაკო შენგელაია იშვიათი ენერგიის და პატიოსნების ადამიანია და ჩვენ, მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებს, გვაქვს უფლება თამამად ვიამაყოთ ასეთი მოლარეთი. კარგია, სხვა მოლარეებიც მიბაძავდენ მას.

მუშკორი ქია ლევან.

ზოგიერთებს ბედი სწყალობს.

იყო ასეთი შემთხვევა: რკინისგზის მთავარ საავადმყოფოში მსახურობდა დარაჯად მიტროფანე წითლიძე, რომელმაც მოიპარა სახაზინო ქონება (რაც იყო აღნიშნული გაზ. „კომუნისტი"-ს 13 იანვრის №-ში). ამაზე ის დაიჭირეს და რაღაც პროტექციის საშუალებით იქნა გაშვებული ციხიდან. მხოლოდ აკმარეს ადგილიდან დათხოვნა ამ ქურდობის შემდეგ. მას ჰყავს ძმა რკინისგზის „ზაკპოგრუზ"-ში მეტაბელეთ, რომელმაც თავის ძმებით და ნათესავებით გაამრავლა ეს დარგი. ეს მისი ძმაც უმალ გაგზავნა ნავთლუღის საქონლის სადგურში. ორ თვეში „შტატის მომუშავედ" გაამზადა, თუმცა რამოდენიმე თვეა სხვა მუშები მუშაობენ და „გაშტატებას" ვერ ეღირსენ.

ზემოხსენებულ წითლიძეს მისი უმგვანო საქციელისათვის განშორებია ცოლი, რომლისაგანაც დაავადმყოფებულა საბრალო ადამიანი. სასამართლოში ეს ბოროტი კაცი ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ არ მისცეს რაიმე დახმარება მისგან გაუბედურებულ ცოლს, რომელსაც ცხოვრების სალსარი არ მოეპოვება და წამლის შეძენასაც მოკლებულია.

ასეთი პირები, როგორც წითლიძეა, მუშების რიგებში არ უნდა იმყოფებოდენ და მუშის სახელს არ უნდა ატარებდენ.

მუშა მცოდნე.

ნუ ავიწროებენ ამ მუშას

ხშირია შემთხვევები, რომ „უ. ქ. ს-ის" რაიონის ინსპექტორები ზერელედ არკვევენ მუშების საბინაო მდგომარეობას, რითაც ისინი დიდ ზიანს აყენებენ მუშებს. აი მაგალითიც, გოგოლევის ქ. № 48 სახლი ეკუთვნის „უ. ქ. ს." ამ სახლში ცხოვრობს რკინისგზელი ამხ. ახალაძე. უკავია ერთი პატარა ოთახი 30 კვადრ. არშინი, შიგ ცხოვრობს ხუთი სული. მათ შორის ცოლი და ერთი თვის ძუძუმწოვარა ბავშვი. ის ცხოვრობს მეორე სართულზე. სამზარეულო კი აქვს პირველ სართულზე, რომლითაც სარგებლობს 1923 წლიდან—იგი მას გადაეცა მაშინდელ გამგეობის მიერ, ერთი ოთახი ჩამოართვეს 1923 წელში და მის მაგივრად მისცეს ეს სამზარეულო სადაც სარგებლობდა ამდენ ხანს. ეხლა კი იმ დროს, როდესაც მას ოთხი სული სახლში ჰყავს და მათ შორის ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც ყოველ ორ საათში რძით კვება უნდა, აი ეხლა, რაიონის ინსპექტორმა ასეთი დასკვნა მისცა უ. ქ. ს. ვითომდა ეს სამზარეულო მეეზოვეს საცხოვრებელი ყოფილიყოს. და უნდათ მეეზოვე გადმოიყვანონ შიგ, რაც აუტანელ მდგომარეობაში აყენებს წვრილ-ცოლშვილის პატრონს.

საჭიროა „უ. ქ. ს." გამგემ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და ხელმეორედ გამოიძიოს ამხ. ახალაძის საბინაო მდგომარეობა, რომ ამით მისცეს საშუალება მას არსებობის და ახალგაზრდა წვრილი ცოლშვილის პატრონს არ ჩააყენებს აუტანელ პირობებში.

მუშკორი წყარო.

საჭიროა სისუფთავე.

საბჭოთა ქუჩაზე, № 44, აქვს ბაკი მოქ. კბილაშვილს, სადაც არის დიდი უსუფთაობა: ჰყრია აყარებელი ნაგავი და საქონლის ნეხვი. ფეხსადგილი გაუწმენდავია, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის იქაურ მოსახლეობას ათასგვარი ავადმყოფობით.

მე-9-ე რაიონის სანიტკომმა და უბნის მილიციამ, ყურადღება მიაქციეთ ასეთ სიბინძურეს.

მუშკორი ველეშაპი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მუშა-მსახიობი დიდი მადლობის ღირსია.** დიდი ხანია, რაც ჩვენ მუშათა თეატრების სცენებზე მოღვაწეობს დაუღალავად ჩვენი შ. ტერ-აკოპიანი. ის ჩვენს მუშათა კლუბებშიაც მუშაობს. ის ხშირად აწყობს და ხელმძღვანელობს თვით სკოლებში ბავშვთა სასარგებლოდ მოწყობილ საღამოებს. ეს უანგარო საზოგადო მოღვაწე განიცდის მატერიალურად დიდ გაჭირვებას: მას ჰყავს ავადმყოფი ცოლი და ორი მცირეწლოვანი, სკოლის ჰასაკის ბავშვები. ასეთ პირობებში იგი დღესაც დაუზარებლად ემსახურება მუშათა მასას.

მადლობა მას ჩვენი გულწრფელი, მუშური მადლობა!

ხ. ლორ—ძე.

— **ჩვენც ვეხმარებით ინგლისის მუშებს.** ნაგომრის (გურია) რაიონის განათლების და საბჭ. მუშ. კრება გაიმართა 14 მაისს. კრებამ მოისმინა ინგლისის მუშების გაფიცვის შესახებ მოხსენება. კრება მხურვალედ ესალმება ინგლისის გაფიცულ მუშებს და მათ სასარგებლოდ სდებს დღიურ ხელფასს.

გოჩა.

— **ამხანაგობა—ამხანაგურ გრძნობას მოკლებული.** პასტერის ქ., სახლი № 10, გადაცემული აქვს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას. ამხანაგობის გამგეობა არ აქცევს არავითარ ყურადღებას თვით ამხანაგების ჭირ-ვარამს. ეს ხალხი გაიტაცა წვრილ „ნეპმანურმა" სენმა. განთავისუფლებულ ოთახებს აძლევენ კერძო სპეკულიანტებს და არა იქ საშინელ მდგომარეობაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ითვლებიან ამხანაგობის ნამდვილ წევრებად.

განკურნეთ ეს „ამხანაგობა" ამ ცუდ სენისაგან.

აქა მნახე.

— **სხვებზე უკან არც ეს მუშები დარჩნენ.** ქ. ზუგდიდში 11 მაისს შესდგა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ინგლისში მომხდარი გაფიცვების შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. შელიამ. კრებამ ერთხმად დაადგინა გაფიცულ მუშების სასარგებლოდ ყველა მუშა-მოსამსახურეებმა გაიღონ დღიური ხელფასის 1 მეოთხედი. დახმარების შეგროვება უკვე დაწყებულია.

გ. ქ.

— **გაბინძურებული სადგური.** სადგურ ჯუმათს უწინ ძალიან სუფთად ინახავდენ ხოლმე. ეხლა კი ფეხის-ადგილები საშინლად გაბინძურებულია. სადგურში ისე ჰყარს, რომ აქ გაჩერებაც შეუძლებელია გამვლელ მგზავრებისათვის; ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები კი პირდაპირ ჯოჯოხეთში არიან და იწამლებიან ამ ამიაკის შხამით.

რიკო.

— **განათლების სახკომის საყურადღებოდ.** ცხრა წლიან შრომის სკოლის უკანასკნელ ჯგუფებში 1925/1926 წლის სამოსწავლო პერიოდში არ სწავლობენ პოლიტეკონომიას და საბჭოთა აღმშენებლობას, როგორც ცალკე საგანს და მხოლოდ ზოგადად ვოლგსონის საზოგადო მეცნიერებათა დართულ მასალებით სწავლობენ მას. ეს გარემოება დიდ გაუგებრობას ბადებს მოსწავლე ახალგაზრდობაში. განსაკუთრებით იმათში, რომლებსაც წელს სურს გააგრძელონ სწავლა უნივერსიტეტში., რადგანაც 1925/1926 წლის უნივერსიტეტში შესასვლელ პირთა საგამოცდო პროგრამაში, ზემოხსენებული საგნები კი ცალკ-ცალკე იყო ჩასაბარებელი.

ა. გოგეშვილი.

ნიაღვრები და წყალდიდობა

მტკვარის არაჩვეულებრივი ადიდება.—ზაჰესის ნაშენობებმა გაუძლეს წყლის არაჩვეულებრივ მოწოლას.—რკინისგზის მოსილვა კასპ-ქსანს შუა.—მდ. ვერამ იმსხვერპლა ორი კაცი.—600 სული ცხვარის დაღუპვა კოჯორთან. ახალ-ქალაქის მაზრის მთიან ადგილებში თოვლი მოვიდა.

ნიაღვარი თბილისში

პარასკევს 21 მაისს ნაშუადღევს თბილისში დაიწყო წვიმები და იმ დღიდან მოყოლებული გუშინ საღამომდე დროგამოშვებით წვიმდა. ქუჩები აივსო წყლით და კვირას 23 მაისს დილით შესაძლებელი გახდა ტრამვაის ვაგონების, ავტო-მანქანების და ეტლების მოძრაობა. ალაგ-ალაგ ნიაღვრებმა გამოიწვიეს ტრამვაის ლიანდაგის გაფართოება, რის გამოც 1—2 საათით სრულიად შეჩერდა ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა. ნიაღვრებმა განსაკუთრებით დიდი კვალი დააჩინეს საბჭოთა ქუჩას (ყოფილი ჩერქეზიშვილის ქ.), რომელიც წყლით დაიფარა — რკინისგზის ლიანდაგამდე. მთელი საბჭოთა ქუჩა გადაიქცა მდინარის კალაპოტათ. მოუხერხებელი შეიქნა ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადასვლა. მრავალი სახლის ქვედა სართულები ნიაღვრის წყლით აივსო. სახლების წყლისაგან დასაცლელად გამოწვეულ იქნა ცეცხლის მქრობელთა რაზმები, ამავე რაიონში გასეინის ქუჩაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა საძირკვლამდე დაანგრია ხოჯაევის სახლი № 43. რაღაც შემთხვევის გამო უბედურებას და ადამიანის მსხვერპლს სახლის წაქცევის დროს ადგილი არ ჰქონია.

სამხედრო გზაზე მაგრამ ის, რაც ნიაღვრებმა გამოიწვია, არაფერი არა სჩანს მასთან, რაც მოხდა პირველ კომისარიატის რაიონში — საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე. შაბათს 22 მაისს გათენებისას თბილისის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მოვიდა სასწრაფო ცნობა, რომ მოზღვავებულმა ნიაღვრებმა ჩარეცხეს და წაიღეს საქ. სამხედრო გზატკეცილის ის ნაწილი, რომელიც პირველი კომისარიატის რაიონში მდებარეობს. ცნობის მიღებისთანავე ამ რაიონში გაემგზავრა ქალაქის ადმინისტრაცია. ამავე ადგილს გაემგზავრენ ამხანაგები: ს. ორჯონიკიძე, ამხ. ლ. სუხიშვილი, ივანო-კავკასხსკი, კეთილ-მოწყობის განყოფილების გამგე ამხ. სიხარულიძე და სხვა. მთელი გზატკეცილი თამბაქოს ქარხნიდან (ლენინის ქ.) დაწყებული მილიციის სკოლამდე და ზევით ნიაღვრის წყლით აღმოჩნდა დაფარული.

გზატკეცილზე სრულიად შეჩერდა მოძრაობა, ცოტა ზევით მთელი მიდამოები ერთ მთლიან ტბას წარმოადგენდა. ბევრ ალაგას სახლები გარშემორტყმული აღმოჩნდა ტბით. წყლის ასეთი არაჩვეულებრივი მოზღვავება ამ რაიონში გამოუწვევია შემდეგ გარემოებას. შეუწყვეტელ ნიღვრებს ხრეშით და ქვიშით ამოუვსია მიწის ქვეშ გაყვანილი ნაწვიმარი წყლის სადენი მილი, რის გამო წყლის დენა მილში შეჩერებულა და შემდეგ მოზღვავებულ წყალს ერთბაშად დაუფარავს მთელი რაიონი. წყლით დაფარულ რაიონში გაემგზავრა ცეცხლის მქრობელი რაზმი და 100 კაცამდე მეეზოვე. რამდენიმე საათის განმავლობაში ცეცხლის მქრობელ რაზმელებს მხრებამდე წყალში მოუხდათ დგომა იმ მიზნით, რომ გაესუფთავებიათ წყლის სადენი მილი ქვიშისა და ხრეშისაგან. დიდი ჯაფისა და წვალების შემდეგ მილი გაწმენდილ იქნა, რის შემდეგ წყალმა წესიერად იწყო დენა მილში. თავ-დაუზოგველად მუშაობდა მეეზოვეთა რაზმიც, რომელმაც რამოდენიმე საათში გასწმინდა და გაასუფთავა გზატკეცილი.

ავლაბარში და რიყეზე. შაბათს ღამის 2 საათზე ავლაბრიდან რიყეზე გადმოიჭრა დიდი ნიღვარი. დილამდე ქუჩებში ტბები იდგა. ავლაბარში დაიღუპა რამოდენიმე სული შინაური საქონელი.

ქუჩების მოსილვა. მოსკოვის და ფლოლოსიევის ქუჩებზე გადმოხეთქილმა ღვარმა დიდი შლამი ჩამოიტანა და ქუჩები მოსილა. ფუნიკულიორის ფერდობზე მცენარეების დარგვის და ღვარის საწინააღმდეგო თხრილებს გაკეთებს შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა. ამ ქუჩებზე ღვარი მოდიოდა 23 მაისის მთელი დღის განმავლობაში.

ქალაქის კეთილ-მოწყობის განყოფილება დაჩქარებით აპირებდა ქუჩების გასაწმენდათ მუშაობის შედგომას, მაგრამ გუშინ საღამოს განახლებული დიდი წვიმების გამო მუშაობა გადაიდო გამოდარებამდე.

ტრამვაის ხაზზე

— გუშინ ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ტრამვაის ხაზზე, საღამოს 7½ საათიდან, ნაწილობრივ შესწყდა მოძრაობა. თავისუფლების მოედანსა და ზემელის აფთიაქის შორის რონოდების მიმოსვლა სრულიად შეჩერდა, რადგან მოსკოვის ქუჩით მთიდან მოვარდნილ წყალმა გადალექა ქვაფენილი და ლიანდაგი. მოძრაობა შეწყდა აგრეთვე ნიაღვრის მიზეზით. რამდენიმე ხნით წყნეთის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე და ორთაჭალის უბანში.

მტკვრის დონე

კვირას, 23 მაისს, ნიაღვარის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, მტკვრის დონე უდრიდა 280 სანტიმეტრს. გუშინ, 24 მაისს, წყალმა იწყო კლება და მტკვრის დონე უდრიდა უკვე 240 სანტიმეტრს.

ზაჰესში

22 მაისს ღამით მოსულმა წვიმამ მდ. მტკვარის შესამჩნევი გადიდება გამოიწვია. წვიმის ინტენსივობა ძალიან დიდი იყო. ზაჰესის წყლის მეთვალყურე სადარაჯომ აღნიშნა, რომ 22 მაისს, ღამის წვიმის დროს, 130 მილიმეტრი წყალი მოვიდა, რაც თბილისის რაიონისათვის ძალიან დიდია, რადგან საშუალო წლიური ატმოსფერული ნალექი თბილისის რაიონში 500 მილიმეტრს უდრის.

ამგვარად, 22 მაისის ღამით წყალდიდობის დროს წლიური საშუალო ნალექის 25 პროცენტი მოვიდა.

ზაჰესის განათხარმა და საგუბარმა თავისუფლად გაუშვა მოზღვავებული წყალი, რომელსაც არავითარი ზიანი არ მიუყენებია ჰიდროელსადგურის ნაშენებებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ წყალდიდობა სრულიად მოულოდნელი და მეტად მძლავრი იყო.

ღამით 23 მაისს საქართველოს სამხედრო გზის დაზიანების გამო, ზაჰესთან მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. შესწყდა ტელეფონის კავშირი ზაჰესთან მავთულების გაწყვეტის გამო. მხოლოდ 23 მაისს 1-ლ საათისათვის მოახერხა პირველმა ავტომობილმა ზაჰესში მისვლა. ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ, წყლის დავარდნის გამო, სამხედრო გზა გაიხსნა მოძრაობისათვის. საქართველოს სამხედრო გზაზე რამოდენიმე ადგილას სილაში სრულიად ჩაფლული არის გლეხების ურმები.

რამოდენიმე ავტომობილის ამოყვანაც ტალახიდან მხოლოდ კამეჩებით მოხერხდა.

მდინარე ვერის ადიდება

კვირას საბურთალოში მილიც. სკოლის ახლოს საქ. სამხედრო გზის ხიდის ქვეშ ძლიერი წვიმების გამო ადიდებული მდ. ვერა შეგუბდა და გადავიდა გზა-ტკეცილზე. წყალმა წაიღო ზაჰესის ენერგიისათვის გამზადებული ბოძები, ხეები, დაანგრია კედელი და გააკეთა ახალი ხრამი. მდინარემ ერთი სახლი დაზიანა ძალზე, სასწრაფოთ მიღებულ ზომებით მცხოვრებლები გამოსახლებულ იქნენ და ამით გადარჩენ დაღუპვას. ამასთანავე ოდნავ იქნა დაზიანებული მეორე სახლი, იქვე ახლოს.

ამ შემთხვევის გამო გამოძახებულ იქნა ცეცხლის მქრობელთა რაზმი და მობილიზაცია უყვეს მეეზოვებს, რომელთაც გაუთხარეს წყალს გასასვლელი და გაუშვეს ხიდის ქვეშ.

წყლის ადიდების დროს მდინარემ იმსხვერპლა ორი ადამიანი; ერთი გაიტაცა იმ დროს, როდესაც იგი იჭერდა წყალში შეშას და მეორეც გადავარდა ხიდიდან. მოძრაობა სავსებით არაა აღდგენილი.

ცხვრის ფარის დაზარალება

კვირას ამხ-ბა „მწყემსი"-ს წევრი—მწყემსები კოჯორით მიერეკებოდენ მთაში 20 ათას სულ ცხვრის ფარას.

კოჯორის ახლოს მათ მოუსწრო ძლიერმა წვიმამ. მთელი ფარა გაექანა კოჯორის აგარაკებისაკენ და შესია რამოდენიმე ბაღს, რომლებიც დააზიანეს საგრძნობლათ.

მწყემსებმა ყოველ ღონისძიებას მიმართეს, მაგრამ ამაოთ. მათ მიმართეს ადგილობრივ მილიციას დახმარებისათვის, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს.

შემდეგ ფარას შემოარტყეს ალყა, რომ იგი სხვა აგარაკებსაც არ შესეოდა.

ფარიდან შიმშილის გამო უკვე დაიხოცა 600 სული ცხვარი. ცხვრების დაძვრა ადგილიდან დამოკიდებულია ამინდზე.

რკინისგზეზე

კვირას 23 მაისს, დილის 9 საათზე და 25 წუთზე სადგ. კასპი-ქსანის შუა ძლიერი წვიმების გამო ნიაღვარმა გადასილა რკ. გზის ლიანდაგი. სასწრაფოთ მიღებული ზომებით ხაზი გაწმენდილ იქნა 12 საათზე. მოძრაობა შეფერხდა სამი საათით.

თოვლი

ახალქალაქი, 24 მაისი. მიღებული ცნობების მიხედვით 4 დღეა, რაც სამოვარების მთიან რაიონებში სთოვს. იყო შემთხვევები ცხვრის ფარისა და ადამიანთა დაღუპვისა. მეცხვარეები, რომელნიც თავიანთი ცხვრის ფარებით საზაფხულოდ ამ რაიონში გამოემართნენ, იძულებულნი გახდენ დროებით წასულიყვნენ ბორჩალოს მაზრაში. მემთაბარეებს გაეგზავნა საექიმო დახმარება.

გეო-ფიზიკ. ობსერვატორიის ცნობა

23 მაისს დილის 7 საათიდან 24 მაისის დილის 7 საათამდე საქართველოს ყველა კუთხეებში მოვიდა დიდი წვიმა. დასავლეთ საქართველოში, ზღვის სანაპიროების გამოკლებით წვიმები უფრო ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ობსერვატორიის მიერ დეპეშით მიღებულ ცნობებით წვიმის ნალექების მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: სოხუმი—5 მილიმეტრი, აბასთუმანი — 6 მილიმ., ფასანაური — 11, გორი—2, დუშეთი—14, თიანეთი — 17,5, ცხინვალი—4, მუხრანი—11, ყარაიაზი—10, საგარეჯო — 13 და თბილისი — 16 მილიმეტრი.

ზოგიერთ რაიონებში ჰქრის სუსტი ქარი, უფრო დასავლეთ საქართველოში.

[illegible] მუ[illegible]

მუშები კატეგორი[illegible]

„მუშები ამჯ[illegible]

[illegible] ქუჩა) სალ[illegible] გადირი[illegible]იდი გა[illegible]ლდში. ამ სა[illegible]ხმარების აღმო[illegible]ისის „ავიაქიმის“ სა[illegible]მრეწველობის საქციონერო სა[illegible]დოებამ, ხელოვნების მუშაკთა კავშირმა და საქ. პროფ. კავშირის საბჭ. კულტ-განყოფილებამ.

გადაფრენისათვის თანხების შეგროვებაში დიდ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოების წევრები. თითქმის ყოველდღე შემოდის ჩვენი უჯრედებიდან შემოწირულებები. აღსანიშნავია, რომ მთავარ სახელოსნოს, დეპოს და არსენალის მუშები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ფონდის გაძლიერებაში; არც ერთი მუშა არ ზოგავს თავისი წვლილი შეუტანოს ჩვენი ავიაციის და ქიმიურ მრეწველობის განსამტკიცებლად.

ი. ღ.

საზაფხულო პრაქტიკაზე

რუსეთ - უკრაინაში იგზავნება 300 სტუდენტი

საქართველოს პროფგანათლების სამმართველოსთან შესდგა თათბირი, რომელზედაც განაწილდა 300 ადგილი, რომელიც ცენტრმა მისცა საქ. უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს. ს. ს. რ. კ—ში და უკრ. ს. ს. რ—ში. საზაფხულო პრაქტიკისათვის. ამ რიცხვიდან სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო 100 ადგილი, პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა—112 ადგილი, დანარჩენი ადგილები დამატებით განაწილდება უმაღლეს სასწავლებლებს შორის—სტუდენტები გაიგზავნებიან მაისის ბოლოში.

სახელმძღვანელოები

საკავშირო კომპარტიის ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტმა აცნობა რესპუბლიკის ცენტ. კომიტეტებს, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკასთან შეთანხმებით მოსკოვში დამტკიცებულ სახელმძღვანელოების გადამუშავება და ეროვნულ ენაზე გადათარგმნა მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის, ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტში მოხდება. სახელმძღვანელოების გადათარგმნა 1 აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს.

პასტერის სადგური

ამ დღეებში ქუთაისში გაიხსნება პასტერის მეორე სადგური, რაიც გააძლიერებს ცოფიან ცხოველების კბენის წინააღმდეგ ბრძოლას დასავლეთ საქართველოში.

ახლობელ ორი თვის განმავლობაში კიდევ გაიხსნება პასტერის ორი სადგური ბათუმსა და კახეთში. ამგვარად, პასტერის თბილისის ინსტიტუტი განიტვირთება დიდი მუშაობისაგან.

მიწისძვრა

23 მაისს, საღამოს 5 საათსა და 24 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია სუსტი მიწისძვრა. მიწის ძვრის ცენტრი დაშორებულია თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე. მიმართულება გამოურკვეველია.

თბილისში მიწისძვრა ოდნავ იყო შესამჩნევი და ისიც მხოლოდ ზედა სართულებში.

ჯეე..

[illegible]წრომის სახ. კომისარი[illegible]რის საბჭოსა და ცენტ[illegible]კურ სამმართველოს წინადადებით, სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა 25 ოჯახის წლიური ბიუჯეტის გამოკვლევა.

სამაისო საჭირო თანხის გაღება დაევალა ზემოხსენებულ უწყებებს.

დიმ როკითის არხი

სახალხო კომისართა საბჭომ ნება მისცა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დიმ-როკითის არხის სამუშაოთა დასამთავრებლად გაიღოს საჭირო თანხა.

აღნიშნული დადგენილება წარედგინა დასამტკიცებლად ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს.

აგრო-კულტურულ მუშაობისათვის

მიწსახკომის შუამდგომლობის თანახმად, სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო გაღებულ იქნეს 60.000 მან. მიწსახკომის განკარგულებაში მიმდინარე 1925/26 საბიუჯეტო წლის განმავლობაში აგრო-კულტურულ ხასიათის მუშაობათა დასამთავრებლად.

სიმინდის დამზადებისათვის

სიმინდის დამზადების მიზნით სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ხორბლეულობის დამამზადებელ ორგანოს საზ. „ხლებოპროდუქტ“-ს დაამზადოს ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სიმინდი, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში.

წინადადება მიეცა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში ადგილობრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო სიმინდის დამზადების საკითხი შეუთანხმოს სამაზრო აღმასკომებს.

დაევალოს ხორბლეულობის პროდუქტების დამამზადებელ ორგანოს საზ. „ხლებოპროდუქტ“-ს შეიმუშაოს ადგილობრივად სიმინდის დამზადებისა და მისი რეალიზაციის გეგმა.

სასამართლო

ვლადიმერ ბოკერიას საქმე

მეორე სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს. დაკითხვიდან გაირკვა, რომ ბრალდებულ ბოკერიასა და ჩაჩხიანს შორის წინეთ უსიამოვნებას ჰქონია ადგილი მეზობლურ ურთიერთობის ნიადაგზე.

მოწმეების უმრავლესობა ბრალდებულ ბოკერიას ახასიათებს, როგორც მშვიდ და წყნარ ადამიანს. მეზობლებთან ბოკერია კარგს განწყობილებაში ყოფილა. ჩაჩხიანს ახასიათებენ, როგორც აყალ-მაყალის მოყვარულ ადამიანს.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა აგრეთვე შემდეგი გარემოება: ბოკერიას ნაცნობებისათვის განუცხადებია, რომ მას განზრახული აქვს შეიძინოს როიალი და სამისო თანხაც გააჩნია. ამ ამბავისთვის ყური მოუკრავს ჩაჩხიანს და შემდეგი ღონისძიებებისათვის მიუმართავს: ბოკერიას მიერ მისთვის ჭრილობის მიყენების შემდეგ, როდესაც ჩაჩხიანთან მისულა მილიციის წარმომადგენლები,—მას განუცხადებია მათთვის, რომ ბინიდან ბოკერიამ მას მოჰპარა 700 მანეთი. ჩაჩხიანის ბინის დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ ის სტყუოდა. 700 მანეთი აღმოჩნდა ჩაჩხიანის მიერ განზრახ გადამალული.

ამით დასრულდა მოწმეების დაკითხვა.

საღამოს სხდომაზე გაიმართა მხარეების კამათი.

[illegible]რკინიგზ[illegible] — ხე

[illegible]ისები

[illegible]ბიდან ამიერ-კავკასიის რკინისგზეზე შემოღებულია სახალხო მატარებლების მიმოსვლის ახალი ცხრილი.

იმის შესახებ, თუ რამდენად აუმჯობესებს ეს ცხრილი სახალხო მიმოსვლას, ა.-კ. რკ. გზ. სახალხო მიმოსვლის ნაწილის უფროსმა ამხ. **ი. ბარკალაიამ** ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა:

მართალია, ა.-კ. რკინისგზებზე ვაგონების რაოდენობა არ არის საკმაო და,გარდა ამისა, ნაცვლად დაპირებული 110 ვაგონისა ცენტრიდან, მივიღეთ მხოლოდ 20 რონოდა, მაგრამ გზათა სამმართველომ მაინც მიიღო ზომები, შესაძლებლობის ფარგლებში. სახალხო მოძრაობის გასაუმჯობესებლად და არსებული ძველი ცხრილი შესცვალა ახლით.

ახალი ცხრილში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები. მაგ. მატარებელ № 21—22-ს ე. წ. „მაქსიმ გორკის“ მაგივრად დანიშნულია სახალხო მატ. № 13 და 14. როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ ხაზებზე, ისე კახეთისა და სამხრეთის ხაზებზე. ადგილობრივი მიმოსვლის და საგარაკო მატარებლებიდან დანიშნულია: 3 წყვილი მატარებელი ბორჯომამდე, ერთი წყვილი გორამდე. 12 წყვილი ხაშურ-სურამს შუა, 15 წყვილი ბორჯომ-ბორჯომ ბალს შუა, 8 წყვილი ბაკურიანის ხაზზე; კარაკლისამდე დანიშნულია ერთი წყვილი საგარაკო მატარებელი.

ახალი განწესრიგების მიხედვით, გაადვილებულია კურორტებზე მიმავალ მგზავრთა გადაყვან - გადმოყვანის საქმე, სახელდობრ —დანიშნულია პირდაპირი ვაგონები: თბილის-ქუთაისისშუა—მატარებელი № 9 და 10-ზე. ქუთაის-ფოთს შუა—მატ. № 43 და 45-ზე, თბილის-ოზურგეთს შუა მატ. № 3 და 4-ზე. თბილის-განჯა-ბაქოს შუა—მატ. № 5 და 6-ზე, ბაქო-ჯულფას შუა—მატ. № 5 და 6-ზე და 12-ზე. ფოთი-ქუთაისის შუა მატ. № 30/33-ზე, სურამ-თბილის შუა მატ. № 19 და 20-ზე, ბაქო-ბორჯომს შუა 5-ზე და 6-ზე, ბათომ-ბორჯომს შუა № 13 და 14-ზე. ფოთი-სურამს შუა მატ. № 9 და 10-ზე ქუთაის-ბორჯომს შუა—მატ. № 47 და [illegible].

ამასთანავე ნაცვლად მოსკოვის ერთისა და ლენინგრადის ორი მატარებლისა თბილისიდან ივლიან; ორი მატარებელი მოსკოვამდე და ერთი ლენინგრადამდე.

რადგან ზაფხულში მოსალოდნელია მგზავრთა დიდი თავმოყრა თბილისის სადგურში ამისათვის გაიხსნება საზაფხულო პავილიონი, სადაც მოეწყობა საბარგო და საბილეთო სალაროები.

კომისია ა.-კ. რკ. გზებზე

კვირას თბილისში ჩამოვიდა საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისია. კომისიაში შედიან: საკონტროლო კომისიიდან—ამხ. **ნიკოლაევი,** მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან — მთავარი ინსპექტორი ამხ.—**ბიხანოვი** და ერთი წარმომადგენელიც გზათა—მიმოსვლის კომისარიატიდან—ინჟ. **რადევანსკი.**

კომისიამ 22 მაისს ბაქოში დაათვალიერა საბუნჩის ხაზის ელექტროფიკაცია, სადაც ელექტრონის ენერგიაზე გადავლენ ა./წ. ივნისში.

კვირას კომისია გაემგზავრა ბათომში, მასთან წაჰყვენ: ა./კ. რკ. გზების ელექტროტეხნიკური დარგის უფროსი ამხ. **ქავთარაძე** და ინჟ. **შახბუდაგოვი.**

კომისია ბათომში დაათვალიერებს აჭარის წყლის ჰიდრო - ელსადგურის შენებას. იქიდან გამოივლის ქუთაისში, სადაც დაათვალიერებს მდ. რიონზე გათვალისწინებულ ჰიდრო - ელსადგურის აგების ადგილს და გაეცნობა სადგურის პროექტს. შემდეგ კომისია ინახულებს ტყიბულს, და გაეცნობა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხს და სადგურის ასაგებ ადგილს. კომისია დაწვრილებით დაათვალიერებს სურამის საუღელტეხილო უბანს. თბილისში დაბრუნებისას, კომისია გამოივლის ზაჰესში და დაათვალიერებს იქ წარმოებულ მუშაობას.

კომისიას თბილისში მოელიან ერთი კვირის შემდეგ.

საბარგო ვაგონის გადავარდნა

გუშინ დილით სად. სვირი — აჯამეთის შუა სახალხო მატარებელი № 10 დაეჯახა კამეჩს; რის გამო ლიანდაგს ასცდა საბარგო ვაგონი. მატარებელი აჯამეთში ჩამოვიდა 45 წუთის დაგვიანებით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

რა მოედანი და გადასახადი გვეკუთვნის ყოველ ჩვენთაგანს

კითხვა

ვარ კავშირის წევრი, ჯამაგირს ვღებულობ 31 მან. 50 კაპ., ვცხოვრობ უფლისციხის ქ. კუთხ. მდებარე საამხანაგო სახლში, ბინის მოედანი უდრის 112 კვ. არშინს, ვართ შვიდი სული: მათგან 1 უმუშევარი კავშ. წევრი, 1 უმუშ. შრომის ბირჟის აღრიცხვაზე აყვანილი, 2 მცირეწლოვანი მოსწავლე, რომელნიც იმყოფებიან ჩემს ხარჯზე და კიდევ ორი არა კავშირის წევრები.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, ვის რამდენი არშინი გვეკუთვნის და რა ფასში.

გან. მუშაკ. კავშ. წევრი. წიგნ. № 5843.

პასუხი

საამხანაგო სახლის საცხოვრებელი მოედანი უნდა გაიყოს თანასწორად ამხანაგობის ნამდვილ წევრთა შორის, თუ კი ყოველი მათგანი შედის ამხანაგობაში სრული პაით და უფლებებით. შემდეგ უმუშევრები, კავშირის წევრები, საშუამავლო ბიუროს აღრიცხვაზე აყვანილები თითეულ კვადრ. არშინზე გადაიხდიან ერთ კაპეიკს. არა კავშირის წევრები (კერძო მოქალაქენი) ბინის ქირას გადაიხდიან ამხანაგობის გამგეობასთან შეთანხმებით, თქვენ კი პირადად თითეულ კვადრატ. არშინზე გადაიხდით ორ კაპეიკს.

რამდენი გადვიხადოთ წყლის ფული

კითხვა

ვართ მოწაფეები ორნი პ-I-ლი მე-15-ტე შრომის სკ., მე-II-რე მე-7-დე შრ. სკ. სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულნი, როგორც ღარიბი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, წყლის ფულს გვახდევინებენ როგორც კერძოდ შემძლებელ პირთ (ვაჭრებს და სხვ.), რაც ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, რამდენი უნდა გადავიხადოთ წყლის ფული თვიურად ან ვედროზე.

მოწაფენი.

პასუხი

წყლის საფასურად დახარჯულ წყალის თითეულ ვედროზე, როგორც ღარიბნი (თუ კი ამის მოწმობა გაქვთ სასწავლებლიდან), გადაიხდით კაპეიკის ერთ-მეოთხედს.

კანონიერია თუ არა პროფკომის ასეთი მოქმედება?

კითხვა

რამდენად სამართლიანია ცენ. პედ. ინსტ. პროფკომის დადგენილება? ა/წ. 1 მაისში პროფდისციპლინის დარღვევის გამო ინსტიტუტის ზოგიერთი მსმენელნი ვიქენით დაჯარიმებული ფულით ადგილობრივი პროფკომის მიერ. ჩვენ საცხოვრებელ წყაროს შეადგენს ის 20 მანეთი, რომელსაც ვღებულობთ სტიპენდიის სახით და ამ თანხიდან ჯარიმის გადახდა ღარიბ სტუდენტისათვის შეუძლებელია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამგვარი მსჯავრი ყველაზე არ იქნა გამოტანილი: ზოგიერთის სასჯელი გამოიხატა გაფრთხილებაში.

ეხლა გეკითხებით სამართლიანია თუ არა პროფკომის დადგენილება?

დაჯარიმებულთა ჯგუფი.

პასუხი

კავშირის წევრის პროფდისციპლინის დარღვევისათვის ფულადი დაჯარიმება სავსებით ეწინააღმდეგება ჩვენ პროფორგანოების ამოცანებს და პროფეთიკას და ყოვლად დაუშვებელია. თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით პროფკავშირის ც. გ-ას პროფკომისათვის პასუხის მოსათხოვად.

სამსახურის შეთავსებისათვის ჯილდოს მიცემის შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობდი ქალ. ჭიათურაში ერთ-ერთ თანამდებობაზე პროფბიუროში. ამავე დაწესებულებაში მსახურობდა ერთი თანამშრომელი, რომელიც ავადმყოფობის გამო იქნა მოხსნილი სამსახურიდან. ამის შემდეგ ვიქენი დანიშნული მის თანამდებობაზე. (ე. ი. ვასრულებდი ორ თანამდებობას ერთ და იმავე დროს). ბოლოს მე ვიქენი გაწვეული სამხედრო სამსახურში (კადრნაწილებში) 1925 წლის ნოემბერში. მას შემდეგ ამ თანამდებობაზე, რომელსაც მე ვასრულებდი შეთავსებით, იქნა დანიშნული ორი კაცი და ღებულობენ ცალ-ცალკე ჯამაგირს.

გთხოვთ მიპასუხოთ, მერგება თუ არა ხელფასი კანონის ძალით მეორე თანამდებობიდან, რომელსაც მე ვასრულებდი რამოდენიმე თვეს.

წითელარმიელი ვანო წიქარიშვილი.

პასუხი

საერთო წესით მუშა-მოსამსახურენი შეთავსებისათვის იღებენ ცალკე ჯილდოს, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა შეთავსებულ თანამდებობისათვის დაწესებული ჯილდოსი. ასეთი ჯილდო მიეცემა შემთავსებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შეთავსებული თანამდებობა არის სულ სხვა გვარის დარგი (სამსახური), ვიდრე ის, რომლისათვის შემთავსებელი დაქირავებული იყო (იხ. ამ.-კ. შრომის სახკომატის 1923 წ. 1 აგვისტოს დადგენილება № 64).

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო“-ს დამარცხება.

კვირას, 23 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის ორი უძლიერესი გუნდის—„დურუჯი“-ს და „დინამო“-ს შეჯიბრი მიმდინარე სეზონის პირველობაზე.

მატჩი მეტად მძიმე პირობებში ჩატარდა. წინ დღით მოსულ ნიაღვრის გამო მოედანზე საშინელი ტალახი იდგა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თამაში მაინც ძალიან საინტერესო გამოდგა.

კვირის შეჯიბრმა ნათლად დაამტკიცა „დურუჯი“-ს აშკარა უპირატესობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირი ვარჯიშობით „დურუჯმა“ შეიძინა გამძლეობა, რომელიც მას წინეთ აკლდა.

თამაში იწყება დურუჯელების მარჯვე შეტევით. ბურთი ხშირად „დინამო“-ს კარებთან ტრიალებს, ხშირია კრიტიკული მომენტებიც, მაგრამ ძლიერი ტალახი ხელს უშლის „დურუჯი“-ს ფორვორდებს გოლის გატანაში.

დროგამოშვებით დინამოელები ახერხებენ „დურუჯი“-ს ხაზზე გადასვლას, მათ რამოდენიმეჯერ სცადეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ „დურუჯი“-ს უკანა ბეკ **ფრუიძის** შესანიშნავი თამაშის წყალობით იძულებული იყვენ უკან დაბრუნებულიყვენ.

პირველი ხავტაიმის მე-15 წუთზე დურუჯელმა **ვაჩნაძემ ნიკო ამბოკაძისაგან** მიღებული ბურთი ლამაზი დარტყმით მოაქცია „დინამო“-ს ბადეში და ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. პირველმა წაგებამ „დინამო“-ში ერთგვარი არევდარევა შეიტანა „დურუჯმა“. პირიქით, ეხლა უფრო გააძლიერა იერიშები. მე-30 წუთზე „დინამო“-ს კარები კვლავ საფრთხეშია. „დინამო“ დაჯარიმდა. „პენალტიდან“ **გუნიას** მიერ მოსდენილად დარტყმულ ბურთს ვერ იჭერს „დინამო“-ს ვრლერი **ცომაია** და ამრიგად, საბოლოოთ გამარჯვება დურუჯისკენ იხრება.

ხავტაიმის ბოლომდე, მიუხედავათ ორივე მხარის ცდისა, მიღწეული შედეგი არ შეცვლილა და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 2:0 „დურუჯი“-ს სასარგებლოდ.

მეორე ხავტაიმი ისევ „დურუჯი“-ს შეტევით იწყება. თამაშის დაწყებიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ დურუჯელი **ვაჩნაძე** ახერხებს კიდევ ერთი ბურთის გატარებას „დინამო“-ს ჭიშკარში.

„დინამო“ იკრეფს ძალღონეს. **ანიკინი და გონელი** არ ზოგავენ თავს, რომ [illegible]ლსაყრელი მდგომარეობა შეუქმნან თავის ფორვორდებს. და მართლაც მე-20 წუთზე დინამოელი **ვახტანგ ამბოკაძე** ლამაზათ წაღებულ ბურთს მოაქცევს „დურუჯი“-ს ბადეში.

ამის შემდეგ ბრძოლის ინიციატივა ისევ „დურუჯი“-ს ხელში გადადის. ამ უკანასკნელის ფორვორდები „დინამო“-ს ჭიშკარს არ შორდებიან. „დინამო“ ისევ დაჯარიმდა. **გუნია** ისევ ლამაზად ურტყამს „პენდელს“, რომელსაც ვერ იჭერს ცომაია და, ამრიგად, „დინამო“-ს ჭიშკარში უკვე ოთხი ბურთია გატარებული.

თამაშის შემდეგ პროცესში „დინამო“ ახერხებს კიდევ ერთი ბურთის გატანას. ახლოვდება ხავტაიმის დასასრული. დინამოელები იწყებენ უკვე უხეშათ თამაშს, რომელიც ბოლოს მახინჯ სახეს იღებს, ამის გამო მსაჯი ამხ. **ტოგონიძე** იძულებული შეიქნა შეჯიბრი შეეწყვიტა 6 წუთით ადრე.

ამრიგად, შეჯიბრი გათავდა 4:2 „დურუჯი“-ს სასარგებლოდ.

შეჯიბრს აუარებელი ხალხი დაესწრო.

—

პირველობის საკითხი ფაქტიურად [illegible] გადაწყვეტილია. პირველობა [illegible] „დურუჯს“, რომელსაც, მართალია, კიდევ აქვს [illegible] შეჯიბრი „პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან“, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ „დინამო“-ს დამარცხების შემდეგ „დურუჯი“ იოლად გაუსწორდება თავის უკანასკნელ მოპირდაპირეს.

შ—ა.

დამცველთა კოლეგიის წევრთა კრება

კვირას, 23 მაისს, შესდგა აღმოსავლეთ [საქ]ართველოს დამცველთა კოლეგიის წევრ[თა] კრება.

[კრ]ება გახსნა კოლეგიის პრეზიდიუმის [თავმ]ჯდომარემ ამხ. **გ. საყვარელიძემ.**

[ამი]ს შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზი[დიუმი] შემდეგი ამხანაგები: **ახმეტელი,** [illegible] **პ. ქავთარაძე და ბარხუდაროვი.** სამდივნოში: ვ. მაისურაძე და შ. დადიანი.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, 2) პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 3) მიმდინარე საკითხები.

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის მუშაობა

(ამხ. საყვარელიძის მოხსენება)

[მომ]ხსენებელმა აღნიშნა, რომ პრეზიდი[უმის] [მუ]შაობა წინანდელთან შედარებით [illegible]უმჯობესება[illegible] კოლეგიის წევ[რ]თა [illegible] იზრდება. 1924 წ. მათი რიცხვი 228 კაცს უდრიდა, ხოლო 1926 წ. კი—263. აქედან 216 კაცი თბილისშია, 47 მაზრებში. დამცველთა კოლეგიის წევრებათ არიან ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლების ცენზი. უმაღლესი განათლებით არის 210 კაცი, საშუალო განათლებით 43 კაცი და დაბალით 10 კაცი.

1925 წლის განმავლობაში დამცველთა კოლეგიის წევრები გამოვიდნენ 6799 საქმის დასაცავად, პროვინციებში კი 2361 საქმეზე.

დამცველთა კოლეგიის საზოგადოებრივ მნიშვნელობის ზრდას ნათელჰყოფს ის გარემოება, რომ პრეზიდიუმის დანიშვნით კოლეგიის წევრები 1926 წ. უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში გამოვიდნენ სრულიად უსასყიდლოდ თბილისსა და პროვინციებში 952 საქმის დასაცავად. გარდა ამისა კოლეგია მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს და მუშა-მოსამსახურეებს აძლევს იურიდიულ რჩევა-დარიგებებს უფასოდ.

[illegible] თბილისის იურიდიულ საზოგადოებასა და [illegible]. ამგვარი [illegible] სანგა[illegible] ხნის განმავ[ლობაში] გაიმართა 152. ლექტორებს გასამრჯელო არ ეძლეოდათ.

თბილისში არსებობს 7 იურიდიული ბიურო, რომელნიც დიდ როლს თამაშობენ მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენასა და რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების საქმეში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმე ცუდათ არის დაყენებული პროვინციაში. ამჟამად მუშავდება დამცველთა კოლეგიის ახალი წესდება, რომლითაც ეს მტკივნეული საკითხი მოგვარებული იქნება.

ამხ. საყვარელიძის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ი. ვარძიელმა, ნ. ოკუჯავამ, მესხიშვილმა, მაჩაბელმა, შურღაიამ, დოლუხანოვმა და სხვებმა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყრილობის მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც პრეზიდიუმის მუშაობა ცნობილ იქნა სავსებით დამაკმაყოფილებლად.

სწარმოებს აგრეთვე ლექციების კითხვა ლეზლად.

არჩევნები

დასასრულ, პრეზიდიუმის წევრებათ ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: **ახმეტელი, კორინთელი, ჩერქეზიშვილი, საყვარელიძე, ვ. მაისურაძე, მესხიშვილი, პ. ქავთარაძე, ენიკოლოპოვი და მიხა ტატიშვილი.** კანდიდატებად: **მიქელაძე, რიჟამაძე, დოლუხანოვი და გოგიტიშვილი.**

სარევიზიო კომისიაში: შურღაია, მუატ და კობიაშვილი, კანდიდატებად გაგუა და ბარხუდაროვი.

მეცნიერება და ტეხნიკა

კვამლის ბრძოლა ელექტრონის საშუალებით.

კვამლი, რომელიც ამოდის ფაბრიკა-ქარხნების მილებიდან, არის დაკარგული კაპიტალი, ყოველდღიურად დიდი რაოდენობით გადაყრილი ჰაერში. კვამლი არის მტვერის ღრუბელი, რომელიც შესდგება ნახშირის დამწვარ და დაუწვავ ნაწილაკებისაგან. ამრიგად, იკარგება მეტად ძვირფასი საწვავი მასალის დიდი რაოდენობა.

ჯერ კიდევ ომამდე მოახდინეს მრავალრიცხვოვანი ცდები ამ დაუწვავი პროდუქტების გამოყენების მიზნით, მაგრამ საკითხის საბოლაოდ გადაჭრა ვერ მოახერხეს. ეხლა ამოცანა გადაჭრილია სულ სხვანაირად. „სიმენს - შუკერტი“-ს ცნობილმა ფირმამ კვამლის მაგარი ნაწილაკების დასაჭერად ფიზიკის ორი უმარტივესი კანონი გამოიყენა. ერთი ამ კანონის მიხედვით, სხვადასხვა ელექტრობით დატენილი სხეულები ერთმანეთისაკენ მიიზიდებიან. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ კვამლის ნაწილაკები დაიტენოს ელექტრობით და ისინი გატაცებული იქნეს სხვა ელექტრობით დატენილი სხეულით. მეორე ფიზიკური კანონია—ე. წ. „ელექტრონული ქარი“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ ელექტროდატენილობა იცლება წვეტიანი თავიდან ან მსხვილი კიდედან, მისი დენა შესაძლებელია ისეთი მძლავრი იყოს, რომ გაიტაცებს გზაზე მყოფ მსუბუქ ნაწილაკებს. ამ ორი კანონის შეერთებით, შესაძლებელია ისეთი ძლიერი გავლენის მოხდენა კვამლის ნაწილაკებზე, რომ ისინი თავს მოიყრიან იმ ადგილას, სადაც ელექტრონაკადს გზას გადაუღობავს სპეციალური კედელი.

რამდენი წელიწადია, რომ ანათებს მზე?

ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი **კელვინი** გერმანელი ფიზიკოსი **ჰელმგოლცი** ფიქრობენ, რომ მზე წარმოიშვა გაფანტული ნისლოვანების შეკუმშვის შემდეგ. ამ ნისლოვანებს ეჭირა სივრცე, რომელიც აღწევდა ახლანდელი მზის სისტემის უშორესი პლანეტის—ნეპტუნის საზღვრამდე. ეს განუწყვეტელი შეკუმშვა წარმოშობს იმ სხივოსნური ენერგიის უდიდეს რაოდენობას, რომელსაც მზე გამოყოფს. მზის მასისა და რადიაციის (სხივთა გამოყოფის) მიხედვით კელვინმა გამოარკვია სითბოს ის მარაგი, რომელსაც მზე შეიცავს. კელვინის აზრით, ეს მარაგი საყოფია 50—100 მილიონი წლისათვის. კელვინი ფიქრობს, რომ 100 მილიონი წლის წინათ მზე არ ანათებდა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** წინადადებას აძლევს ამხ. პეტრე ლებედევს და მელიქსედეკ ტ. მეშარიშვილს გამოცხადდენ რაიკომის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2 რაიკომი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს,26 მაისს,საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხან. № 96) შესდგება კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა **მდივნების თათბირი,** მეორე რაიონის კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად.

კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა მდივნების და აგრეთვე კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების დაუვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მუშადაგლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს 25 მაისს, საღამოს 6 საათზე მილიციის [illegible]ბის შენობაში (ველიამინოვის ქ. [illegible]) სდგება უჯრედების ქალთა კომისიე[illegible] [illegible] ორგანიზატორების თათბირი, რომელსაც დაესწრებიან უჯრედების წარმომადგენლები და ახალგაზრდა ქალთა ორგანიზატორები.

დღის წესრიგშია ამხ. შავერდოვას მოხსენება ადგილებზე ქალთა შორის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საქმეები.

ქალთა ორგანიზატორები, ქალთა კომისიის მთელი შემადგენლობა, უჯრედების წარმომადგენლები და ახალგაზრდა ქალთა ორგანიზატორები აუცილებლად თავის დროზე უნდა გამოცხადდენ.

გამოუცხადებლობისათვის უჯრედთა მდივნები არიან პასუხისმგებელი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს 25 მაისს, ქალაქის აღმასკომის შენობაში, საღამოს 6 საათზე შესდგება **ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი,** უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის **აგიტპროპ-კოლეგიის სხდომა** ენდაიდო ოთხშაბათისათვის, 26 მაისს, დილის 8 საათზე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. ჩარკვიანთან თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში:

1) ფირუმოვი სერგო ალექსანდრეს ძე, 2) გიორგაძე დიომიდე, 3) კოკაია ავქსენტი, 4) მასიევა ეფროსინე. 5) ხუტაშვი[illegible] ამხანაგ[illegible]დიერ, 6) გრიგორიანი სედრაკ. 7) [illegible] მარია, 8) [illegible]ვილი დ., 9) შატლაძე ე., 10) ბეჟანოვი ალექსანდრე მ., 11) მეშჩიარიკოვა ლიუბოვ, 12) ვიორგაძე გ., 13) ბეგნაზაროვი მოსე, 14) მუშკუდიანი ა. პ., 15) კაპანაძე ტატიანა დ., 16) ჯინჭარაძე ხარიტონ, 17) ცინცაძე სოფიო, 18) მაღრაძე ევსტაფი, 19) ბუდინკოვი არშაკ, 20) არჩინოვი ნიკოლოზ, 21) საპაგოვი ივანე სტეფანეს ძე, 22) გორშაკოვი მიხეილ ვასილის ძე, 23) ნორიძე სოფიო, 24) ხოჯამიროვი ლეონ, 25) ზლიჩენკო ნ., 26) ბრეგვაძე ვერა, 27) ივანოვი ანდრია იჟანეს ძე, 28) ვიტკილოვი ალექსანდრე, 29) ფარნეიშვილი გრიგოლ დავითის ძე.

მატარებლების მიმოსვლა

გადის თბილისიდან ადგილობრივი დროით

მატარ.		ს.	წ.
№ 1	ლენინგრადში კვირაობით დილის	9	—
„ 1	მოსკოვში ოთხშაბათობით და შაბათობით დილ.	9	—
„ 3	როსტოვში დილის	11	—
„ 5	ბაქოში საღამოს	8	45
„ 13	ბაქოში ღამის	12	55
„ 4	ბათომში შუაღამის	12	30
„ 6.	ბათომში დილის	11	30
„ 14	ბათომში საღამოს	7	5
„ 10	ფოთში საღამოს	9	40
„ 3	ჯულფაში შუადღის	12	—
„ 14	ნახიჩევანში ნაშუადღ.	5	—
„ 3	თელავში ღამის	10	—
„ 13	თელავში დილის	9	30
„ 16	ბორჯომში დილის	7	5
„ 18	ბორჯომში ნაშუად.	3	—
„ 20	ბორჯომში ნაშუად.	3	45
„ 24	გორში უქმე და უქმეების წინადღეებში ნაშუადღევის	2	5

მოდის თბილისში ადგილობრივი დროით

მატარ.		ს.	წ.
№ 2	ლენინგრადიდან პარასკეობით ღამის	10	15
„ 2	მოსკოვიდან ორშაბათობით და ხუთშაბათობით ღამის	10	15
„ 4	როსტოვიდან საღამოს	6	30
„ 6	ბაქოდან დილის	10	30
„ 14	ბაქოდან დილის	8	—
„ 3	ბათომიდან დილის	6	40
„ 5	ბათომიდან საღამოს	7	45
„ 13	ბათომიდან ნაშუად.	2	50
„ 9	ფოთიდან დილის	9	35
„ 4	ჯულფიდან დილის	7	—
„ 12	ნახიჩევანიდან შუადღ.	12	15
„ 4	თელავიდან საღამოს	5	25
„ 14	თელავიდან დილის	6	35
„ 15	ბორჯომიდან ღამის	11	15
„ 17	ბორჯომიდან დილის	5	10
„ 19	ბორჯომიდან დილის	7	50
„ 25	გორიდან უქმე და უქმეების წინა დღეებში ღამის	10	20

გულდამწვარი მეუღლე ნესტორ ლევანისძე იოსელიანი შვილებით: კუკუშკა (ალათი), ლევანი, ჭაჭუ (არისტარხ), ელენე და თამარი, რძლები: ცაცუ და ოლია, შვილიშვილებით: მერიკა და ნუნუ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს, რომ ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი, დაუვიწყარი

ციციკო (ელისაბედ) თოფურიძე-

იოსელიანისა

ცხედარს წაასვენებენ ქ. ქუთაისიდან, გოგებაშვილის ქ. 26 სოფ. წყალტუბოში ოთხშაბათს, მაისის 26,—3 საათზე, დაკრძალვა სოფ. წყალტუბოში ხუთშაბათს, 27 მაისს, დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ქ. 2578

ძმა ანტიკას იულონისძე თოფურიძე, მეუღლით დესპინე სიმონის ასული შვილებით: ევტიხი, იოსები, ცირუ (მარიამი), ილუშა, რძალი ანიკოთი, შვილიშვილებით ჯუნიკო და ციალათი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი, დაუვიწყარი

ციციკო (ელისაბედი) თოფურიძის ასული

იოსელიანისა

ცხედარის წასვენება ქუთაისიდან გოგებაშვილის ქ. 26 ს. წყალტუბოში ოთხშაბათს, მაისის 26, დღის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება ს. წყალტუბოში, 27 მაისს, დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. ქ. 2578

გაუბედურებული მშობლები ლიზიკო და ყაისარ, ძმები შოთა და მიშიკო, მამიდა მატრონე ბოლქვაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და საყვარელი

ფუცუკას (ვენერა)

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ბახვში, ხუთშაბათს, 27 მაისს.
№ 2592—1—1

ღრმად დამწუხრებული მამიდა ასინეთი, ბიცოლები ლილი და სონია, ბიძაშვილები ანეტა, ვერა, ქეთო, ვასო, ბიქტორ, ოთარ მგალობლიშვილები და პეტრე ჟღენტი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

ფუცუკა ბოლქვაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ბახვში, ხუთშაბათს, 27 მაისს.
№ 2592—1—1

მწუხარებით გულმოკლულნი გრიგოლ კონსტანტინესძე და ნინა შამშეს ასული ჩაჩიბაია, ბაბილინე, ოლღა და ლოლა ტუსკია, ალექსანდრე გვათუა ოჯახობით და არჩილ დარასელია აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველთა დაუვიწყარი, ძვირფასი ქალიშვილი და დანარჩენთა დისწული და ძმისწული

ლარისა (ლიუსია) გრიგოლის ასული

ჩაჩიბაია

ცხედრის გამოსვენება: სამშაბათს. 25 მაისს, დღის 4 საათზე ბინიდან, მერკვილაძის (ყოფ. რეუტოვის) ქ. № 31, დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 2581

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კატო ზურაბის ასული, შვილები: ბიქტორი, მაშო და ლუშა, რძალი თამარა ვლადიმერის ასული, შვილიშვილები: შურა, ნელი და მერი, ძმა სამსონი მეუღლით ნადია კოსტას ასული, ძმის შვილები: ივლონი და ლევანი ოჯახობით და დის შვილები ქონტო და ნატა აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 22 მაისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

თეიმურაზ ბერუკასძე ცაგურია

დასაფლავება მოხდება ქ. ზუგდიდში—სამშაბათს, 25 მაისს 2586

ღრმად დამწუხრებული მამა გიორგი რუხაძე, ბებია მარიამი, დეიდა კატო ბოლქვაძეები, სიძე ვასილი ტროფიმესძე ვასაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, ძვირფასი, დაუვიწყარი, მე-15 შრომის სკოლის 9 ჯგუფის მოწაფის

ქეთო გიორგის ასული

რუხაძის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა სამშაბათს, 25 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, გურიაში სადგურ ნატანების მახლობლად სოფ. სამთოში 2579

დღეს, ასტა ნილსენის მონაწილეობით.
საუკეთესო სურათი

აპოლლო ართისტო სოლეი

„მოწყენილი ქუჩა“

იშვიათი სურათი

„ჯავშნოსანი პოტიომკინი“

რეჟისორი აიზენშტეინი „პოტიომკინ“-მა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინში. ყველამ უნდა ნახოს ეს შედევრი.

ანონსი: ჩქარა: **„მეცხრე ზვირთი“**

0—16. ნ. 1265

სასტ. **„ორიანტ“**-ის

საამშენებლო კომისია

იწვევს მსურველთ, რომელთაც შეეძლებათ შენობაში ელსადენის მოწყობა.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება სასტუმროს შენობაში, რუსთაველის გამზირი № 9, ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. განცხადება მიიღება მხოლოდ ა. წ. 29 მაისამდე.

იქვე იყიდება ფანჯრების ჩარჩოები თავისივე მინებით, დარაბები, კარები, ღუმელების ხელსაწყო და სხვა.
2553

ძლიერი წვიმების გამო, რომელიც ხელს-უშლის ექსპონატების ჩამოტანას,

გამოფენის გახსნა

გადაიდო

30 მაისისათვის, კვირას, დღის 11 საათზე.

გამოფენის კომიტეტი.
ნ. 1336

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—3

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11 საღ. 6—8
პლეხანოვის პროსპექტი № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
2537 25—1

კომუნალური განყოფილების

საწარმოო კომბინატის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ პირველ ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქ ბათომის აღმასკომის შენობაში (ოთახი № 5)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიცემა იჯარით ორთაბათომის შრომაზე მეექვსე ვერსზე წყალსადენის ფილტრების შეკეთების სამუშევრები.

უმთავრესი სამუშევრები: 1) შტუკატურკის მოხსნა და ახალის გაკეთება ცემენტის სითხით 1:2, სულ 222,7 ოთხ. კუთხ. საჟ., 2) გაწმენდა ფილტრების ძირში შეერთებულ ალაგებისა და ასეთის ამოსხმა ასფალტით 250 საჟ., 3) გაცარიელება ფილტრის (ამოღება მსხვილი და წვრილი ქვის ხრეშის 120,000 ფუთ.), 4) განაწილება და გარეცხვა ფილტრების, 5) ჩაწყობა ხელ-ახლად ორთა ფილტრების (მსხვილი ქვა 48,000 ფუთ., წვრილი ქვა და ქვიშა—154,500 ფუთი), 6. დანარჩენი წვრილი სამუშევრები და საჭირო მასალა: ცემენტი—1287 ფუთი, ასვალტი—171 ფუთი, ნუდრონი—8,5 ხრეში—75 კუბ. საჟ.

აქ აღნიშნული სამუშევარი მასალით თანახმად შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვისა ჯდება 19.350 მ. 58 კ.

უკანასკნელი ვადა სამუშევრის დამთავრებისა 15 აგვისტოს 1926 წ.

ნ. 1335 3—1. **კომბინატი.**

წარმოკავშირის თბილისის მიწათმომქმედთა სასოფლო-სამეურნეო შრომის არტელის

„ბაღის შრომის“ გამგეობა

ამით აცხადებს:

1) 25 მაისიდან გამგეობის კანცელარია მუშაობს კომუნალურ (ყოფ. ვორონცოვის) ქუჩაზე, ორთაჭალის მუშათა კლუბში, ყოველ დღე, საღამოს 5 საათიდან 9 საათამდის.

2) ახალ წევრების მისაღებად კანცელარია აწარმოებს მთხოვნელების ჩაწერას.

3) წევრთაგან ვინ არის განთავისუფლებული სხვადასხვა გადასახადისაგან ან მთლიანად, ან ნაწილობრივ—ამ ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე. აგრეთვე 30 მაისამდის გრძელდება თხოვნების მიღება იმათაგან, ვისაც აქნობამდის ჯერ არ მოუთხოვნია შეღავათები.

4) წევრებს წიგნაკები დაურიგდებათ პარასკევიდან. ვისაც საწიგნაკო ფული არ გადაუხდია—ორი დღით ადრე შემოიტანონ.

ნ. 1334 2—1. „ბაღის შრომის“ გამგეობა.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ მოქ.

კოსტ. ჭუბაბრია

(საწყობის ყოფ. გამგე) მოხსნილია სამსახურიდან. მასზე გაცემული ყოველგვარი მოწმობები გაუქმებულია.

3—1 „კომუნისტი“-ს მთ. კანტორა.

ზუგდიდის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

ე. საჯაია

აცხადებს, რომ 31 მაისს 1926 წ., დღით 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქ. ზუგდიდში ანტონ და ლიდია შედანიების სახლში ხის სახლის, შკაფის, კრაოტის, ღრაფინკის და კასის—შეფასებლის 88 მან. დასაკმაყოფილებლად სამსონ ვიტიასი, თანახმად ბრძანებისა ზუგდიდის უბნის სახალხო სასამართლოსი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. ნ. 1338

ქალ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 28 მაისს 1926 წ. სახლში № 77 ანდრეევის ქ. (მე-10 სამილიციო უბანში) საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნახევარ უფლებას ამ სახლებზე, რომელიც ეკუთვნის ლაზარე (ლეიზერ) არონის-ძე შტეინბერგს, საფეიქრო ზეთ-სახდელ და საპნის ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად. ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 მარტის 1926 წ. თარიღით, № 996, გაცემულ სასამართლოს ბრძანების ძალით. ეს სახლები არის ქვიტკირის, სამ სართულიანი, დახურული თუნუქით და აშენებულია ქალაქის მიწაზე ზომით 200 ოთხკ. საჟენი. პირველ სართულშია ოცდასამი (23) საცხოვრებელი ოთახი თერთმეტი (11) სამზარეულოთი, მეორე სართულში ოცდასამი (23) საცხოვრებელი ოთახი ექვსი (6) სამზარეულოთი. სახლებს აქვს სარდაფები, წყალსადენი და კანალიზაცია. შეფასებულია ნახევარი უფლება ხუთიათასმანეთად (5.000 მ.) მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულწლოვან შვილებს არა აქვთ ქ. თბილისში სახლები და უნდა მისცენ ხელწერილი მასში რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას. საჯარო ვაჭრობა მეორეა და დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. 2591

ზუგდიდ-ხობის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი საჯაია

ამით აცხადებს, რომ 30 მაისს 1926 წ., დღით 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქ. ზუგდიდის მცხ. ანდრი გიორგის ძე ფიფიას ქვის შენობის ცინკით დახურულის, მდებარის ქ. ზუგდიდში მახარაძის ქუჩაზე № 50, შეფასებულის შვიდასი მანეთად დასაკმაყოფილებლად ზუგდიდის მთლიანი კოოპერატივის და სხ. ვალისა, საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან; ცნობების მიღება და შენობის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ვისაც სურს, უნდა წარმოადგინოს ცნობები თანახმად 311 მუხ. სამ. სამ. საპ. კოდექსისა და შეფასების 10 პროც. ნ. 1338

ხაზის მონტიორები

საჭიროა

ელგანში

(თავისუფლების მოედანი № 2, თამამშევის ყ. ქარვასლა)
3—1

თვალის ექიმი
მაევსკა
პლეხანოვის პროსპექტი
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დ 8-მდე. 35—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი და პირადობის მოწმობა არსენ თომაძის სახელზე, ჩ. გ. 2590

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 5706 და პირადობის მოწმობა შალვა იაკობისძე ლაბუჩიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1337

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 4535 ევგენი ვასილისძე ჩიქაშუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1337

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 6097 ბარნაბ ყიფშიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1337

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 4152 ნადეჟდა ნიკონოვის სახელზე, ჩ. გ. 2588

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 5615 კარაპეტ გასპაროვის სახელზე, ჩ. გ. 2589

დაიკარგა პარტიის საწევრო წიგნაკი № 497423 ერვანდ გიორგისძე თოფჩიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2587

დაიკარგა საწევრო წიგნაკები: კავშირის № 2263, მუშკომის № 3299, პასპორტი № 944 და სამსახურის მანდატი № 5781, ირაკლი ივანეს ძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2582

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ელენე სტეფანეს ასული ბუტკოვსკაიას სახელზე, ჩ. გ. 2580

დაიკარგა პირადობის მოწმობა 1 წლის ვადით და სხვადასხვა საბუთები კოსტა მიხეილის ძე ჩაკვეტაძის სახელზე, ჩ. გ. 2576

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემ. სამხრეთ-ოსეთ ჯან. კომისარ. მიერ, სახ. უნივერსიტეტის საექიმო ფაკულ. დამთავრების დროებითი მოწმობა, საქ. ჯანმრთ. კომისარ. საღრიცხვო ბარათი; სამხრეთ-ოსეთის სამხედრო კომისარიატის სააღრიცხვო წიგნაკი, მანდატი სამხრეთ-ოსეთის ჯან. კომისარიატის მიერ მოცემული ივანე ალექსის ძე ხარაბაძის სახელზე, ჩ. გ. 2575

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 395, გამოტანილი 1919 წ., ნინა თევდორეს ასული დიდებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2585

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 8991, მარიამ ჯიბლაძის სახელზე, ჩ. გ. 2577

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, ჯამოს ქუჩა, 6